საქართველოს კანონი

საქართველოს საბაჟო კოდექსი
წიგნი I
ზოგადი დებულებები

თავი I. საქართველოს საბაჟო კოდექსის რეგულირების სფერო და საგანი, მიზანი და ტერმინთა განმარტება

მუხლი 1. საქართველოს საბაჟო კოდექსის რეგულირების სფერო და საგანი

ეს კოდექსი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან დაკავშირებულ წესებსა და საბაჟო ფორმალობებს, საბაჟო დავის გადაწყვეტის წესს, საბაჟო სამართალდარღვევის სახეებს და ამ სამართალდარღვევების ჩადენისთვის პასუხისმგებლობას.

მუხლი 2. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა

1. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა შედგება საბაჟო ფორმალობებთან დაკავშირებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისგან, ამ კოდექსისგან და მის შესაბამისად მიღებული ან გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან.

2. ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა იღებს ან საქართველოს ფინანსთა მინისტრი გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს.

3. საქართველოსთვის ძალაში შესულ საერთაშორისო ხელშეკრულებას ამ კოდექსის მიმართ აქვს უპირატესი იურიდიული ძალა.

მუხლი 3. საქართველოს საბაჟო ტერიტორია და საქართველოს საბაჟო საზღვარი

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორია შედგება:

ა) საქართველოს სახმელეთო ტერიტორიისგან;

ბ) საქართველოს ტერიტორიული წყლებისა და საქართველოს შიდა წყლებისგან;

გ) საქართველოს საჰაერო სივრცისგან;

დ) განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში განლაგებული დანადგარის, ნაგებობისა და ხელოვნური კუნძულის ტერიტორიისგან, რომელზედაც ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული იურისდიქცია.

2. საქართველოს საბაჟო საზღვარი ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.

მუხლი 4. საბაჟო ფორმალობების განხორციელების ენა

1. საბაჟო ფორმალობები საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

2. საბაჟო ორგანოს შეიძლება წარედგინოს უცხოურ ენაზე შედგენილი დოკუმენტი.

3. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, მოსთხოვოს პირს საბაჟო ორგანოსთვის წარდგენილი უცხოურ ენაზე შედგენილი დოკუმენტის საქართველოს სახელმწიფო ენაზე თარგმნა.

მუხლი 5. საქართველოს საბაჟო ორგანო, მისი მიზნები და უფლება-მოვალეობანი

1. საქართველოს საბაჟო ორგანოებია:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომ – შემოსავლების სამსახური);

ბ) შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი.

2. საბაჟო ორგანო ახორციელებს საბაჟო ზედამხედველობას, საბაჟო კონტროლს და საბაჟო ფორმალობებს.

3. საბაჟო ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) სამართლიანი და თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერის მიზნით ზედამხედველობას უწევს საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობას;

ბ) იცავს საქართველოს ფინანსურ ინტერესებს;

გ) კანონიერი ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერით იცავს საქართველოს ეკონომიკურ სივრცეს არაკეთილსინდისიერი და უკანონო საერთაშორისო ვაჭრობისგან;

დ) უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფოს და ადამიანთა უსაფრთხოებას, აგრეთვე გარემოს დაცვას, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით;

ე) ახორციელებს ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს, ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს და სანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს;

ვ) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამის აღნიშვნებს აკეთებს და საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში ინფორმაციას ასახავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში;

ზ) გასცემს ლიცენზიას, ნებართვასა და სერტიფიკატს;

თ) უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის განხორციელების მიზნით შექმნას საბაჟო ლაბორატორია;

ი) უზრუნველყოფს ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების განხორციელებას;

კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებს.

4. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის სახით გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალების გაფორმება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესით და მათ მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა

ფარგლებში შეიძლება განახორციელოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილმა სამსახურმა.

5. ამ მუხლის მე-3 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბაჟო ლაბორატორიის შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 6. ტერმინთა განმარტება

1. ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საბაჟო კონტროლი – საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის, აგრეთვე საქართველოს საბაჟო ტერიტორიასა და უცხო ქვეყანას შორის გადაადგილებული საქონლის შემოტანის, ტრანზიტის, გადაადგილების, შენახვის, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისა და გატანის, აგრეთვე უცხოური საქონლის და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განთავსებისა და გადაადგილების მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად საბაჟო ორგანოს მიერ განსახორციელებელი ცალკეული ქმედებები;

ბ) პირი:

ბ.ა) ფიზიკური პირი;

ბ.ბ) პირთა გაერთიანება, რომელიც დამოუკიდებლად მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში, მაგრამ არ აქვს იურიდიული პირის სტატუსი;

ბ.გ) საწარმო ან ორგანიზაცია;

გ) საქართველოში დაფუძნებული პირი – საქართველოს მოქალაქე ან/და პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში გადასახადის გადამხდელად;

დ) საბაჟო ფორმალობა – დაინტერესებული პირის ან/და საბაჟო ორგანოს მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესასრულებლად განსახორციელებელი სავალდებულო ქმედება;

ე) ზოგადი დეკლარაცია – დოკუმენტი/ქმედება, რომლითაც პირი დადგენილი ფორმითა და წესით, დადგენილ ვადაში აცნობებს საბაჟო ორგანოს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის შესახებ;

ვ) დროებით შენახვის დეკლარაცია – დოკუმენტი/ქმედება, რომლითაც პირი დადგენილი ფორმითა და წესით აცხადებს, რომ საქონელი დროებით არის შენახული;

ზ) საბაჟო დეკლარაცია – დოკუმენტი/ქმედება, რომლითაც პირი დადგენილი ფორმითა და წესით აცხადებს, რომ განზრახული აქვს საქონლის მიმართ შესაბამისი საბაჟო პროცედურის გამოყენება, და რომელშიც საჭიროების შემთხვევაში დამატებით პირობას უთითებს;

თ) რეექსპორტის დეკლარაცია – დოკუმენტი/ქმედება, რომლითაც პირი დადგენილი ფორმითა და წესით აცხადებს, რომ განზრახული აქვს უცხოური საქონლის (გარდა თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული ან დროებით შენახული უცხოური საქონლისა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა;

ი) რეექსპორტის შეტყობინება – დოკუმენტი/ქმედება, რომლითაც პირი დადგენილი ფორმითა და წესით აცხადებს, რომ განზრახული აქვს თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული ან დროებით შენახული უცხოური საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა;

კ) დეკლარანტი – პირი, რომელიც საბაჟო ორგანოს თავისი სახელით წარუდგენს საბაჟო დეკლარაციას, დროებით შენახვის დეკლარაციას, საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციას, საქონლის გატანის

ზოგად დეკლარაციას, რეექსპორტის დეკლარაციას ან რეექსპორტის შეტყობინებას, ან პირი, რომლის სახელითაც საბაჟო ორგანოს წარედგინება შესაბამისი დეკლარაცია ან შეტყობინება;

ლ) საბაჟო პროცედურა – ნებისმიერი პროცედურა, რომელშიც შეიძლება მოექცეს საქონელი ამ კოდექსის შესაბამისად, კერძოდ:

ლ.ა) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება;

ლ.ბ) სპეციალური პროცედურები;

ლ.გ) ექსპორტი;

მ) დროებით შენახვა – იმ უცხოური საქონლის მდგომარეობა, რომელიც საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ დროებით, მისი საბაჟო ორგანოსთვის წარდგენიდან საბაჟო პროცედურაში მოქცევამდე/რეექსპორტამდე არის შენახული;

ნ) საბაჟო ვალდებულება – პირის ვალდებულება, გადაიხადოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი იმპორტის გადასახადი;

ო) ვალდებული პირი – პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვალდებულია შეასრულოს საბაჟო ვალდებულება;

პ) საბაჟო სტატუსი – საქონლისთვის მინიჭებული საქართველოს საქონლის სტატუსი ან უცხოური საქონლის სტატუსი;

ჟ) საქონელი – საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ნებისმიერი მატერიალური ქონება, მათ შორის, ფული, ფასიანი ქაღალდი, ელექტროენერგია, თბოენერგია, გაზი, წყალი;

რ) საქართველოს საქონელი:

რ.ა) საქონელი, რომელიც მთლიანად მიღებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე და არ შეიცავს უცხო ქვეყნიდან შემოტანილ საქონელს ან არ არის წარმოებული უცხო ქვეყნიდან შემოტანილი საქონლისგან;

რ.ბ) უცხო ქვეყნიდან/თავისუფალი ზონიდან შემოტანილი და თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონელი;

რ.გ) საქონელი, რომელიც მიღებულია ან წარმოებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ამ ნაწილის „რ.ა“ და რ.ბ“ ქვეპუნქტებით ან მხოლოდ „რ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლისგან;

რ.დ) გადამუშავებული პროდუქტი, რომელიც ექსპორტის პროცედურაში უნდა მოექცეს;

ს) უცხოური საქონელი – საქონელი, რომელიც ამ ნაწილის „რ“ ქვეპუნქტით არ არის გათვალისწინებული, ან საქონელი, რომელმაც დაკარგა საქართველოს საქონლის სტატუსი;

ტ) საქონლის გაშვება – საქონლის განკარგვის უფლების ან/და საქონლით სარგებლობის უფლების მინიჭება საქონლის მიმართ გამოყენებული საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის პირობების შესაბამისად;

უ) საბაჟო ზედამხედველობა – საბაჟო ორგანოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია საქონლის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება;

ფ) საწარმო – საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საწარმო;

ქ) ორგანიზაცია – საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ორგანიზაცია;

ღ) გადამუშავებული პროდუქტი – შიდა გადამუშავების პროცედურაში ან გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული საქონელი;

ყ) საქონლის წარდგენა – საბაჟო ორგანოში, საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილზე ან მასთან შეთანხმებულ სხვა ადგილზე (შემდგომ – საბაჟო ორგანოსთვის) საქონლის მიტანის შესახებ ინფორმაციის საბაჟო ორგანოსთვის მიწოდება;

შ) საქონლის მფლობელი – საქონლის მესაკუთრე, საქონლის განკარგვის უფლების მქონე პირი ან პირი, რომლის ფიზიკური კონტროლის ქვეშაც არის საქონელი;

ჩ) პროცედურის მფლობელი:

ჩ.ა) პირი, რომელიც წარადგენს საბაჟო დეკლარაციას ან რომლის დავალებითაც არის წარდგენილი დეკლარაცია;

ჩ.ბ) პირი, რომელსაც გადაეცა საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები;

ც) საქონლის გადამუშავების ოპერაცია:

ც.ა) საქონლის დამუშავება, მათ შორის, მონტაჟი, აწყობა, სხვა საქონლისთვის მორგება;

ც.ბ) საქონლის წარმოება;

ც.გ) საქონლის განადგურება;

ც.დ) საქონლის შეკეთება, მათ შორის, მისი აღდგენა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა;

ც.ე) იმ საქონლის გამოყენება, რომელიც არ იდენტიფიცირდება გადამუშავებულ პროდუქტში, მაგრამ რომელიც ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავებული პროდუქტის წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი გადამუშავების პროცესში მთლიანად ან ნაწილობრივ იხარჯება;

ძ) გამოსავლიანობის ნორმა – გადამუშავებული პროდუქტის ოდენობა ან ამ ოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია შიდა გადამუშავების პროცედურაში ან გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული, განსაზღვრული რაოდენობის საქონლის გადამუშავების შედეგად;

წ) გადაწყვეტილება – საბაჟო ორგანოს მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელებული ქმედება ან/და გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც პირის ან დაინტერესებულ პირთა მიმართ შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები;

ჭ) გადამზიდავი:

ჭ.ა) საქონლის შემოტანის შემთხვევაში – პირი, რომელსაც შემოაქვს საქონელი ან რომელიც პასუხისმგებელია საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაზიდვისთვის. ამასთანავე:

ჭ.ა.ა) კომბინირებული გადაზიდვისას გადამზიდავი არის პირი, რომელიც ორგანიზებას უწევს იმ სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებას, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსვლის შემდეგ თავისი სვლით გადაადგილდება;

ჭ.ა.ბ) საზღვაო ან საჰაერო გადაზიდვისას გადამზიდავი არის პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას და გასცემს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაზიდვის დოკუმენტს;

ჭ.ბ) საქონლის გატანის შემთხვევაში – პირი, რომელსაც გააქვს საქონელი ან რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გადაზიდვისთვის. ამასთანავე:

ჭ.ბ.ა) კომბინირებული გადაზიდვისას, როდესაც თავისი სვლით გადაადგილებული სატრანსპორტო

საშუალება გადაზიდავს სხვა სატრანსპორტო საშუალებას და თავისი სვლით გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების ადგილზე მისვლის შემდეგ მის მიერ გადაზიდული სატრანსპორტო საშუალება გადაადგილებას თავისი სვლით განაგრძობს, გადამზიდავად მიიჩნევა პირი, რომელიც მართავს იმ სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც გადაადგილებას თავისი სვლით განაგრძობს, მას შემდეგ, რაც სატრანსპორტო საშუალება, რომელმაც საქართველოს საბაჟო ტერიტორია თავისი სვლით დატოვა, დანიშნულების ადგილზე მივიდა;

ჭ.ბ.ბ) საზღვაო ან საჰაერო გადაზიდვისას გადამზიდავი არის პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას და გასცემს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გადაზიდვის დოკუმენტს;

ხ) შესყიდვის საკომისიო – იმპორტიორის მიერ შესაფასებელი საქონლის ყიდვისას მისი წარმომადგენლისთვის გადახდილი ან გადასახდელი ნებისმიერი ანაზღაურება;

ჯ) იმპორტის გადასახდელი – საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული იმპორტის გადასახადი, აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლის გადახდის ვალდებულება საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანასთან დაკავშირებით წარმოიშობა;

ჰ) ბარგი – მგზავრისგან განცალკევებულად გადასაზიდი საგანი;

ჰ[1]) საბაჟო ორგანოს საწყობი – შემოსავლების სამსახურის საბაჟოკონტროლის ზონა, სადაც ხდება საქონლის შენახვა;

ჰ[2]) ხელბარგი – მგზავრის მიერ პირადად გადასატანი საგანი;

ჰ[3]) გაფორმების ეკონომიკური ზონა – შემოსავლების სამსახურის სპეციალურად შექმნილი საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც ხდება საქონლის გაფორმება;

ჰ[4]) მგზავრი – ფიზიკური პირი, რომელიც კანონიერად კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს;

ჰ[5]) საბაჟო გამშვები პუნქტი – საქართველოს საბაჟო საზღვართან მდებარე საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიმართ ხორციელდება ამ კოდექსით დადგენილი პროცედურები;

ჰ[6]) აღმჭურველი გადაწყვეტილება – საბაჟო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც დაინტერესებულ მხარეს რაიმე უფლებას ან სარგებელს ანიჭებს;

ჰ[7]) ტრანზიტი – საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უცხო ქვეყნებს შორის ან უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით;

ჰ[8]) სატრანსპორტო საშუალება – საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო ან სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალება, აგრეთვე მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზი, კონტეინერი, მისაბმელი, ნახევარმისაბმელი ან ნებისმიერი სხვა საშუალება, რომელიც მგზავრის გადაყვანისთვის ან/და საქონლის გადაზიდვისთვის გამოიყენება.

2. ტერმინი (ცნება), რომელიც ამ კოდექსში განმარტებული არ არის, ამ კოდექსში გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რომელიც მას აქვს საქართველოს შესაბამის კანონმდებლობაში.

მუხლი 7. ვადების განსაზღვრა

1. ამ კოდექსით დადგენილი ვადა განისაზღვრება კონკრეტული კალენდარული თარიღით ან დროის მონაკვეთით, რომელიც გამოიანგარიშება წლებით, თვეებით, დღეებით ან/და იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს.

2. ამ კოდექსით დადგენილი ვადის ათვლა იწყება შესაბამისი მოქმედების განხორციელების მომდევნო დღიდან. დღე შეიძლება იყოს სამუშაო ან კალენდარული. თუ დაკონკრეტებული არ არის, დღე არის კალენდარული დღე. სამუშაო დღე ემთხვევა კალენდარულ დღეს, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრული უქმე დღისა, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. ვადა, რომელიც გამოიანგარიშება წლებით, მთავრდება ვადის ბოლო წლის შესაბამის თვესა და რიცხვში.

4. ვადა, რომელიც გამოიანგარიშება თვეებით, მთავრდება ვადის ბოლო თვის შესაბამის რიცხვში.

5. მოქმედება, რომლის განხორციელებისთვისაც დადგენილია ვადა, შეიძლება განხორციელდეს ამ ვადის ბოლო სამუშაო დღის დამთავრებამდე, ხოლო თუ ასეთი მოქმედება საბანკო გადარიცხვით, საფოსტო გზავნილით ან/და ელექტრონული ფორმით ხორციელდება, – ამ ვადის ბოლო დღის 24 საათამდე.

6. თუ მოქმედების განხორციელების ვადის ბოლო დღე არასამუშაო დღეს ემთხვევა, მოქმედების განხორციელების ვადა გრძელდება შემდეგი სამუშაო დღის დამთავრებამდე, ხოლო თუ ასეთი მოქმედება საბანკო გადარიცხვით, საფოსტო გზავნილით ან/და ელექტრონული ფორმით ხორციელდება, იგი შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სამუშაო დღის 24 საათამდე.

7. კალენდარული წელი არის დროის მონაკვეთი ერთი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

8. წელი (გარდა კალენდარული წლისა) არის დროის მონაკვეთი, რომელიც შედგება ნებისმიერი უწყვეტი 12 თვისგან.

9. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დაუშვებელია, ამ მუხლის შესაბამისად განსაზღვრული დროის მონაკვეთი გაიზარდოს ან შემცირდეს, ხოლო ვადა ან კალენდარული თარიღი – გადმოიწიოს ან გადავადდეს.

მუხლი 8. საქართველოს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი უცხო ქვეყნის ვალუტის მიმართ

საქონლის საბაჟო ღირებულებისა და იმპორტის გადასახადის ოდენობის განსაზღვრისას უცხო ქვეყნის ვალუტა საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე გადაიანგარიშება შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ ქვეყნის ვალუტის მიმართ განსაზღვრული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის არსებობის შემთხვევაში – ამ კურსით;

ბ) საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ ქვეყნის ვალუტის მიმართ განსაზღვრული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის არარსებობის შემთხვევაში – საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული კურსით.

თავი II. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები

მუხლი 9. ინფორმაციის გაცვლა და შენახვა

1. პირსა და საბაჟო ორგანოს შორის ინფორმაციის გაცვლა და ამ ინფორმაციის შენახვა ხდება მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალების გამოყენებით, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალების გარდა, ინფორმაციის გაცვლისა და შენახვის სხვა საშუალება შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

ა) მუდმივად, გადაზიდვის სახის გათვალისწინებით, ან როდესაც მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალების გამოყენება შესაბამისი საბაჟო ფორმალობისთვის შესაფერისი არ არის;

ბ) დროებით, პირის ან საბაჟო ორგანოს ელექტრონული სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში.

3. საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვის განმახორციელებელი პირი ვალდებულია საბაჟო ორგანოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად წარუდგინოს წინასწარი ინფორმაცია საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვის განმახორციელებელი სატრანსპორტო საშუალებისა და ამ სატრანსპორტო საშუალებით გადასაადგილებელი საქონლის ან/და მგზავრთა შესახებ.

4. საბაჟო რისკის იდენტიფიცირებისა და მასზე რეაგირების მიზნით, წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს საბაჟო ორგანოსა და დეკლარანტს ან სხვა ვალდებულ პირს შორის ისეთი ინფორმაციის გაცვლა, რომლის მიწოდება არ არის გათვალისწინებული საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით. აღნიშნული ინფორმაციის გაცვლა შესაძლებელია მოიცავდეს დეკლარანტის მონაცემებთან საბაჟო ორგანოს დაშვებას.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ურთიერთობის ფარგლებში მხარეებს შორის გაცვლილი ინფორმაცია არის საბაჟო საიდუმლოება, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

6. თუ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინფორმაციის გაცვლა მატერიალური (წერილობითი) ფორმით ხდება, გაგზავნილ დოკუმენტს ხელს უნდა აწერდეს უფლებამოსილი პირი. ადრესატს უნდა გადაეცეს დოკუმენტის დედანი ან მისი დამოწმებული ასლი.

7. ნავსადგური, რკინიგზის სადგური, აეროპორტი ვალდებულია საბაჟო ორგანოს შეატყობინოს იმ სატრანსპორტო საშუალების შემოსვლის/ჩამოფრენის ან/და გასვლის/გაფრენის შესახებ, რომელიც კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს.

8. ინფორმაციასთან/მონაცემებთან დაკავშირებული მოთხოვნები, ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების წესი, ინფორმაციის გაცვლისა და შენახვის სხვა საშუალება და მისი გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 10. დოკუმენტის წარდგენა და ჩაბარება

1. საბაჟო ორგანოს მიერ პირისთვის ერთი და იმავე დოკუმენტის რამდენჯერმე ან ამ კოდექსის მე-9 მუხლით გათვალისწინებული რამდენიმე ფორმით წარდგენის შემთხვევაში მისი წარდგენის თარიღად მიიჩნევა ამ დოკუმენტის პირველად ჩაბარების თარიღი.

2. მატერიალური დოკუმენტის წარდგენისას პირის მიერ მის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში ამ დოკუმენტზე კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

3. საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, მატერიალური დოკუმენტის წარდგენისას მის ჩაბარებაზე უარის თქმის ფაქტის დაფიქსირების მიზნით გამოიყენოს ტექნიკური საშუალება. თუ მატერიალური დოკუმენტის წარდგენის ფაქტი ტექნიკური საშუალებით არის დაფიქსირებული, ეს დოკუმენტი ჩაბარებულად მიიჩნევა.

4. მატერიალური დოკუმენტი ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ იგი ჩაჰბარდა:

ა) პირადად ადრესატს;

ბ) პირის უფლებამოსილ წარმომადგენელს ან კანონიერ წარმომადგენელს;

გ) პირის საქმიანობის ადგილზე არსებულ კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ

ერთეულს;

დ) ფიზიკური პირის შემთხვევაში – მის საცხოვრებელ ადგილზე ამ პირთან მცხოვრებ მისი ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სარეგისტრაციო დოკუმენტებით ამ პირის იურიდიულ მისამართად განსაზღვრულ საცხოვრებელ ბინაში მცხოვრებ ნებისმიერ სრულწლოვან პირს.

5. მატერიალური დოკუმენტის ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე ან ფოსტის შესაბამის დოკუმენტზე მიმღების ხელმოწერით. იქვე აღინიშნება მატერიალური დოკუმენტის მიმღების სახელი და გვარი და ადრესატთან დამოკიდებულება, აგრეთვე ამ დოკუმენტის ჩაბარების თარიღი.

6. საბაჟო ორგანოს მიერ პირისთვის მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალებით გაგზავნილი დოკუმენტი ჩაბარებულად მიიჩნევა ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე.

7. საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, საჯაროდ გაავრცელოს დოკუმენტი, თუ შესრულებულია შემდეგი პირობები:

ა) პირს ორჯერ მაინც წარედგინა დოკუმენტი მატერიალური ფორმით და ადრესატისთვის მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა;

ბ) პირი არ არის შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის ავტორიზებული მომხმარებელი ან ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალებით გაგზავნილ დოკუმენტს ადრესატი არ გასცნობია მისი განთავსებიდან 30 დღის განმავლობაში.

8. დოკუმენტის საჯაროდ გავრცელება ხდება მისი შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით. ეს დოკუმენტი ჩაბარებულად მიიჩნევა ამ ვებგვერდზე განთავსებიდან მე-20 დღეს.

9. პირის მიერ საბაჟო ორგანოსთვის მატერიალური დოკუმენტის ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში მისი წარდგენის თარიღად მიიჩნევა ამ დოკუმენტის გაგზავნის თარიღი. ამასთანავე, აღნიშნულ დოკუმენტზე რეაგირების ვადა აითვლება საფოსტო გზავნილის საბაჟო ორგანოსთვის ფაქტობრივად ჩაბარების დღის მომდევნო დღიდან.

მუხლი 11. საბაჟო საიდუმლოება

1. საბაჟო ორგანოში პირის შესახებ არსებული ინფორმაცია, გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის 1^1 ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციისა, არის საბაჟო საიდუმლოება.

2. პირის შესახებ ინფორმაცია, რომელიც საბაჟო საიდუმლოებას შეიცავს, სხვა პირს შეიძლება გადაეცეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. საბაჟო ორგანო და მესამე პირი, რომელმაც ამ მუხლის საფუძველზე მიიღო საბაჟო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, ვალდებული არიან დაიცვან ამ ინფორმაციის საიდუმლოება.

4. საბაჟო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გახმაურება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. საბაჟო ორგანოს მიერ ინფორმაციის გაცემა

1. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია პირის მიმართვის საფუძველზე გასცეს ინფორმაცია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ.

2. საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, არ გასცეს მოთხოვნილი ინფორმაცია, თუ ეს მოთხოვნა არ

უკავშირდება საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის რეალურ ოპერაციებს.

3. საბაჟო ორგანომ უნდა შეინარჩუნოს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ პირებთან მუდმივი დიალოგის საშუალებები, აგრეთვე უზრუნველყოს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის/საბაჟო პროცედურების შესახებ ინფორმაციისა და საბაჟო ფორმალობების განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი განცხადების ფორმის ხელმისაწვდომობა სათანადო გადასახდელის გადახდის გარეშე.

4. საბაჟო ორგანოს უფროსს უფლება აქვს, გამოსცეს საბაჟო ორგანოს მიერ ამ კოდექსის ნორმის გამოყენების შესახებ მითითება/ინსტრუქცია. ამ მითითების/ინსტრუქციის შესრულება საბაჟო ორგანოსთვის სავალდებულოა.

მუხლი 13. საბაჟო ორგანოსთვის დოკუმენტისა და სხვა ინფორმაციის წარდგენა

1. ნებისმიერი პირი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ჩართულია საბაჟო ფორმალობის განხორციელებაში ან რომელსაც ეხება საბაჟო კონტროლი, ვალდებულია საბაჟო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას მოთხოვნილი დოკუმენტი ან/და სხვა ინფორმაცია, აგრეთვე გაუწიოს დახმარება აღნიშნული საბაჟო ფორმალობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებაში.

2. პირის მიერ საბაჟო დეკლარაციის, დროებით შენახვის დეკლარაციის, საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის, საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციის, რეექსპორტის დეკლარაციის ან რეექსპორტის შეტყობინების წარდგენა, აგრეთვე ავტორიზაციის ან საბაჟო ორგანოს სხვა გადაწყვეტილების მისაღებად განაცხადის წარდგენა წარმოშობს აღნიშნული პირის ვალდებულებას:

ა) დეკლარაციაში, შეტყობინებაში ან განაცხადში ინფორმაცია ასახოს სწორად და სრულად;

ბ) უზრუნველყოს, რომ დეკლარაციისთვის, შეტყობინებისთვის ან განაცხადისთვის დართული დოკუმენტი იყოს ნამდვილი, სწორი და ძალაში მყოფი;

გ) შეასრულოს საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევასთან ან ნებადართული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება აგრეთვე საბაჟო ორგანოს მიერ მოთხოვნილ ან/და საბაჟო ორგანოსთვის წარდგენილ ნებისმიერ ინფორმაციაზე.

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება საბაჟო წარმომადგენელზე, მის მიერ საბაჟო დეკლარაციის, შეტყობინების ან განაცხადის წარდგენის შემთხვევაშიც.

მუხლი 14. საბაჟო წარმომადგენლობა

1. პირს უფლება აქვს, საბაჟო ორგანოსთან ურთიერთობა განახორციელოს კანონიერი წარმომადგენლის ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.

2. ფიზიკური პირის კანონიერ წარმომადგენლად მიიჩნევა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს შესაბამის უფლებამოსილებას. ამ შემთხვევაში ფიზიკური პირის ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება და პასუხისმგებლობა მის კანონიერ წარმომადგენელს ეკისრება.

3. ფიზიკური პირის გარდა, სხვა პირის უფლებამოსილი წარმომადგენელი მოქმედებს ამ სხვა პირის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

4. ფიზიკური პირის უფლებამოსილი წარმომადგენელი მოქმედებს ამ ფიზიკური პირის მიერ გაცემული და სანოტარო წესით დადასტურებული მინდობილობის საფუძველზე.

5. საბაჟო წარმომადგენელი (შემდგომ – წარმომადგენელი) არის პირი, რომელიც სხვა პირის დავალებით საბაჟო ორგანოსთან ამ სხვა პირის ურთიერთობისას ახორციელებს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ქმედებებსა და საბაჟო ფორმალობებს.

6. წარმომადგენელი შეიძლება იყოს:

ა) პირდაპირი – როდესაც წარმომადგენელი მოქმედებს სხვა პირის სახელით და ამავე პირის დავალებით;

ბ) ირიბი – როდესაც წარმომადგენელი მოქმედებს თავისი სახელით, მაგრამ სხვა პირის დავალებით.

7. წარმომადგენელი უნდა იყოს საქართველოში დაფუძნებული პირი. ეს სავალდებულო არ არის ტრანზიტის ან დროებით შემოტანის პროცედურასთან დაკავშირებული წარმომადგენლობის განხორციელებისას.

8. საბაჟო ფორმალობის განხორციელებისას ირიბ წარმომადგენელს ეკისრება ისეთივე პასუხისმგებლობა, როგორიც დაეკისრებოდა შესაბამისი დავალების მიმცემ პირს.

მუხლი 15. წარმომადგენლის უფლებამოსილება

1. საბაჟო ორგანოსთან ურთიერთობისას წარმომადგენელმა უნდა განაცხადოს, რომ სხვა პირის დავალებით მოქმედებს, და მიუთითოს, პირდაპირი წარმომადგენელია თუ ირიბი. მიიჩნევა, რომ პირი თავისი სახელით მოქმედებს, თუ იგი არ აცხადებს, რომ მოქმედებს, როგორც წარმომადგენელი, ან აცხადებს, რომ მოქმედებს, როგორც წარმომადგენელი, მაგრამ შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე.

2. საბაჟო ორგანოს შეუძლია წარმომადგენელს მოსთხოვოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. თუ ერთი და იმავე პირის წარმომადგენელი ამ პირთან დაკავშირებულ საბაჟო ფორმალობებს რეგულარულად ახორციელებს, მას საბაჟო ორგანომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ უნდა მოსთხოვოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთანავე, საბაჟო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში წარმომადგენელი ვალდებულია წარუდგინოს მას აღნიშნული დოკუმენტი.

4. საბაჟო ორგანოში წარმომადგენლის უფლებამოსილების დადასტურების წესი და პირობები, აგრეთვე უფლებამოსილების დასადასტურებლად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და შემთხვევები, როდესაც უფლებამოსილების დადასტურება სავალდებულო არ არის, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 16. განცხადების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება

1. პირმა ან პირთა ჯგუფმა, რომელიც საბაჟო ორგანოს წარუდგენს განცხადებას საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად, მას უნდა წარუდგინოს ამ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო, ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია.

2. საბაჟო ორგანომ დაყოვნების გარეშე, მაგრამ განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 30 დღისა, უნდა შეამოწმოს, შესრულებულია თუ არა განცხადების წარმოებაში მიღებისთვის დადგენილი პირობები, და, თუ ეს პირობები შესრულებულია, იმავე ვადაში უნდა აცნობოს განმცხადებელს განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე.

3. საბაჟო ორგანომ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს დაყოვნების გარეშე, მაგრამ განცხადების წარმოებაში მიღებიდან არაუგვიანეს 120 დღისა.

4. თუ საბაჟო ორგანო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ვადაში, მან განმცხადებელს აღნიშნული ვადის ამოწურვამდე უნდა შეატყობინოს ამის თაობაზე, ამასთანავე, უნდა მიუთითოს შესაბამისი მიზეზი და გადაწყვეტილების მიღების ახალი ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. საბაჟო ორგანოს შეუძლია, ამ მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით, განმცხადებლის მოთხოვნით გაზარდოს გადაწყვეტილების მიღებისთვის დადგენილი ვადა განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციის კორექტირების მიზნით. განმცხადებელმა საბაჟო ორგანოს უნდა აცნობოს ამ ინფორმაციის კორექტირების დეტალები და კორექტირებისთვის საჭირო დროის მონაკვეთი.

6. გადაწყვეტილება ძალაში შედის განმცხადებლისთვის ჩაბარების დღიდან, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით ან იმავე გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გადაწყვეტილების შესრულება საბაჟო ორგანოსთვის სავალდებულოა მისი ძალაში შესვლის თარიღიდან, გარდა ამ კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7. გადაწყვეტილება მოქმედებს უვადოდ, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8. თუ გადაწყვეტილებამ მიღების შემთხვევაში შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს განმცხადებელზე, საბაჟო ორგანო ვალდებულია ამ გადაწყვეტილების მიღებამდე აცნობოს/გააცნოს განმცხადებელს მისი შინაარსი და დასაბუთება. ამ შემთხვევაში განმცხადებელს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, საბაჟო ორგანოს დადგენილ ვადაში წარუდგინოს შესაბამისი არგუმენტაცია. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ საბაჟო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას და ამის შესახებ დადგენილი წესით აცნობებს განმცხადებელს.

9. ამ მუხლის მე-8 ნაწილი არ მოქმედებს:

ა) ამ კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემისას;

ბ) თუ ამას მოითხოვს საქართველოს სახელმწიფოს და მისი მოსახლეობის, ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობის ან მცენარის სიჯანსაღის, გარემოს ან მომხმარებლის უსაფრთხოების დაცვის ინტერესები;

გ) თუ ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების მიზანია სხვა გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა;

დ) თუ შესაძლებელია ზიანი მიადგეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ან საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების ინტერესებს;

ე) სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში.

10. გადაწყვეტილება, რომელიც უარყოფითად მოქმედებს განმცხადებელზე, უნდა იყოს დასაბუთებული და მიუთითებდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით გასაჩივრების უფლებაზე.

მუხლი 17. განცხადების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების გამოყენება

1. გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია შეასრულოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულებები.

2. გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია საბაჟო ორგანოს დაუყოვნებლივ აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელიც გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარმოიშვა და რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს მის მოქმედებაზე/შესრულებაზე ან/და შეცვალოს მისი შინაარსი.

3. განსაკუთრებულ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს შეუძლია:

ა) გადასინჯოს გადაწყვეტილება;

ბ) შეაჩეროს გადაწყვეტილება, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს, ბათილად იქნეს ცნობილი ან ძალადაკარგულად გამოცხადდეს.

4. საბაჟო ორგანო აკონტროლებს გადაწყვეტილების მფლობელის მიერ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და პირობების შესრულებას. თუ გადაწყვეტილების მფლობელის დაფუძნებიდან 3 წელი არ არის გასული, საბაჟო ორგანო გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში ახორციელებს განსაკუთრებულ დაკვირვებას.

5. გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენილი განცხადების მიღებასა და განხილვასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები, აგრეთვე გადაწყვეტილების შესრულების კონტროლის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 18. აღმჭურველი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

1. საბაჟო ორგანომ ბათილად უნდა ცნოს აღმჭურველი გადაწყვეტილება, თუ შესრულდა ყველა შემდეგი პირობა:

ა) აღმჭურველი გადაწყვეტილება მიღებულია არასწორ ან არასრულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;

ბ) აღმჭურველი გადაწყვეტილების მფლობელმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა, რომ მის მიერ წარდგენილი ინფორმაცია არასწორი ან არასრული იყო;

გ) სწორი ან/და სრული ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში ეს აღმჭურველი გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული.

2. აღმჭურველი გადაწყვეტილების მფლობელს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე.

3. აღმჭურველი გადაწყვეტილების ბათილობა ძალაშია ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღიდან, თუ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 19. აღმჭურველ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა ან მისი ძალადაკარგულად გამოცხადება

1. ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აღმჭურველი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს ან მასში შეტანილი უნდა იქნეს ცვლილება:

ა) თუ აღმჭურველი გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი რომელიმე პირობა ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ არ სრულდებოდა ან არ სრულდება;

ბ) აღმჭურველი გადაწყვეტილების მფლობელის განცხადების საფუძველზე.

2. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პირთა ჯგუფის მიმართ მიღებული აღმჭურველი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელიც არ ასრულებს ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებას.

3. აღმჭურველი გადაწყვეტილების მფლობელს უნდა ეცნობოს ამ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების ან მასში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4. აღმჭურველი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებაზე ან მასში ცვლილების შეტანაზე ვრცელდება ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-6 ნაწილი. ამასთანავე, გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც აღმჭურველი გადაწყვეტილების მფლობელის კანონიერი ინტერესები მოითხოვს, საბაჟო ორგანომ აღმჭურველი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების ან მასში ცვლილების შეტანის ძალაში შესვლისთვის უნდა დაადგინოს განსხვავებული ვადა, არაუმეტეს 1 წლისა. ეს ვადა უნდა მიეთითოს აღმჭურველი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების ან მასში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებაში.

5. აღმჭურველი გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან, ძალადაკარგულად გამოცხადებასთან ან მასში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 20. განცხადების გარეშე მიღებული გადაწყვეტილება

საბაჟო ორგანოს მიერ განცხადების გარეშე მიღებულ გადაწყვეტილებაზე ვრცელდება ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-6–მე-10 ნაწილები და მე-18 და მე-19 მუხლები.

მუხლი 21. საბაჟო პროცედურაში მოქცეული ან დროებით შენახული საქონლის მიმართ აღმჭურველი გადაწყვეტილების მოქმედების შეზღუდვა

თუ დაინტერესებული პირი არ მოითხოვს, აღმჭურველი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება, მასში ცვლილების შეტანა ან მისი შეჩერება არ მოქმედებს იმ საქონლის მიმართ, რომელიც აღმჭურველი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების, მასში ცვლილების შეტანის ან მისი შეჩერების ძალაში შესვლის მომენტისთვის იყო და არის საბაჟო პროცედურაში მოქცეული ან დროებით შენახული ამ გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 22. წინასწარი გადაწყვეტილება

1. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე გამოსცეს სასაქონლო კოდის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება ან საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება. საბაჟო ორგანოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის შესახებ განცხადება წარმოებაში არ მიიღება, თუ:

ა) განცხადება წარდგენილია სასაქონლო კოდის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების მფლობელის მიერ ან მისი სახელით, ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ საქონელზე ან საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების მფლობელის მიერ ან მისი სახელით, ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ საქონელზე და მასში მითითებულია საქონლის წარმოშობის განსაზღვრისთვის საჭირო, ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული გარემოებები;

ბ) განცხადებაში არ არის მითითებული, რომელი საბაჟო პროცედურისთვის გამოიყენება აღნიშნული გადაწყვეტილება.

2. სასაქონლო კოდის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება ან საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება სასაქონლო კლასიფიკაციასთან ან საქონლის წარმოშობის განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ა) საბაჟო ორგანოსთვის სავალდებულოა მხოლოდ იმ საქონელთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც ხორციელდება საბაჟო ფორმალობა აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ;

ბ) წინასწარი გადაწყვეტილების მფლობელისთვის შესასრულებლად სავალდებულოა ამ

გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარების თარიღიდან.

3. სასაქონლო კოდის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება ან საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება მოქმედებს ძალაში შესვლიდან 3 წლის განმავლობაში.

4. ცალკეული საბაჟო პროცედურების განხორციელებისას წინასწარი გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად წინასწარი გადაწყვეტილების მფლობელმა უნდა დაადასტუროს, რომ:

ა) სასაქონლო კოდის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების შემთხვევაში დეკლარირებული საქონელი სრულად შეესაბამება ამ გადაწყვეტილებაში აღწერილ საქონელს;

ბ) საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების შემთხვევაში განსახილველი საქონელი და მისი წარმოშობის გარემოებები სრულად შეესაბამება ამ გადაწყვეტილებაში აღწერილ საქონელსა და გარემოებებს.

მუხლი 23. წინასწარი გადაწყვეტილების მოქმედება

1. სასაქონლო კოდის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება ვადაზე ადრე წყვეტს მოქმედებას, თუ:

ა) შეიცვალა ან გაუქმდა საქართველოს კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა აღნიშნული გადაწყვეტილება;

ბ) შეიცვალა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა და ეს ცვლილება აღნიშნული გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ საქონელს ეხება.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინასწარი გადაწყვეტილება უქმდება იმავე ნაწილით გათვალისწინებული ცვლილების ძალაში შესვლის თარიღიდან.

3. საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება ვადაზე ადრე წყვეტს მოქმედებას, თუ:

ა) შეიცვალა ან გაუქმდა საქართველოს კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა აღნიშნული გადაწყვეტილება;

ბ) იგი აღარ შეესაბამება „წარმოშობის წესების შესახებ“ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებას.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წინასწარი გადაწყვეტილება მოქმედებას წყვეტს იმავე ნაწილით გათვალისწინებული ცვლილების ძალაში შესვლის თარიღიდან.

5. სასაქონლო კოდის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების ან საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებას არ შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი ძალა.

6. ამ კოდექსის მე-18 მუხლის მიუხედავად, წინასწარი გადაწყვეტილება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ იგი გამოცემულია არასწორ ან არასრულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

7. წინასწარი გადაწყვეტილება ძალადაკარგულად ცხადდება ამ კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად. ამასთანავე, არ შეიძლება წინასწარი გადაწყვეტილება ძალადაკარგულად გამოცხადდეს წინასწარი გადაწყვეტილების მფლობელის განცხადების საფუძველზე.

8. დაუშვებელია წინასწარ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა.

9. საბაჟო ორგანომ უნდა გააუქმოს სასაქონლო კოდის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება:

ა) თუ იგი, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიკური

საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომ – სეს ესნ) შესაბამისი ნორმის ინტერპრეტაციას. ამ შემთხვევაში წინასწარი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება ძალაში შედის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან;

ბ) სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც იგი არ შეესაბამება სეს ესნ-ის შესაბამისი ნორმის ინტერპრეტაციას.

10. საბაჟო ორგანომ უნდა გააუქმოს საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება:

ა) თუ იგი არ შეესაბამება სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში წინასწარი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება ძალაში შედის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან;

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში.

11. ამ მუხლის მე-3, მე-9 და მე-10 ნაწილების შესაბამისად წინასწარი გადაწყვეტილების მოქმედების ვადაზე ადრე შეწყვეტის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ამ გადაწყვეტილების მოქმედება შეიძლება გაგრძელდეს სავალდებულო ხელშეკრულებისთვის, რომელიც აღნიშნულ გადაწყვეტილებას ეფუძნება და რომელიც დადებულია მისი მოქმედების შეწყვეტამდე ან მის ძალადაკარგულად გამოცხადებამდე. ასეთი გადავადება არ ვრცელდება საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარ გადაწყვეტილებაზე, რომელიც გამოცემულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონლის მიმართ.

12. ამ მუხლის მე-11 ნაწილით გათვალისწინებული გადავადება არ უნდა აღემატებოდეს წინასწარი გადაწყვეტილების მოქმედების ვადაზე ადრე შეწყვეტის ან ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან 6 თვეს. იმ საქონლისთვის, რომლის მიმართ საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას წარდგენილია საქონლის შემოტანასთან ან გატანასთან დაკავშირებული სერტიფიკატი, 6-თვიანი ვადა უნდა შეიცვალოს ამ სერტიფიკატის მოქმედების ვადით.

13. იმისთვის, რომ წინასწარი გადაწყვეტილების მფლობელმა ისარგებლოს ამ მუხლის მე-11 ნაწილით გათვალისწინებული გადავადებით, მან აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან ან ძალადაკარგულად გამოცხადებიდან 30 დღის ვადაში უნდა მიმართოს საბაჟო ორგანოს განაცხადით. ეს განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმ საქონლის რაოდენობის შესახებ, რომლისთვისაც მოთხოვნილია ვადის გაგრძელება. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ვადის გაგრძელების თაობაზე და ეს აცნობოს წინასწარი გადაწყვეტილების მფლობელს დაყოვნების გარეშე, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი ყველა ინფორმაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 30 დღისა.

14. წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემასთან და წინასწარი გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებული პროცედურები და წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 24. სხვა ფაქტორების შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება

სასაქონლო კოდის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილებისა და საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების გარდა, საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, განსაზღვროს საბაჟო ორგანოს მიერ სხვა ფაქტორების შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის შემთხვევები.

მუხლი 25. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი

1. საქართველოში დაფუძნებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ამ კოდექსის 26-ე მუხლით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, უფლება აქვს, საბაჟო ორგანოს მიმართოს განცხადებით ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში

სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ საბაჟო ორგანო განმცხადებელს ანიჭებს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსს.

2. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი მოიცავს ორი სახის ავტორიზაციას:

ა) ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისთვის, რომელიც, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას;

ბ) ავტორიზაცია დაცვისა და უსაფრთხოებისთვის, რომელიც მის მფლობელს აძლევს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლებას.

3. პირს უფლება აქვს, ერთდროულად ფლობდეს ორივე სახის ავტორიზაციას.

4. თუ საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი აღიარებულია და შესრულებულია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი, კონკრეტული ტიპის საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, საბაჟო ორგანომ პირს უნდა მისცეს ამ გამარტივებით სარგებლობის უფლება. საბაჟო ორგანომ არ უნდა გადაამოწმოს ის კრიტერიუმები, რომლებიც ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების დროს შემოწმდა.

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი ავტორიზაციის სახის შესაბამისად სარგებლობს გამარტივებული საბაჟო კონტროლის ღონისძიებებით, მათ შორის, ნაკლები ფიზიკური და დოკუმენტური კონტროლით.

6. საბაჟო ორგანო ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსთან დაკავშირებულ პრივილეგიებს ანიჭებს უცხო ქვეყანაში დაფუძნებულ პირს, თუ იგი ასრულებს აღნიშნული ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ ვალდებულებებსა და პირობებს, რომლებიც საქართველოს მიერ აღიარებულია, როგორც საქართველოში ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორისთვის დადგენილი ვალდებულებებისა და პირობების ეკვივალენტური. აღნიშნული პრივილეგიების მინიჭება უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნაცვალგების პრინციპს, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორისთვის გამარტივებული საბაჟო ფორმალობები, დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შეღავათები და გამარტივებული საბაჟო კონტროლის ღონისძიებები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 26. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმები

1. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებია:

ა) საქართველოს საბაჟო, საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონმდებლობების მნიშვნელოვანი დარღვევის არარსებობა, აგრეთვე განმცხადებლის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულის არარსებობა;

ბ) განმცხადებლის მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და საქონლის ნაკადების კონტროლის მაღალი დონის არსებობა, რომელიც მიიღება კომერციული მართვის სისტემისა და შესაბამის შემთხვევაში ტრანსპორტირების აღრიცხვის მეშვეობით და რომელიც უზრუნველყოფს სათანადო საბაჟო კონტროლს;

გ) გადახდისუნარიანობა და ფინანსური მდგრადობა. ეს კრიტერიუმი შეიძლება დადასტურებულად იქნეს მიჩნეული, თუ განმცხადებელს აქვს კარგი ფინანსური მდგომარეობა, რომელიც საშუალებას აძლევს, შეასრულოს მის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები;

დ) ამ კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტორიზაციის შემთხვევაში – კომპეტენციის პრაქტიკული სტანდარტი ან განხორციელებულ საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული პროფესიული კვალიფიკაცია;

ე) ამ კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტორიზაციის შემთხვევაში – დაცვისა და უსაფრთხოების სათანადო სტანდარტი. ეს მოთხოვნა შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული, თუ განმცხადებელი ადასტურებს, რომ იღებს სათანადო ზომებს საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, ისეთ სფეროებში, როგორიცაა საქონლის მთლიანობა და შეღწევადობა, ლოჯისტიკური პროცესები და სპეციფიკური საქონლის დამუშავება, პერსონალი და ბიზნესპარტნიორების იდენტიფიცირება.

2. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის ფლობასთან დაკავშირებული გამარტივებული საბაჟო ფორმალობები ან/და დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შეღავათები არ ვრცელდება იმ საქონელზე, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით საბაჟო კონტროლის განსაკუთრებული პირობებია დადგენილი.

3. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების პირობები, შესაბამისი სახის ავტორიზაციით სარგებლობის წესი, აგრეთვე შემთხვევები, რომლებზედაც არ ვრცელდება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის ფლობასთან დაკავშირებული გამარტივებული საბაჟო ფორმალობები ან/და დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შეღავათები, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

თავი III. საბაჟო კონტროლი

მუხლი 27. საბაჟო კონტროლი და რისკის მართვა

1. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საბაჟო კონტროლი ნებისმიერი ფორმით, მათ შორის:

ა) შეამოწმოს დეკლარაცია, დოკუმენტი, მონაცემი და მისთვის ნებისმიერი სახით წარდგენილი სხვა ინფორმაცია;

ბ) ჩაატაროს ზეპირი გამოკითხვა, მიიღოს ახსნა-განმარტება, განახორციელოს დაკვირვება (ვიდეო- და აუდიოჩაწერა);

გ) დაათვალიეროს საქონელი, სატრანსპორტო საშუალება, შენობა-ნაგებობა და ტერიტორია;

დ) ლაბორატორიული კვლევის მიზნით აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში;

ე) დაათვალიეროს ფიზიკური პირი;

ვ) მოახდინოს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით ნიშანდება;

ზ) განახორციელოს კონტროლისადმი დაქვემდებარებული მიწოდება;

თ) განახორციელოს საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი;

ი) განახორციელოს საბაჟო კონტროლი საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ფორმით.

2. საბაჟო კონტროლი, გარდა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შემოწმებისა, ეფუძნება ეროვნულ და

საერთაშორისო დონეებზე შემუშავებული რისკის კრიტერიუმების საფუძველზე რისკის გამოვლენის, შეფასების და პრევენციული ზომების მიღების მიზნით მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების საშუალების გამოყენებას.

3. საბაჟო ორგანო რისკის მართვის ფარგლებში ადგენს საბაჟო კონტროლისადმი ან საბაჟო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ საქონელთან დაკავშირებული რისკის განსხვავებულ დონეებს, აგრეთვე იმას, ექვემდებარება თუ არა საქონელი სპეციალურ საბაჟო კონტროლს, და, თუ საქონელი აღნიშნულ კონტროლს ექვემდებარება, განსაზღვრავს საბაჟო კონტროლის განხორციელების ადგილს.

4. რისკი არის საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანასთან, ტრანზიტთან, გადაადგილებასთან, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებასთან ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არსებულ უცხოურ საქონელთან დაკავშირებული შემთხვევის დადგომის ალბათობა, რომელიც:

ა) ხელს უშლის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების სათანადო გამოყენებას;

ბ) ზიანს აყენებს საქართველოს სახელმწიფოს ფინანსურ ინტერესს;

გ) საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოს და მისი მოსახლეობის უსაფრთხოებას, ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობას ან მცენარის სიჯანსაღეს, გარემოს ან მომხმარებელს.

5. რისკის მართვა არის რისკის ზემოქმედების შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით რისკის სისტემატური იდენტიფიცირება, მათ შორის, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შემოწმებით. რისკის მართვა მოიცავს მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვებას, რისკის ანალიზსა და შეფასებას, მისაღები ზომების განსაზღვრას და მათ მიღებას, ამ პროცესებსა და მათ შედეგებზე რეგულარულ დაკვირვებას და მათ გადახედვას.

6. თუ საქონელი, საბაჟო კონტროლის გარდა, ექვემდებარება აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სახის კონტროლს, რომელსაც საბაჟო ორგანოს გარდა, სხვა კომპეტენტური ორგანოც ახორციელებს, საბაჟო ორგანო ამ კომპეტენტურ ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში (თუ შესაძლებელია, საბაჟო კონტროლთან ერთად (ერთი სარკმლის პრინციპით)) ახორციელებს ამ სახის კონტროლს.

7. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანამდებობის პირების ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიმართ განსხვავებული საბაჟო კონტროლის განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 28. კონტროლისადმი დაქვემდებარებული მიწოდება

1. საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით შემოტანილი საქონლის ბრუნვის აღსაკვეთად და ამ ბრუნვაში მონაწილე პირების გამოსავლენად საბაჟო ორგანო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, უცხო ქვეყნის საბაჟო ორგანოს ან/და სხვა კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნით ან საქართველოს საბაჟო ორგანოს ან/და სამართალდამცავი ორგანოს მოთხოვნით იყენებს კონტროლისადმი დაქვემდებარებული მიწოდების ფორმას, რაც გულისხმობს საბაჟო ორგანოს კონტროლის ქვეშ ზემოაღნიშნული, უკანონო ბრუნვაში მოქცეული საქონლის საქართველოში შემოტანას, საქართველოდან გატანას ან მის ტერიტორიაზე ტრანზიტით გატარებას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქონლის მიმართ კონტროლისადმი დაქვემდებარებული მიწოდების ფორმის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბაჟო ორგანო შესაბამის სამართალდამცავ ორგანოსთან შეთანხმებით.

3. კონტროლისადმი დაქვემდებარებული მიწოდების განხორციელების წესი განისაზღვრება

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

მუხლი 29. საბაჟო კონტროლის ზონა

1. საბაჟო კონტროლის ზონა არის სპეციალურად გამოყოფილი ადგილი, სადაც საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების და პირის მიმართ ხორციელდება საბაჟო კონტროლის ღონისძიებები.

2. საბაჟო კონტროლის ზონებია:

ა) საბაჟო გამშვები პუნქტი;

ბ) საბაჟო ორგანოს საწყობი;

გ) გაფორმების ეკონომიკური ზონა;

დ) საბაჟო საწყობი;

ე) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი;

ვ) საერთაშორისო მიმოსვლისთვის გახსნილ აეროპორტში, საზღვაო პორტში, ნავსადგურში, რკინიგზის სადგურში არსებული, საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული ტერიტორია;

ზ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განლაგებული რკინიგზის სადგურის სალიანდაგო ნაწილი – ამ სალიანდაგო ნაწილზე საბაჟო კონტროლისადმი დაქვემდებარებული საქონლის განთავსების პერიოდში;

თ) შენახვის სხვა ადგილი, ნაგებობა, სატრანსპორტო საშუალება, სადაც იმყოფება საბაჟო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება;

ი) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო ფორმალობის განხორციელებისთვის განსაზღვრული სხვა ადგილი.

3. აკრძალულია საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების და პირის გადაადგილება, სატრანსპორტო საშუალების დატვირთვა/გადმოტვირთვა და აუცილებელი საბაჟო ფორმალობის განხორციელებამდე საქონლის საბაჟო კონტროლის ზონის საზღვრების გარეთ გატანა.

4. საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ საბაჟო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ საქონელზე საკუთრების უფლება შეიძლება გადაეცეს სხვა პირს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესითა და პირობებით.

5. აეროპორტის, ნავსადგურის, რკინიგზის სადგურის საბაჟო კონტროლის ზონაში შესვლისა და გადაადგილების და ამ ზონის დატოვების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

მუხლი 30. საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი

1. საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი ხორციელდება საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. საბაჟო ორგანოს შეუძლია საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელებისას შეამოწმოს:

ა) საბაჟო დეკლარაციით, დროებით შენახვის დეკლარაციით, საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციით, საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციით, რეექსპორტის დეკლარაციით ან რეექსპორტის შეტყობინებით დეკლარირებული მონაცემების სისწორე, აგრეთვე მისი თანმხლები დოკუმენტების არსებობა, სისწორე, ნამდვილობა და ძალაში ყოფნა;

ბ) დეკლარანტის საბუღალტრო და სხვა ჩანაწერები, რომლებიც დაკავშირებულია შესამოწმებელ საქონელთან ან მასთან დაკავშირებულ ოპერაციებთან ამ საქონლის გაშვებამდე ან გაშვების შემდეგ.

3. საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, დაათვალიეროს საქონელი ან/და აიღოს მისი სინჯი ან/და ნიმუში, თუ საქონლის დათვალიერება ან/და მისი სინჯის ან/და ნიმუშის აღება შესაძლებელია.

4. საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი შეიძლება განხორციელდეს საქონლის მფლობელის ან მისი წარმომადგენლის ანდა საქონელთან დაკავშირებით განხორციელებულ ოპერაციაში პირდაპირ ან ირიბად ჩართული ნებისმიერი პირის შენობა-ნაგებობაში, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირის შენობა-ნაგებობაში, რომელიც ფლობს აღნიშნულ ოპერაციასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასა და მონაცემს.

5. საქონლის გაშვების შემდგომ კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საბაჟო ორგანო. სხვა მაკონტროლებელ ორგანოს და სამართალდამცავ ორგანოს ეკრძალებათ საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელება.

6. საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანო უფლებამოსილია იმპორტის გადასახდელის/საბაჟო სანქციის ოდენობა განსაზღვროს ამ ორგანოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, თუ პირი მას არ წარუდგენს მოთხოვნილ ინფორმაციას.

7. საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა. საჭიროების შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს უფროსთან შეთანხმებით შესაძლებელია შემოწმების ვადა დამატებით გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვისა.

8. საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შედეგები აისახება შემოწმების აქტში, რომლის საფუძველზედაც მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება.

9. თუ საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შედეგად გამოვლინდა პირისთვის იმპორტის გადასახდელის დარიცხვის ან/და საბაჟო სანქციის შეფარდების აუცილებლობა, საბაჟო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას პირისთვის იმპორტის გადასახდელის დარიცხვის ან/და საბაჟო სანქციის შეფარდების შესახებ.

10. ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში შემოწმების აქტი და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება პირს წარედგინება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 64-ე მუხლით გათვალისწინებულ საგადასახადო მოთხოვნასთან (შემდგომ – საგადასახადო მოთხოვნა) ერთად.

11. შემოწმების აქტის საფუძველზე იმპორტის გადასახდელის დარიცხვის და შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი. ეს ვადა არ გამოიყენება ამ კოდექსის 141-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

12. ამ მუხლის მე-11 ნაწილით დადგენილი ვადა აითვლება იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობის შესაბამისი კალენდარული წლის დასრულებიდან.

13. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

14. აკრძალულია მოსამართლის ბრძანების გარეშე შემოწმებული საკითხის ხელახალი შემოწმება.

15. საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 31. დოკუმენტებისა და სხვა ინფორმაციის შენახვის ხანდაზმულობის ვადა

1. საბაჟო კონტროლის მიზნისთვის პირი ვალდებულია ამ კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია შეინახოს არანაკლებ 3 წლისა, საბაჟო ორგანოსთვის მისაღები და ხელმისაწვდომი ნებისმიერი ფორმით.

2. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლისთვის (გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) ან ექსპორტის პროცედურაში დეკლარირებული საქონლისთვის ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადა აითვლება საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის ან ექსპორტის პროცედურაში საქონლის მოქცევის წლის დასრულებიდან.

3. თავისუფალ მიმოქცევაში მიზნობრივი დანიშნულებით გაშვებული საქონლისთვის ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადა აითვლება ამ საქონელზე საბაჟო ზედამხედველობის დასრულების წლის ბოლოდან.

4. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების გარდა, სხვა საბაჟო პროცედურაში მოქცეული ან დროებით შენახული საქონლისთვის ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადა აითვლება ამ საბაჟო პროცედურის ან დროებით შენახვის დასრულების წლის ბოლოდან.

მუხლი 32. მომსახურების საფასურები

1. პირს არ ეკისრება საბაჟო ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო დროის განმავლობაში საბაჟო კონტროლის განხორციელებისთვის ამ ორგანოსთვის საფასურის გადახდის ვალდებულება.

2. პირს შეიძლება დაეკისროს მომსახურების საფასურის გადახდის ან გაწეული ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება საბაჟო ორგანოს მიერ მომსახურების გაწევისას, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო ორგანო დაინტერესებული პირის მოთხოვნით საბაჟო კონტროლს ახორციელებს არასამუშაო დროს, საბაჟო გამშვები პუნქტის, საქონლის გაფორმების ადგილის ან საბაჟო ორგანოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საბაჟო ფორმალობების განხორციელების ადგილის გარეთ;

ბ) წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემისთვის ან საბაჟო ორგანოს მიერ ამ კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ ინფორმაციის გაცემისთვის აუცილებელი გახდა შესაბამისი პირის მიერ საბაჟო ორგანოსთვის წარდგენილი საქონლის გამოკვლევის/ექსპერტიზის ჩატარება და ამ საქონლის განმცხადებლისთვის დაბრუნების საფოსტო მომსახურების გაწევა;

გ) ხორციელდება საქონლის გამოკვლევა/ექსპერტიზა საბაჟო დეკლარაციის შემოწმების მიზნით ან საქონლის განადგურება, თუ გაწეულია სხვა დანახარჯები, გარდა საბაჟო ორგანოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯებისა;

დ) საქონლის სახეობიდან ან პოტენციური რისკიდან გამომდინარე, ხორციელდება განსაკუთრებული კონტროლის ღონისძიებები;

ე) საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას გაიწევა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სხვა სახის მომსახურება.

3. მომსახურების საფასურის განაკვეთი და გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

თავი IV. საბაჟო დავა

მუხლი 33. საბაჟო დავის წარმოება

1. საბაჟო ორგანოს მიერ ამ კოდექსის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან სასამართლოში.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საბაჟო დავა (შემდგომ – დავა) განიხილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად საგადასახადო დავის განხილვისთვის დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მომჩივანს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს.

4. სასამართლოში დავის წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით.

5. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას, გარდა ამ მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. საბაჟო ორგანომ/დავის განმხილველმა ორგანომ მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა შეაჩეროს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობას ან მისი აღსრულება შესაბამის პირს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს.

7. გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომელიც იმპორტის გადასახდელის/საბაჟო სანქციის გადახდის ვალდებულებას წარმოშობს, შეჩერებულად მიიჩნევა დავის დაწყების დღიდან მის დასრულებამდე, მხოლოდ იმპორტის გადასახდელის/საბაჟო სანქციის გადახდის ნაწილში.

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 254-ე მუხლით გათვალისწინებული სადავო საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებები იმავე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

9. დავის პერიოდში ამ კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა ჩერდება.

10. საბაჟო ორგანოს მიერ სასამართლოს/დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულებისას ამ კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა არ გამოიყენება.

წიგნი II

ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები, საქონლის საბაჟო ღირებულება

თავი V. ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები

მუხლი 34. ვაჭრობაში დამცავი ღონისძიება

ვაჭრობაში დამცავი ღონისძიება არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შემოღებული ღონისძიება.

მუხლი 35. საქონლის იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია

1. საქონლის იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია ხორციელდება სეს ესნ-ის საფუძველზე, რომელიც დგინდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

2. სეს ესნ არის სასაქონლო კლასიფიკაციის კოდების სისტემა, რომელიც შეესაბამება „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის ნომენკლატურას და დეტალიზებულია თერთმეტი ნიშნით, ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. საქონლის დეკლარირებისას სასაქონლო კოდს სეს ესნ-ის შესაბამისად განსაზღვრავს დეკლარანტი.

4. საბაჟო ორგანო აკონტროლებს დეკლარანტის მიერ განსაზღვრული სასაქონლო კოდის სისწორეს.

მუხლი 36. საქონლის წარმოშობა

1. საქონლის წარმოშობა განისაზღვრება საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ან/და საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

2. საქონლის წარმოშობა შეიძლება იყოს არაპრეფერენციული ან პრეფერენციული.

3. საქონლის არაპრეფერენციული წარმოშობა გამოიყენება:

ა) იმპორტის გადასახადის მიზნისთვის, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობისა;

ბ) საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი არასატარიფო ღონისძიების განხორციელებისთვის, რომელიც დადგენილია სხვა სამართლებრივი აქტებით.

4. საქონელს მიენიჭება არაპრეფერენციული წარმოშობა და მიიჩნევა იმ ქვეყანაში წარმოშობილად, სადაც:

ა) მთლიანად მიღებულია ეს საქონელი;

ბ) ამ საქონელმა განიცადა ბოლო მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, როდესაც მის წარმოებაში ერთზე მეტი ქვეყანა მონაწილეობდა.

5. საქონლის პრეფერენციული წარმოშობის განსაზღვრის კრიტერიუმები და წესი, აგრეთვე საქონლის პრეფერენციული წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა და მისი შევსების წესი განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით.

6. თუ საბაჟო დეკლარაციაში მითითებულია ინფორმაცია საქონლის წარმოშობის ქვეყნის შესახებ, საბაჟო ორგანომ შეიძლება დეკლარანტს მოსთხოვოს საქონლის წარმოშობის დადასტურება.

7. თუ საქონლის წარმოშობის დადასტურება საქართველოს კანონმდებლობით მოითხოვება, გონივრული ეჭვის არსებობისას საბაჟო ორგანომ შეიძლება მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებები იმაში დასარწმუნებლად, რომ საქონლის წარმოშობის შესახებ ინფორმაცია საქონლის წარმოშობის განსაზღვრის შესაბამისი წესების მიხედვით არის მითითებული.

8. საქართველოში წარმოშობის სტატუსის მქონე საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის, აგრეთვე მისი წარმოშობის დადასტურების პროცედურები და წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

თავი VI. საქონლის საბაჟო ღირებულება

მუხლი 37. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ზოგადი დებულებები

1. საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება ამ კოდექსისა და „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ“ შეთანხმებით დადგენილი წესების შესაბამისად.

2. საქონლის დეკლარირებისას საქონლის საბაჟო ღირებულებას განსაზღვრავს დეკლარანტი, ხოლო დეკლარანტის მიერ განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულების სისწორეს აკონტროლებს საბაჟო ორგანო.

3. ის ფაქტი, რომ საქონელი გაყიდვის საგანია და დეკლარირებულია თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით, საკმარისია იმისთვის, რომ ეს საქონელი მიჩნეულ იქნეს საქართველოში საექსპორტოდ გაყიდულად. თუ საქონლის საქართველოში საექსპორტოდ გაყიდვის შემდეგ განხორციელდა ამ საქონლის გადაყიდვა (მათ შორის, საბაჟო საწყობში), საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება მისი საქართველოში საექსპორტოდ გაყიდვის ფასი.

4. ამ თავის მიზნებისთვის პირები ურთიერთდამოკიდებულ პირებად მიიჩნევიან, თუ:

ა) ისინი მართავენ ერთმანეთის ბიზნესს (არიან სამეწარმეო სუბიექტის მართვის უფლებამოსილების მქონე პირები);

ბ) ისინი არიან კანონიერად აღიარებული საქმიანი პარტნიორები (სამეწარმეო ინტერესით დაკავშირებული პირები);

გ) ისინი არიან დამსაქმებელი და დასაქმებული;

დ) მესამე პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ან აკონტროლებს ორივე პირის ხმის უფლების მქონე აქციების 5 ან 5-ზე მეტ პროცენტს ან მესამე პირს აქვს აღნიშნული აქციების 5 ან 5-ზე მეტი პროცენტი;

ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;

ვ) მათ პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;

ზ) ისინი ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;

თ) ისინი არიან ერთი ოჯახის წევრები.

5. ამ თავის მიზნებისთვის საქმიანი ურთიერთობით დაკავშირებული პირები, რომელთაგან ერთი არის მეორის ექსკლუზიური აგენტი, დისტრიბუტორი ან კონცესიონერი, ურთიერთდამოკიდებულ პირებად მიიჩნევიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებენ ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

6. შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება შემდეგი მეთოდებით:

ა) გარიგების ფასის მიხედვით (პირველი მეთოდი);

ბ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით (მეორე მეთოდი);

გ) მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით (მესამე მეთოდი);

დ) საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით (მეოთხე მეთოდი);

ე) შედგენილი ღირებულების მიხედვით (მეხუთე მეთოდი);

ვ) სარეზერვო მეთოდით (მეექვსე მეთოდი).

7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ყოველი მომდევნო მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებულად ვერ ხერხდება წინა მეთოდის გამოყენება. დეკლარანტს უფლება აქვს, შეცვალოს ამ მუხლის მე-6 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდების გამოყენების რიგითობა.

8. საქონლის საქართველოში საექსპორტოდ გაყიდვის შემდეგ, მის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევამდე ამ საქონლის მესამე ქვეყანაში გამოყენება შეიძლება გახდეს საქონლის საბაჟო ღირებულების გარიგების ფასის მიხედვით განსაზღვრაზე უარის თქმის საფუძველი.

9. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნისთვის ფაქტობრივად გადახდილი ან/და გადასახდელი ფასი არის მთლიანი თანხა, რომელიც მყიდველმა გამყიდველს გადაუხადა ან/და უნდა გადაუხადოს ან/და გამყიდველის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს. აღნიშნული ფასი მოიცავს ყველა გადახდას, როგორც პირდაპირს, ისე არაპირდაპირს, რომლებიც საქონლის გაყიდვის პირობებია.

10. საქონლის წარმოშობის ქვეყანაში ან საქონლის ექსპორტის ქვეყანაში გადახდილი არაპირდაპირი გადასახადის თანხა საქონლის საბაჟო ღირებულებაში არ შეიტანება.

11. თუ საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მომენტისთვის:

ა) საქონლის ფასი ფაქტობრივად ან სრულად გადახდილი არ არის, მისი საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად გამოიყენება სრულად გადასახდელი ფასი;

ბ) საქონლის საბოლოო გადასახდელი ფასი ფაქტობრივად გადახდილ ან/და გადასახდელ ფასზე მაღალია, მისი საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად გამოიყენება საბოლოო გადასახდელი ფასი;

გ) საქონლის საბოლოო გადასახდელი ფასი ფაქტობრივად გადახდილ ან/და გადასახდელ ფასზე დაბალია, მისი საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად დეკლარანტის განცხადების საფუძველზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბოლოო გადასახდელი ფასი, თუ ეს თავდაპირველი კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულებაა.

12. თუ დეკლარირებული საქონელი ერთი ტრანზაქციით შემენილი სასაქონლო პარტიის ნაწილია, საქონლის გარიგების ფასი ისეთივე პროპორციით უნდა შეეფარდებოდეს მთლიანი სასაქონლო პარტიის ფასს, როგორითაც დეკლარირებული საქონლის რაოდენობა შეეფარდება მთლიანი სასაქონლო პარტიის რაოდენობას. ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასი პროპორციულად განაწილდება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ტვირთის ნაწილი დაიკარგა.

13. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას ამ თავის დებულებები გამოიყენება აგრეთვე საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებამდე მის მიმართ სხვა საბაჟო პროცედურის გამოყენების ან საქონლის გამოყენების მიზნის შეცვლის შემთხვევაში.

მუხლი 38. გარიგების ფასის მეთოდი

1. ეს მუხლი განიხილება ამ კოდექსის 44-ე მუხლთან ერთად, რომელიც ითვალისწინებს საქონლისთვის ფაქტობრივად გადახდილი ან/და გადასახდელი ფასის კორექტირებას იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველს ეკისრება გარკვეული ელემენტების გადახდა, რომლებიც საბაჟო ღირებულების ნაწილია, მაგრამ არ არის შეტანილი საქონლისთვის ფაქტობრივად გადახდილ ან გადასახდელ ფასში.

2. საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით, ანუ საქართველოში საექსპორტოდ გაყიდული საქონლისთვის ფაქტობრივად გადახდილი ან/და გადასახდელი ფასით, ამ კოდექსის 44-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, თუ სრულდება ყველა შემდეგი პირობა:

ა) არ არსებობს რაიმე შეზღუდვა, რომელიც დაკავშირებულია მყიდველის მიერ საქონლის განკარგვასთან ან გამოყენებასთან, გარდა იმ შეზღუდვისა, რომელიც:

ა.ა) საქართველოს კანონმდებლობით არის დადგენილი ან მოთხოვნილი;

ა.ბ) ადგენს იმ გეოგრაფიული რაიონების ჩამონათვალს, სადაც დაშვებულია საქონლის ხელახალი გაყიდვა;

ა.გ) გავლენას არ ახდენს საქონლის ღირებულებაზე;

ბ) საქონლის გაყიდვა ან ფასი არ არის დაკავშირებული რაიმე პირობასთან ან გარემოებასთან, რომლის საქონლის ღირებულებასთან მიმართებით შეფასება (ღირებულების განსაზღვრა) შეუძლებელია. თუ ასეთი პირობის ან გარემოების შეფასება (ღირებულების განსაზღვრა) შესაძლებელია, ეს ღირებულება მიიჩნევა მყიდველის მიერ განხორციელებულ ირიბ გადახდად და, შესაბამისად, ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასის ნაწილად;

გ) მყიდველის მიერ საქონლის შემდგომი გაყიდვის, განკარგვის ან გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლის არცერთი ნაწილი არც პირდაპირ და არც ირიბად არ გადაეცემა გამყიდველს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია სათანადო შესწორების შეტანა ამ კოდექსის 44-ე მუხლის შესაბამისად;

დ) ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასი გამოიანგარიშება ობიექტურ და დასაბუთებულ მონაცემთა საფუძველზე;

ე) მყიდველი და გამყიდველი არ არიან ურთიერთდამოკიდებული პირები. თუ მყიდველი და გამყიდველი ურთიერთდამოკიდებული პირები არიან, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისთვის გარიგების ფასის მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა დგინდება ამ მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების გათვალისწინებით.

3. მხოლოდ ის გარემოება, რომ მყიდველი და გამყიდველი ურთიერთდამოკიდებული პირები არიან, არ შეიძლება გახდეს საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს გარიგების ფასის მეთოდის გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველი. ამ შემთხვევაში მოწმდება საქონლის გაყიდვის ყველა გარემოება და გარიგების ფასი გამოიყენება, თუ აღნიშნულ პირთა ურთიერთდამოკიდებულებას საქონლის გარიგების ფასზე გავლენა არ მოუხდენია.

4. თუ დეკლარანტის მიერ წარდგენილი ან სხვა სახით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საბაჟო ორგანოს გაუჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთდამოკიდებულებამ გავლენა მოახდინა საქონლის გარიგების ფასზე, საბაჟო ორგანო დეკლარანტს აცნობებს თავის დასაბუთებულ მოსაზრებებს (დეკლარანტის მოთხოვნის შემთხვევაში – წერილობით). დეკლარანტს უფლება აქვს, აღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტება.

5. თუ მყიდველი და გამყიდველი ურთიერთდამოკიდებული პირები არიან, საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასის მეთოდით, თუკი დეკლარანტი საბაჟო ორგანოს წარუდგენს იმის მტკიცებულებას, რომ აღნიშნული ღირებულება მაქსიმალურად მიახლოებულია დროის იმავე მონაკვეთში განსაზღვრული შემდეგი ღირებულებებიდან ერთ-ერთთან:

ა) იმ შემოტანილი იდენტური ან მსგავსი საქონლის გარიგების ფასთან, რომელიც გამყიდველმა

არაურთიერთდამოკიდებულ პირს (მყიდველს) მიჰყიდა;

ბ) ამ კოდექსის 41-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ იდენტური ან მსგავსი საქონლის საბაჟო ღირებულებასთან;

გ) ამ კოდექსის 42-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ იდენტური ან მსგავსი საქონლის საბაჟო ღირებულებასთან.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესი გამოიყენება დეკლარანტის სურვილით, მხოლოდ შედარებისთვის. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იქნეს განსხვავებები კომერციულ და რაოდენობრივ დონეებს შორის, ამ კოდექსის 44-ე მუხლით გათვალისწინებულ ელემენტებსა და გამყიდველის მიერ საქონლის ისეთი გაყიდვის შედეგად გაწეულ ხარჯებში, რომლის დროსაც მყიდველი და გამყიდველი არ არიან ურთიერთდამოკიდებული პირები.

მუხლი 39. იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდი

1. თუ შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების გარიგების ფასის მეთოდით განსაზღვრა შეუძლებელია, საქონლის საბაჟო ღირებულებად მიიჩნევა იმ შემოტანილი იდენტური საქონლის გარიგების ღირებულება, რომელიც საქართველოში საექსპორტოდ გაიყიდა და ექსპორტირებულ იქნა იმავე ან თითქმის იმავე დროს, როდესაც შესაფასებელი საქონლის ექსპორტი განხორციელდა.

2. ამ მუხლის მიზნისთვის იდენტური საქონლის იმავე ან თითქმის იმავე დროს ექსპორტირება ნიშნავს, რომ იდენტური საქონლის ექსპორტის თარიღსა და შესაფასებელი საქონლის ექსპორტის თარიღს შორის განსხვავება 30 დღეს არ აღემატება (შესაფასებელი საქონლის ექსპორტი განხორციელდა იდენტური საქონლის ექსპორტამდე 30 დღით ადრე ან მისი ექსპორტიდან 30 დღის შემდეგ).

3. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნისთვის საქონელი იდენტურ საქონლად მიიჩნევა, თუ ეს საქონელი და შესაფასებელი საქონელი, ფიზიკური მახასიათებლების, ხარისხის, რეპუტაციისა და წარმოშობის ქვეყნის მიხედვით, ერთნაირია. საქონელი იდენტურ საქონლად მიიჩნევა იმის მიუხედავად, რომ ამ საქონელსა და შესაფასებელ საქონელს შორის უმნიშვნელო გარეგნული განსხვავებებია, თუ სხვა მაჩვენებლებით იგი შეესაბამება ზემოაღნიშნულ განსაზღვრებას.

4. იდენტურ საქონლად არ მიიჩნევა ისეთი საქონელი, რომლის ინჟინერია, დამუშავება, მხატვრული დიზაინი, ნახაზები და ესკიზები საქართველოშია დამზადებული.

5. ამ მუხლის გამოყენებისას სხვა პირის მიერ წარმოებული საქონლის გარიგების ფასი გაითვალისწინება, თუ არ მოიპოვება მონაცემები იმავე პირის (მწარმოებლის) მიერ წარმოებული იდენტური საქონლის გარიგების ფასის შესახებ.

6. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველია:

ა) საბაჟო ორგანოს მიერ რეგისტრირებული იმ შემოტანილი იდენტური საქონლის გარიგების ფასი, რომელიც საქართველოში საექსპორტოდ გაიყიდა იმავე კომერციულ და რაოდენობრივ დონეებზე, რომლებზედაც გაიყიდა შესაფასებელი საქონელი (იგულისხმება სასაქონლო პარტიის მოცულობა და ფასი);

ბ) ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის არარსებობისას – საბაჟო ორგანოს მიერ რეგისტრირებული, შემოტანილი იდენტური საქონლის გარიგების ფასი, რომელიც გაიყიდა სხვა კომერციულ დონეზე ან/და სხვა რაოდენობით, თუ აღნიშნული საქონლის საბაჟო ღირებულება კორექტირებულია კომერციული დონით ან/და რაოდენობით განპირობებულ სხვაობათა გათვალისწინებით. ასეთი კორექტირება შეიძლება გაკეთდეს საბაჟო ორგანოსთვის წარდგენილი მტკიცებულების საფუძველზე, რომელიც ადასტურებს კორექტირების მიზანშეწონილობასა და სიზუსტეს, მიუხედავად იმისა, ზრდის თუ ამცირებს კორექტირება საქონლის საბაჟო ღირებულებას.

7. ამ კოდექსის 44-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ხარჯების იმ განსხვავების გასათვალისწინებლად, რომელიც გამოწვეულია შესაფასებელი საქონლისა და შემოტანილი იდენტური საქონლის გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალებების და გადაზიდვის მანძილების განსხვავებით, ხორციელდება საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირება.

8. ამ მუხლის მიზნისთვის შემოტანილი იდენტური საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც კორექტირებულია ამ მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების შესაბამისად, განისაზღვრება მხოლოდ გარიგების ფასის მეთოდით.

9. თუ გამოვლინდა შემოტანილი იდენტური საქონლის ერთზე მეტი გარიგების ფასი, შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება უმცირესი ფასი.

მუხლი 40. მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდი

1. თუ შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების გარიგების ფასის მეთოდით ან იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდით განსაზღვრა შეუძლებელია, საქონლის საბაჟო ღირებულებად მიიჩნევა იმ მსგავსი საქონლის გარიგების ფასი, რომელიც გაყიდულ იქნა საქართველოში ექსპორტირების მიზნით და ექსპორტირებულ იქნა იმავე ან თითქმის იმავე დროს, როდესაც შესაფასებელი საქონლის ექსპორტი განხორციელდა.

2. ამ მუხლის მიზნისთვის იმავე ან თითქმის იმავე დროს ექსპორტირებული ნიშნავს, რომ მსგავსი საქონლის ექსპორტის თარიღსა და შესაფასებელი საქონლის ექსპორტის თარიღს შორის განსხვავება 30 დღეს არ აღემატება (ექსპორტამდე 30 დღით ადრე ან ექსპორტიდან 30 დღის შემდეგ).

3. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნისთვის მსგავს საქონლად მიიჩნევა საქონელი, რომელიც არ არის ზუსტად შესაფასებელი საქონელი, ამასთანავე, მსგავს საქონელსა და შესაფასებელ საქონელს აქვს ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა, მსგავსი ფიზიკური მახასიათებლები და შემადგენელი მასალები, რომელთა საფუძველზედაც მსგავს საქონელს შეუძლია შეასრულოს იგივე ფუნქციები, რომლებსაც შესაფასებელი საქონელი ასრულებს, და იყოს კომერციული თვალსაზრისით ჩანაცვლებადი.

4. მსგავს საქონლად არ მიიჩნევა ისეთი საქონელი, რომლის ინჟინერია, დამუშავება, მხატვრული დიზაინი, ნახაზები და ესკიზები საქართველოშია დამზადებული.

5. ამ მუხლის გამოყენებისას სხვა პირის მიერ წარმოებული საქონლის გარიგების ფასი გაითვალისწინება, თუ არ მოიპოვება მონაცემები იმავე პირის (მწარმოებლის) მიერ წარმოებული მსგავსი საქონლის გარიგების ფასის შესახებ.

6. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველია:

ა) საბაჟო ორგანოს მიერ რეგისტრირებული იმ შემოტანილი მსგავსი საქონლის გარიგების ფასი, რომელიც საქართველოში გაიყიდა იმავე კომერციულ და რაოდენობრივ დონეებზე, რომლებზედაც გაიყიდა შესაფასებელი საქონელი (იგულისხმება სასაქონლო პარტიის მოცულობა და ფასი);

ბ) ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის არარსებობისას – საბაჟო ორგანოს მიერ რეგისტრირებული, შემოტანილი მსგავსი საქონლის გარიგების ფასი, რომელიც გაიყიდა სხვა კომერციულ დონეზე ან/და სხვა რაოდენობით, თუ აღნიშნული საქონლის საბაჟო ღირებულება კორექტირებულია კომერციული დონით ან/და რაოდენობით განპირობებულ სხვაობათა გათვალისწინებით. ასეთი კორექტირება შეიძლება გაკეთდეს საბაჟო ორგანოსთვის წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელიც ადასტურებს კორექტირების მიზანშეწონილობასა და სიზუსტეს, მიუხედავად იმისა, ზრდის თუ ამცირებს კორექტირება საქონლის საბაჟო ღირებულებას.

7. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას ამ კოდექსის 44-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ხარჯების იმ განსხვავების გასათვალისწინებლად, რომელიც გამოწვეულია

შესაფასებელი საქონლისა და შემოტანილი მსგავსი საქონლის გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალებების და გადაზიდვის მანძილების განსხვავებით, ხორციელდება საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირება.

8. ამ მუხლის მიზნისთვის შემოტანილი მსგავსი საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც კორექტირებულია ამ მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების შესაბამისად, განისაზღვრება მხოლოდ გარიგების ფასის მეთოდით.

9. თუ გამოვლინდა შემოტანილი მსგავსი საქონლის ერთზე მეტი გარიგების ფასი, შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება უმცირესი ფასი.

მუხლი 41. საქონლის ერთეულის ფასის მეთოდი

1. ამ მუხლის მიზნისთვის:

ა) იდენტური საქონელი არის საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) მსგავსი საქონელი არის საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კოდექსის მე-40 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს;

გ) იმავე კლასის ან ტიპის საქონელი არის საქონელი, რომელიც ძირითადი ფიზიკური მახასიათებლებით შესაფასებელი საქონლის ერთგვაროვანია, ამასთანავე, მისი მახასიათებლები მაქსიმალურად მიახლოებულია შესაფასებელი საქონლის მახასიათებლებთან და იგი საქონლის სახეობის ვიწრო ჯგუფს, რიგსა და ნომენკლატურას მიეკუთვნება. იმავე კლასის ან ტიპის საქონლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქონელი, რომელიც საქართველოში შემოიტანება შესაფასებელი საქონლის ექსპორტის ქვეყნიდან ან სხვა ქვეყნიდან.

2. თუ შესაფასებელი, იდენტური ან მსგავსი საქონელი საქართველოში იყიდება იმავე სასაქონლო სახით, რა სახითაც იგი შემოტანილია საქართველოში (უცვლელ მდგომარეობაში), შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება საქონლის ერთეულის იმ ფასით, რომლითაც იდენტური ან მსგავსი საქონელი იმავე ან თითქმის იმავე დროს, როდესაც შესაფასებელი საქონელი იქნა შემოტანილი, მაქსიმალური ოდენობით გაიყიდა არაურთიერთდამოკიდებულ პირზე, პირველივე კომერციულ დონეზე, შემდეგი გამოქვითვების გათვალისწინებით:

ა) საკომისიო, რომელიც, ჩვეულებრივ, გადაიხდევინება ან წინასწარ შეთანხმდება გადასახდელად, ან ფასნამატი, რომელიც, ჩვეულებრივ, ხორციელდება მოგების მიღებისა და იმ ხარჯის ანაზღაურების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში იმავე კლასის ან ტიპის საქონლის გაყიდვასთან;

ბ) საქართველოში გაწეული ჩვეულებრივი სატრანსპორტო და სადაზღვევო ხარჯები და მათთან დაკავშირებული ხარჯები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები და სხვა გადასახდელები, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის იმპორტთან ან გაყიდვასთან.

3. თუ შესაფასებელი, იდენტური ან მსგავსი საქონელი საქართველოში არ იყიდება იმავე ან თითქმის იმავე დროს, როდესაც შესაფასებელი საქონელი იქნა შემოტანილი საქართველოში, შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულება, ამ მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, განისაზღვრება საქონლის ერთეულის იმ ფასით, რომლითაც შესაფასებელი, იდენტური ან მსგავსი საქონელი იყიდება შესაფასებელი საქონლის შემოტანის შემდეგ, უახლოეს პერიოდში, მაგრამ არაუგვიანეს 90 დღისა, იმავე სასაქონლო სახით, რა სახითაც იგი შემოტანილია საქართველოში (უცვლელ მდგომარეობაში).

4. თუ შესაფასებელი, იდენტური ან მსგავსი საქონელი საქართველოში არ იყიდება იმავე სასაქონლო სახით, რა სახითაც იგი შემოტანილია საქართველოში (უცვლელ მდგომარეობაში), დეკლარანტის მოთხოვნით შესაფასებელი საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება საქონლის ერთეულის იმ

ფასით, რომლითაც შესაფასებელი საქონელი საქართველოში გადამუშავების შემდეგ მაქსიმალური ოდენობით გაიყიდა არაურთიერთდამოკიდებულ პირზე. ამასთანავე, შესაფასებელი საქონლის ფასს გამოაკლდება მისი გადამუშავების დროს შექმნილი დამატებული ღირებულება და განხორციელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამოქვითვები.

მუხლი 42. შედგენილი ღირებულების მეთოდი

1. საქონლის საბაჟო ღირებულებად მიიჩნევა შედგენილი ღირებულება, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისგან:

ა) საქონლის წარმოებისთვის გამოყენებული მასალების დამზადების ან/და დამუშავების ღირებულება;

ბ) ექსპორტიორ ქვეყანაში მწარმოებლის მიერ იმავე კლასის ან ტიპის საქონლის საქართველოში საექსპორტოდ გაყიდვისას მიღებული მოგებისა და გაწეული საერთო ხარჯების ოდენობა;

გ) ამ კოდექსის 44-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ხარჯები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის წარმოებისთვის გამოყენებული მასალების დამზადების ან/და დამუშავების ღირებულება უნდა მოიცავდეს:

ა) ამ კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ხარჯებს;

ბ) ნებისმიერი იმ საქონლის ან მომსახურების პროპორციულად გადანაწილებულ ღირებულებას, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილით და რომელიც მყიდველმა პირდაპირ ან არაპირდაპირ მიაწოდა გამყიდველს შემოტანილი საქონლის წარმოებასთან და საქართველოში საექსპორტოდ გაყიდვასთან დაკავშირებით. ამ კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოში წარმოებული ელემენტების ღირებულება საბაჟო ღირებულებაში შეტანილი უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ელემენტებისთვის შესაბამისი ხარჯი მწარმოებელმა გასწია. ღირებულების გაანგარიშებისას ამ ნაწილში მითითებული ელემენტების ფასი ან ღირებულება ორჯერ არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთო ხარჯები მოიცავს საექსპორტო საქონლის წარმოებისა და გაყიდვისთვის გაწეულ პირდაპირ და ირიბ ხარჯებს, რომლებიც ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არ არის.

მუხლი 43. სარეზერვო მეთოდი

1. თუ შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების ამ კოდექსის 38-ე–42-ე მუხლების საფუძველზე განსაზღვრა შეუძლებელია, საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება მიზანშეწონილი საშუალებების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება:

ა) „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის დებულებებს;

ბ) „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ“ შეთანხმების ზოგად პრინციპებსა და დებულებებს;

გ) ამ თავის ზოგად პრინციპებსა და დებულებებს.

2. საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის საფუძვლად არ გამოიყენება:

ა) საქართველოში წარმოებული საქონლის შიდა გასაყიდი ფასი;

ბ) ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე საქონლის ფასი;

გ) უცხო ქვეყანაში საექსპორტო საქონლის ფასი;

დ) საქონლის მინიმალური საბაჟო ღირებულება;

ე) საქონლის თვითნებურად შერჩეული ან ფიქციური ღირებულება;

ვ) საქონლის ორი ღირებულებიდან უდიდესის მიღების პრინციპი;

ზ) საქონლის წარმოების ხარჯი, გარდა შედგენილი ღირებულებისა, რომელიც განსაზღვრულია იდენტური ან მსგავსი საქონლისთვის ამ კოდექსის 42-ე მუხლის შესაბამისად.

3. სარეზერვო მეთოდით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულება შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა ეფუძნებოდეს ადრე განსაზღვრულ საქონლის საბაჟო ღირებულებას.

4. საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის სისწორის კონტროლის დროს გამოსაყენებელი ფასი შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციის ღია წყაროებიდან და პრაქტიკის განზოგადებიდან მიღებულ მონაცემებს, რომლებიც საინფორმაციო ხასიათისაა და გამოიყენება მხოლოდ საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის სისწორის დადგენის მიზნით.

მუხლი 44. შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების ელემენტები

1. შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების ამ კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს შემდეგი ხარჯები, თუ ეს ხარჯები მყიდველმა რეალურად გასწია, მაგრამ ისინი გარიგების ფასში შეტანილი არ არის:

ა) საკომისიო და საბროკერო ხარჯები (გარდა შესყიდვის საკომისიოს ხარჯისა), რომლის ასანაზღაურებლად იმპორტიორმა თავის აგენტს გადაუხადა თანხა შესაფასებელი საქონლის შესყიდვისთვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ;

ბ) იმ კონტეინერის ღირებულება, რომელიც შემოტანილი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის მიზნისთვის ამ საქონელთან ერთად განიხილება. თუ ასეთი კონტეინერი მრავალჯერადი გამოყენებისაა, დეკლარანტის მოთხოვნით მისი ღირებულება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით, პროპორციულად უნდა გადანაწილდეს შესაფასებელ საქონელზე;

გ) საქონლის შეფუთვის ღირებულება, გაწეული შრომისა და შესაფუთი მასალების ჩათვლით.

2. თუ საქონელი ან მომსახურება მყიდველის მიერ გამყიდველს უფასოდ ან ფასდაკლებით, პირდაპირ ან არაპირდაპირ მიეწოდება და გამოიყენება შემოტანილი საქონლის წარმოებასთან და საქართველოში საექსპორტოდ გაყიდვასთან დაკავშირებით, შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების ამ კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს შემდეგი საქონლისა და მომსახურების პროპორციულად გადანაწილებული ღირებულება იმ ოდენობით, რომლითაც ეს ღირებულება შეტანილი არ არის ფაქტობრივად გადახდილ ან გადასახდელ ფასში:

ა) საქონლის შემადგენლობაში შემავალი მასალები, ნედლეული, ნაწილები (დეტალები) და სხვა ანალოგიური კომპონენტები;

ბ) საქონლის წარმოების დროს გამოყენებული სამუშაო ინსტრუმენტები, შტამპები, ჩამოსასხმელი ფორმები და მსგავსი კომპონენტები;

გ) საქონლის წარმოების დროს გახარჯული მასალები;

დ) საქართველოს ფარგლების გარეთ შესრულებული ინჟინერია, დამუშავება, საკონსტრუქტორო და სამხატვრო-დიზაინერული საქმიანობა, მხაზველობითი სამუშაოები, პროექტები, სქემები, ესკიზები და სხვა სამუშაოები (მომსახურება საქართველოს ფარგლების გარეთ გაწეულად მიიჩნევა, თუ მომსახურების გაწევის ადგილად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე არ მიიჩნევა საქართველო და ოპერაცია არ ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადით უკუდაბეგვრას).

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიზნისთვის საქონლის ან მომსახურების ღირებულება, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს საბაჟო ღირებულებაში, უნდა განისაზღვროს იმ ფასით, რომლითაც იგი შეიძინა მყიდველმა. თუ ეს საქონელი მყიდველის მიერ არის წარმოებული, მისი ღირებულება განისაზღვრება მყიდველის საბუღალტრო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. თუ აღნიშნული საქონელი ამორტიზებულია, მისი ღირებულება განისაზღვრება ამორტიზაციის ნორმების გათვალისწინებით.

4. შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების ამ კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს ამ საქონელთან დაკავშირებული საავტორო ჰონორარი ან სალიცენზიო გადასახდელი იმ ოდენობით, რომლითაც იგი შეტანილი არ არის გადახდილ ან გადასახდელ ფასში და რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უნდა გადაიხადოს მყიდველმა, როგორც შემოტანილი საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა. სალიცენზიო გადასახდელებია გადასახდელები პატენტებზე, სასაქონლო ნიშნებზე, საავტორო უფლებებზე, ნოუ-ჰაუზე. ამასთანავე, სალიცენზიო გადასახდელები და ინტელექტუალური საკუთრების გადასახდელები შეიტანება საქონლის საბაჟო ღირებულებაში, თუ ინტელექტუალური საკუთრების ნიმუშები შემოტანილი საქონლისგან განუყოფელია და ეს პირობა აღნიშნულია კონტრაქტში. თუ მყიდველი სალიცენზიო გადასახდელს მესამე პირს უხდის, ეს შეთანხმებული უნდა იყოს გამყიდველთან.

5. შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების ამ კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს იმ მოგების ნაწილის ღირებულება, რომელიც საქონლის ყოველი შემდგომი გადაყიდვის, განკარგვისა და გამოყენების შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის გამყიდველს.

6. შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულებაში შეიტანება ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის ადგილამდე გაწეული შემდეგი ხარჯები:

ა) ტრანსპორტირების ხარჯები, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და დამუშავების (მათ შორის, საწყობში შენახვის) ხარჯები. თუ სხვადასხვა სასაქონლო პარტია ერთი და იმავე სატრანსპორტო საშუალებით არის შემოტანილი, ტრანსპორტირების ხარჯები პროპორციულად განაწილდება, რაც უნდა განისაზღვროს გადამზიდავთან დადებული ხელშეკრულებით;

ბ) სადაზღვევო ხარჯი, თუ ეს ხარჯი დეკლარანტმა გასწია.

7. ფაქტობრივად გადახდილ ან გადასახდელ ფასს ამ მუხლით გათვალისწინებული ხარჯები დაემატება მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული მონაცემების საფუძველზე.

8. შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას დაუშვებელია გარიგების ფასისთვის იმ ხარჯის დამატება, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებული არ არის.

9. შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულებაში არ უნდა იქნეს შეტანილი შემდეგი ხარჯები, თუ ეს ხარჯები ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი ფასისგან დამოუკიდებლად/განცალკევებულად არის ნაჩვენები:

ა) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები და მოსაკრებლები;

ბ) საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯები;

გ) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, საწყობის, მომსახურების ან ტექნიკური დახმარების ხარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა საქონლის შემოტანის შემდეგ;

დ) საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის პროცედურებთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის გადაადგილებასთან;

ე) მყიდველის მიერ შემოსატანი საქონლის ყიდვასთან დაკავშირებით დადებული საფინანსო შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტები, თუ:

ე.ა) ეს პროცენტები გამოყოფილია საქონლის ფაქტობრივი ფასისგან;

ე.ბ) საფინანსო შეთანხმება შედგენილია წერილობით;

ე.გ) საჭიროების შემთხვევაში მყიდველს შეუძლია დაადასტუროს, რომ საქონელი ფაქტობრივად გაყიდულია დეკლარირებული ფასით და საპროცენტო განაკვეთი არ აღემატება საშუალო საპროცენტო განაკვეთს, რომელიც დაფინანსების მომენტში მოქმედებს მსგავსი საფინანსო შეთანხმების მიმართ იმ ქვეყანაში, რომელშიც დამფინანსებელი პირი იმყოფება. ეს დებულება გამოიყენება მიუხედავად იმისა, გარიგებას აფინანსებს გამყიდველი, ბანკი თუ მესამე პირი;

ვ) შემოტანილი საქონლის საქართველოში გადამუშავების უფლების მოპოვებისთვის აუცილებელი ხარჯები;

ზ) მყიდველის მიერ შემოტანილი საქონლის დისტრიბუციის ან გაყიდვის უფლების მისაღებად გაწეული ხარჯები.

მუხლი 45. მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა

1. მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას გაითვალისწინება მხოლოდ ამ პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლის ფასი. თუ მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულება პროგრამის მატარებლის ღირებულებისგან განცალკევებული არ არის, პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლის ღირებულება განისაზღვრება ამ კოდექსის 38-ე–44-ე მუხლების გათვალისწინებით.

2. ამ მუხლის მიზნისთვის „პროგრამული უზრუნველყოფის მატარებელი“ არ მოიცავს ინტეგრირებულ სქემებს და მსგავს მოწყობილობებს, აგრეთვე ნაწილებს, რომლებისგანაც შედგება აღნიშნული სქემები და მოწყობილობები.

მუხლი 46. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის გამარტივებული წესი

თუ დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს შეუძლებელია ფაქტობრივად გადახდილი ან/და გადასახდელი ფასის ან ელემენტების (რომლებიც შეიტანება ან არ შეიტანება საქონლის საბაჟო ღირებულებაში) ღირებულების რაოდენობრივი შეფასება, საბაჟო ორგანომ დაინტერესებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს ამ ფასის ან ელემენტების ღირებულების სპეციალური კრიტერიუმებით შეფასების უფლება. აღნიშნული ღირებულების სპეციალური კრიტერიუმებით შეფასების შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

წიგნი III

საბაჟო ვალდებულება და იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის გარანტია

თავი VII. საბაჟო ვალდებულების წარმოშობა

მუხლი 47. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება და დროებით შემოტანა

1. საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა იმპორტის გადასახადით დასაბეგრი უცხოური საქონლის ერთ-ერთ შემდეგ საბაჟო პროცედურაში მოქცევისას:

ა) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება;

ბ) დროებით შემოტანა იმპორტის გადასახადისგან ნაწილობრივ გათავისუფლებით.

2. საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის მომენტში.

3. დეკლარანტი წარმოადგენს ვალდებულ პირს. ირიბი წარმომადგენლობის შემთხვევაში პირი, რომლის დავალებითაც ხდება დეკლარაციის წარდგენა, ასევე წარმოადგენს ვალდებულ პირს. თუ საბაჟო დეკლარაცია შედგენილია ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ ერთ-ერთ საბაჟო პროცედურასთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც იმპორტის გადასახადისთვის თავის არიდებას იწვევს, ის პირი, რომელმაც წარადგინა ამ დეკლარაციის შედგენისთვის საჭირო ინფორმაცია და რომელმაც იცოდა ან რომელსაც გონივრულ ფარგლებში უნდა სცოდნოდა, რომ ეს ინფორმაცია მცდარი იყო, ასევე წარმოადგენს ვალდებულ პირს.

მუხლი 48. საქართველოში წარმოშობის სტატუსის არმქონე საქონელთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები

1. თუ საქართველოს მიერ უცხო ქვეყანასთან ან უცხო ქვეყნების ჯგუფთან გაფორმებული პრეფერენციული საერთაშორისო შეთანხმება ითვალისწინებს იმპორტის გადასახადის დაბრუნების ან მისგან გათავისუფლების აკრძალვას იმ საქონლის საწარმოებლად გამოყენებული საქართველოში წარმოშობის სტატუსის არმქონე საქონლისთვის, რომლისთვისაც იმავე შეთანხმების შესაბამისად გაიცემა ან გამოიწერება საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთ საქართველოში წარმოშობის სტატუსის არმქონე საქონელზე საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა წარმოებულ საქონელთან დაკავშირებული რეექსპორტის დეკლარაციის რეგისტრაციისას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ საბაჟო ვალდებულებასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადის ოდენობა გამოითვლება ისევე, როგორც ის გამოითვლება საქონლის საწარმოებლად გამოყენებული საქართველოში წარმოშობის სტატუსის არმქონე საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაციის იმ დღეს რეგისტრაციის შედეგად, როდესაც შიდა გადამუშავების პროცედურის დასრულების მიზნით დარეგისტრირდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რეექსპორტის დეკლარაცია.

3. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე ვრცელდება ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების დებულებები. ამასთანავე, ამ კოდექსის 160-ე მუხლით გათვალისწინებული უცხოური საქონლის შემთხვევაში პირი, რომელიც წარადგენს რეექსპორტის დეკლარაციას, წარმოადგენს ვალდებულ პირს. ირიბი წარმომადგენლობის შემთხვევაში პირი, რომლის დავალებითაც ხდება დეკლარაციის წარდგენა, ასევე წარმოადგენს ვალდებულ პირს.

მუხლი 49. საბაჟო ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევისას

1. იმპორტის გადასახადით დასაბეგრ საქონელზე საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა, თუ დაირღვა:

ა) უცხოური საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანასთან, საბაჟო ზედამხედველობიდან გატანასთან, გადაადგილებასთან, გადამუშავებასთან, საბაჟო საწყობში ან თავისუფალ ზონაში შენახვასთან, დროებით შენახვასთან ან განკარგვასთან დაკავშირებული საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა;

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებული საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა;

გ) უცხოური საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევის პირობა ან საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისას მისი იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების პირობა.

2. საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დრო არის:

ა) იმ ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების შეწყვეტის მომენტი, რომლის შეუსრულებლობა იწვევს საბაჟო ვალდებულების წარმოშობას;

ბ) საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის მომენტი, თუ დადგინდა, რომ ფაქტობრივად არ სრულდება ამ საბაჟო პროცედურის პირობა ან საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისას მისი იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების პირობა.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ვალდებული პირი არის:

ა) ნებისმიერი პირი, რომელსაც მოეთხოვებოდა შესაბამისი ვალდებულების შესრულება;

ბ) ნებისმიერი პირი, რომელმაც იცოდა ან რომელსაც გონივრულ ფარგლებში უნდა სცოდნოდა, რომ საბაჟო ვალდებულება შესრულებული არ არის, და რომელიც მოქმედებდა იმ პირის სახელით, რომელსაც მოეთხოვებოდა საბაჟო ვალდებულების შესრულება, ან რომელიც მონაწილეობდა ისეთ ქმედებაში, რომელმაც საბაჟო ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვია;

გ) ნებისმიერი პირი, რომელმაც შეიძინა საქონელი ან რომელიც ფლობს საქონელს და რომელმაც მისი შეძენის ან მიღების მომენტში იცოდა ან რომელსაც უნდა სცოდნოდა, რომ ამ საქონელთან დაკავშირებული საბაჟო ვალდებულება შესრულებული არ არის.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ვალდებული პირი არის პირი, რომელსაც მოეთხოვებოდა საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევის, დეკლარირების ან მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისას მისი იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების პირობის შესრულება.

5. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე საბაჟო პროცედურასთან დაკავშირებით საბაჟო დეკლარაციაში შეტანილი ინფორმაცია ან იმავე საბაჟო პროცედურასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია იწვევს იმპორტის გადასახადისთვის თავის არიდებას, ის პირი, რომელმაც წარადგინა ამ დეკლარაციის შედგენისთვის საჭირო ინფორმაცია, ასევე წარმოადგენს ვალდებულ პირს.

მუხლი 50. გადახდილი იმპორტის გადასახადის გამოქვითვა

დროებით შემოტანის პროცედურაში იმპორტის გადასახადისგან ნაწილობრივი გათავისუფლებით მოქცეულ საქონელზე ამ კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საბაჟო ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში საბაჟო ვალდებულების შესაბამისი იმპორტის გადასახადის ოდენობას უნდა გამოაკლდეს მისგან ნაწილობრივი გათავისუფლების ფარგლებში გადახდილი

იმპორტის გადასახადის ოდენობა.

მუხლი 51. საბაჟო ვალდებულების წარმოშობა აკრძალვებისა და შეზღუდვების არსებობისას

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ან შეზღუდული საქონლის შემოტანისას წარმოიშობა საბაჟო ვალდებულება.

2. საბაჟო ვალდებულება არ წარმოიშობა:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყალბი ფულის შემოტანისას;

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალების ან ფსიქოტროპული ნივთიერების შემოტანისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის შესაბამისი ორგანოს ზედამხედველობით გამოიყენება სამედიცინო ან სამეცნიერო მიზნით.

მუხლი 52. სოლიდარული პასუხისმგებლობა

თუ ერთი საბაჟო ვალდებულების შესრულება რამდენიმე პირის მოვალეობაა, ისინი იმპორტის გადასახადის გადახდისთვის სოლიდარულად არიან პასუხისმგებელი.

მუხლი 53. იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშების ზოგადი წესები

1. იმპორტის გადასახადის გაანგარიშებისთვის მისი ოდენობა განისაზღვრება შესაბამის საქონელზე საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

2. თუ საბაჟო ვალდებულების წარმოშობის ზუსტი დროის განსაზღვრა შეუძლებელია, მისი წარმოშობის დროდ მიიჩნევა მომენტი, როდესაც საბაჟო ორგანომ დაადგინა, რომ კონკრეტულ საქონელზე წარმოშობილია საბაჟო ვალდებულება.

3. თუ საბაჟო ორგანო ამ ორგანოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე დაადგენს, რომ საბაჟო ვალდებულება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მომენტზე ადრე წარმოიშვა, საბაჟო ვალდებულების წარმოშობის მომენტად მიიჩნევა ამ ინფორმაციის საფუძველზე დადგენილი უადრესი მომენტი.

მუხლი 54. იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშების სპეციალური წესები

1. იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშებისას საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო პროცედურაში მოქცეული ან დროებით შენახული საქონლის დასაწყობების ხარჯი ან/და მის მიმართ განხორციელებული ამ კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვები ქმედებების განხორციელების ხარჯი არ გაითვალისწინება, თუ დეკლარანტი წარადგენს ამ ხარჯის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს. ამასთანავე, ამ საქონლის დასაწყობებისას ან/და მის მიმართ დასაშვები ქმედებების განხორციელებისას გამოყენებული უცხოური საქონლის საბაჟო ღირებულება, რაოდენობა, სახეობა და წარმოშობა გაითვალისწინება იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშებისას.

2. თუ ამ კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების განხორციელების შედეგად იცვლება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო პროცედურაში მოქცეული საქონლის სეს ესნ-ის კოდი, დეკლარანტის მოთხოვნით ამ საქონლისთვის გამოიყენება თავდაპირველი სეს ესნ-ის კოდი.

3. თუ საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებულ გადამუშავებულ პროდუქტზე, დეკლარანტის მოთხოვნით ეს საბაჟო ვალდებულება განისაზღვრება ამ საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცევის დეკლარაციის რეგისტრაციის მომენტში, აღნიშნული საქონლის სეს ესნ-ის კოდის, რაოდენობის, სახეობისა და წარმოშობის საფუძველზე.

4. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელებისთვის ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნებისთვის თავის არიდების გამოსარიცხად იმპორტის გადასახადის ოდენობა, დეკლარანტის შესაბამისი მოთხოვნის გარეშე, გაანგარიშდება ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

5. თუ საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებულ საქონელზე ან ამ კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემცვლელ საქონელზე, ეს საბაჟო ვალდებულება განისაზღვრება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ განხორციელებული საქონლის გადამუშავების ოპერაციის ღირებულების საფუძველზე.

6. ამ კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად წარმოშობილი საბაჟო ვალდებულების განსაზღვრისას გაითვალისწინება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით ან ამ კოდექსის 107-ე–109-ე მუხლებით დადგენილი საქონლის შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი.

თავი VIII. იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის გარანტია

მუხლი 55. ზოგადი დებულებები

1. პირმა, რომელსაც წარმოეშვა ან შეიძლება წარმოეშვას იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულება, უნდა წარადგინოს იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის გარანტია (შემდგომ – გარანტია), თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია ამ პირის ნაცვლად სხვა პირს მისცეს უფლება, წარადგინოს გარანტია.

2. საბაჟო ორგანომ შეიძლება ამ კოდექსის 59-ე მუხლის გათვალისწინებით, ერთ კონკრეტულ საბაჟო დეკლარაციასთან ან კონკრეტულ საქონელთან დაკავშირებით მოითხოვოს მხოლოდ ერთი გარანტიის წარდგენა. კონკრეტულ საბაჟო დეკლარაციასთან დაკავშირებით წარდგენილი გარანტიით უნდა დაიფაროს იმ იმპორტის გადასახდელის ოდენობა, რომლის გადახდის ვალდებულებაც წარმოიშობა ამ საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულ ან გაშვებულ საქონელთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, სწორად არის თუ არა შედგენილი აღნიშნული საბაჟო დეკლარაცია.

3. თუ გარანტია გაუქმებული არ არის, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელების შედეგად წარმოშობილი საბაჟო ვალდებულების შესასრულებლად.

4. საბაჟო ორგანომ შეიძლება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე, ამ კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად მისცეს უფლება, წარადგინოს საერთო გარანტია ორ ან მეტ ისეთ ოპერაციაზე, საბაჟო დეკლარაციაზე ან საბაჟო პროცედურაზე, რომელთა მიმართაც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულება.

5. გარანტიის წარდგენა საჭირო არ არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ იმ საქმიანობის ან ოპერაციის განხორციელებისთვის, რომელსაც ის საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს.

6. გარანტიის წარდგენა არ ხდება, თუ საქონელი გადაადგილდება:

ა) საჰაერო ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალებით;

ბ) მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით;

გ) სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებით.

7. სხვა შემთხვევები, როდესაც გარანტიის წარდგენა არ მოითხოვება, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 56. საგარანტიო თანხის ოდენობის განსაზღვრა

1. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გარანტიის წარდგენა სავალდებულოა, საბაჟო ორგანო განსაზღვრავს საგარანტიო თანხის ოდენობას, რომელიც ეკვივალენტურია:

ა) იმ იმპორტის გადასახდელის ზუსტი თანხისა, რომლის გადახდის ვალდებულებაც წარმოშობილია ან შეიძლება წარმოიშვას, თუ გარანტიის წარდგენის მოთხოვნის მომენტში ამ თანხის განსაზღვრა შესაძლებელია;

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით განსაზღვრული საგარანტიო თანხისა, თუ იმპორტის გადასახდელის ზუსტი თანხის განსაზღვრა შეუძლებელია.

2. თუ საერთო გარანტიის წარდგენა ხდება იმ იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველსაყოფად, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოშობილია ან შეიძლება წარმოიშვას და რომლის ოდენობა დროთა განმავლობაში იცვლება, ამ კოდექსის 59-ე მუხლის გათვალისწინებით, საერთო გარანტიის თანხა განისაზღვრება იმ ოდენობით, რომელიც ნებისმიერ მომენტში უზრუნველყოფს იმპორტის გადასახდელის დაფარვას.

მუხლი 57. არასავალდებულო გარანტია

თუ გარანტიის წარდგენა სავალდებულო არ არის, მაგრამ საბაჟო ორგანო მიიჩნევს, რომ პირი კუთვნილ იმპორტის გადასახდელს დადგენილ ვადაში არ გადაიხდის, საბაჟო ორგანომ უნდა მოითხოვოს გარანტიის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში გარანტიის ოდენობა ამ კოდექსის 56-ე მუხლით გათვალისწინებულ საგარანტიო თანხის ოდენობას არ უნდა აღემატებოდეს.

მუხლი 58. გარანტიის სახეები

1. საბაჟო ორგანოს წარედგინება შემდეგი გარანტიები:

ა) საბანკო გარანტია;

ბ) დაზღვევის პოლისი;

გ) დეპოზიტი;

დ) თავდებობა, გარდა ამ ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარანტიებისა;

ე) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა გარანტია.

2. პირს უფლება აქვს, წარადგინოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი გარანტია.

3. საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს წარდგენილი გარანტიის შეცვლა, თუ წარდგენილი გარანტია საბაჟო პროცედურის სათანადოდ განხორციელებისთვის შესაბამისი არ არის. საბაჟო ორგანოს შეუძლია გარანტიის წარმდგენს მოსთხოვოს, არ შეცვალოს წარდგენილი გარანტია განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

4. გარანტიის დეპოზიტის სახით წარდგენის შემთხვევაში ამ დეპოზიტთან დაკავშირებით საბაჟო ორგანო სარგებელს არ იხდის.

5. გარანტიის წარდგენისა და მისი მონიტორინგის წესები, აგრეთვე გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 59. საერთო გარანტია

1. საერთო გარანტიის წარდგენის უფლება უნდა მიეცეს იმ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

ა) იგი არის საქართველოში დაფუძნებული პირი;

ბ) იგი აკმაყოფილებს ამ კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს;

გ) იგი მუდმივად სარგებლობს საბაჟო პროცედურით, ან აქვს საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა, ან აკმაყოფილებს ამ კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

2. თუ საერთო გარანტიის წარდგენა ხდება იმ იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველსაყოფად, რომლის გადახდის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას, პირს უფლება აქვს, საერთო გარანტია შემცირებული ოდენობით წარადგინოს ან გათავისუფლდეს საერთო გარანტიის წარდგენის ვალდებულებისგან, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

3. თუ საერთო გარანტიის წარდგენა ხდება იმ იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველსაყოფად, რომლის გადახდის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას, საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებულ ავტორიზებულ ეკონომიკურ ოპერატორს მისი განცხადების საფუძველზე უნდა მიეცეს საერთო გარანტიის შემცირებული ოდენობით წარდგენის უფლება. ამ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ საერთო გარანტია სრული ოდენობითაა წარდგენილი.

4. საერთო გარანტიის ოდენობა, მისი შემცირების ან მისი წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლების წესი და პირობები, აგრეთვე საერთო გარანტიის გამოყენებასთან დაკავშირებული დროებითი აკრძალვის შემოღებისა და გაუქმების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 60. გარანტიის შეცვლა ან დამატებითი გარანტიის წარდგენა

თუ საბაჟო ორგანო დაადგენს, რომ წარდგენილი გარანტიის საგარანტიო თანხა არასაკმარისია ან ეს გარანტია დადგენილ ვადაში ვეღარ უზრუნველყოფს იმპორტის გადასახდელის გადახდის წარმოსაშობი ვალდებულების შესრულებას, საბაჟო ორგანო ვალდებულია ამ კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირს მოსთხოვოს წარდგენილი გარანტიის ახალი გარანტიით შეცვლა ან დამატებითი გარანტიის წარდგენა.

მუხლი 61. გარანტიის გაუქმება

1. თუ იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულება არ წარმოიშვა ან შესრულდა, ან შეწყდა ამ ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, წარდგენილი გარანტია უქმდება.

2. თუ იმპორტის გადასახდელი ნაწილობრივ გადახდილია ან შეიძლება წარმოიშვას იმპორტის გადასახდელის მხოლოდ ნაწილის გადახდის ვალდებულება, შესაბამისი პირის განცხადების საფუძველზე უქმდება წარდგენილი გარანტიის საგარანტიო თანხის შესაბამისი ნაწილი.

თავი IX. საბაჟო ვალდებულების შესრულება

მუხლი 62. საბაჟო ვალდებულების შესრულება

1. საბაჟო ვალდებულების შესრულება ნიშნავს ვალდებული პირის მიერ იმპორტის გადასახადის გადახდას.

2. საბაჟო ვალდებულება შესრულებულად მიიჩნევა:

ა) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის გამოყენებით (ჩათვლით);

ბ) თუ განხორციელდა საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენისთვის სისხლის სამართლის საქმეზე სასჯელის სახით საქონლის უსასყიდლოდ ჩამორთმევა;

გ) თუ განხორციელდა ამ კოდექსით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიება;

დ) თუ საქონელი განადგურდა ამ კოდექსით გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად;

ე) თუ ის წარმოიშვა ამ კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად და საბაჟო ორგანო დარწმუნდა, რომ შესაბამისი საქონელი მოხმარებული ან გამოყენებული არ იქნა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე და გატანილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან;

ვ) იმ საბაჟო დეკლარაციის გაუქმებით, რომლითაც წარმოიშვა იმპორტის გადასახადის გადახდის ვალდებულება.

მუხლი 63. იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშება და გადახდის წესი

1. საბაჟო ორგანო იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტის, მისი განაკვეთისა და კანონით დადგენილი შეღავათის გათვალისწინებით გაიანგარიშებს გადასახდელი იმპორტის გადასახადის ოდენობას, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. საბაჟო ორგანომ შეიძლება მიიღოს დეკლარანტის მიერ გაანგარიშებული იმპორტის გადასახადის ოდენობა, გარდა ამ კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. იმპორტის გადასახადი გადაიხდება საქართველოს ეროვნული ვალუტით – ლარით, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო დაწესებულების მეშვეობით, თუ საქართველოს საბაჟო

კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. საბაჟო დეკლარაციაში ჯამური საბაჟო ვალდებულების თანხა გაიანგარიშება სრულ ლარებში. ამ მიზნით საბაჟო ვალდებულება, რომელიც მთელ რიცხვს არ შეესაბამება, მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე.

5. ვალდებული პირის საბაჟო ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა.

მუხლი 64. საბაჟო ვალდებულების შესახებ შეტყობინება

თუ საბაჟო ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებული არ არის საბაჟო დეკლარაციის წარდგენასთან, საბაჟო ორგანო ვალდებულ პირს უგზავნის საგადასახადო მოთხოვნას.

მუხლი 65. იმპორტის გადასახადის გადახდის ვადა

1. თუ საბაჟო ვალდებულების წარმოშობის საფუძველია საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, იმპორტის გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს შესაბამისი საქონლის გაშვებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს არაუმეტეს 45 დღემდე.

3. იმპორტის გადასახადის გადახდის გარეშე საქონლის გაშვებისთვის აუცილებელი გარანტიის წარდგენის შემთხვევები და წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

4. დროებით შემოტანის პროცედურაში იმპორტის გადასახადისგან ნაწილობრივ გათავისუფლებით მოქცეულ საქონელზე კუთვნილი იმპორტის გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს დროებით შემოტანის პროცედურის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, მთელი გადასახდელი თანხა ერთდროულად გადაიხადოს.

წიგნი IV

საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა

თავი X. საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია

მუხლი 66. საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა

1. საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია.

2. ზოგად დეკლარირებას არ ექვემდებარება:

ა) მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონელი;

ბ) საჰაერო ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალება და ამ სატრანსპორტო საშუალებით საქართველოს

ტერიტორიული წყლების ან საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით, გაჩერების გარეშე გადაზიდული საქონელი;

გ) საქონელი, რომელზედაც წარდგენილია საბაჟო დეკლარაცია;

დ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საქონელი.

3. საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია გადამზიდავმა უნდა წარადგინოს. გადამზიდავის ვალდებულების მიუხედავად, საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია შეიძლება წარადგინოს იმპორტიორმა, ტვირთის მიმღებმა ან სხვა პირმა, რომლის სახელითაც მოქმედებს გადამზიდავი, ან ნებისმიერმა სხვა პირმა, რომელსაც შეუძლია ამ საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენა ან რომელმაც წარადგინა იგი აღნიშნულ პუნქტში.

4. საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია უნდა შეიცავდეს იმ მონაცემებს, რომლებიც დაცულობისა და უსაფრთხოების მიზნით რისკის ანალიზისთვისაა საჭირო.

5. თუ ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მონაცემების ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პირებისგან მიღება შეუძლებელია, საბაჟო ორგანოს შეუძლია ეს მონაცემები მოსთხოვოს სხვა პირს, რომელსაც აქვს მათი გაცემის უფლება.

6. საბაჟო ორგანომ შეიძლება დაუშვას საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის შესავსებად სავაჭრო, საპორტო ან სატრანსპორტო საინფორმაციო სისტემის გამოყენება, თუ ეს სისტემა შეიცავს ამ დეკლარაციისთვის საჭირო მონაცემებს და ეს მონაცემები ხელმისაწვდომია აღნიშნული დეკლარაციის წარდგენისთვის დადგენილ პერიოდში.

7. საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის ნაცვლად შეიძლება წარდგენილ იქნეს შეტყობინება, თუ საბაჟო ორგანოსთვის ხელმისაწვდომია ზოგად დეკლარირებასთან დაკავშირებული შესაბამისი მონაცემები, რომლებიც ზოგადი დეკლარირების განმახორციელებელი პირის კომპიუტერულ სისტემაშია განთავსებული.

8. საბაჟო გამშვებ პუნქტზე საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის ან ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შეტყობინების საფუძველზე დაცულობისა და უსაფრთხოების მიზნით რისკის ანალიზის ვადა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. რისკის ანალიზის შედეგების საფუძველზე მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი ზომები.

9. საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის წესი და ვადა, შემთხვევები, როდესაც საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა არ ხდება, აგრეთვე დეკლარირებისთვის საჭირო მონაცემების სხვა პირებისთვის მოთხოვნის წესი და შემთხვევები და აღნიშნული პირების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 67. საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ან მისი ბათილად ცნობა

1. საბაჟო ორგანომ დეკლარანტს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს უფლება, წარდგენილ საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაში შეიტანოს ცვლილება.

2. საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაში ცვლილების შეტანა დაუშვებელია, თუ:

ა) საბაჟო ორგანომ საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარმდგენს შეატყობინა ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის შემოწმების განზრახვის შესახებ;

ბ) საბაჟო ორგანომ დაადგინა დეკლარირებული მონაცემების მცდარობა;

გ) საქონელი წარედგინა საბაჟო ორგანოს.

3. თუ საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციით დეკლარირებული საქონელი საქართველოს საბაჟო

ტერიტორიაზე შემოტანილი არ იქნა, საბაჟო ორგანომ ეს დეკლარაცია ბათილად უნდა ცნოს:

ა) დეკლარანტის მიერ შესაბამისი განცხადების წარდგენისთანავე;

ბ) ამ დეკლარაციის წარდგენიდან 200 დღის გასვლის შემდეგ.

4. საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაში ცვლილების შეტანისა და მისი ბათილად ცნობის წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 68. საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის ნაცვლად საბაჟო დეკლარაციის წარდგენა

საბაჟო ორგანომ შეიძლება არ მოითხოვოს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა, თუ:

ა) ამ დეკლარაციით დასადეკლარირებელ საქონელზე ამავე დეკლარაციის წარდგენის ვადის ამოწურვამდე წარდგენილ იქნა საბაჟო დეკლარაცია. ამ შემთხვევაში საბაჟო დეკლარაცია სულ მცირე უნდა შეიცავდეს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციისთვის საჭირო მონაცემებს. საბაჟო დეკლარაციას ამ კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრაციამდე აქვს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის სტატუსი;

ბ) ამ დეკლარაციით დასადეკლარირებელ საქონელზე ამავე დეკლარაციის წარდგენის ვადის ამოწურვამდე წარდგენილ იქნა დროებით შენახვის დეკლარაცია. ამ შემთხვევაში დროებით შენახვის დეკლარაცია უნდა შეიცავდეს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციისთვის საჭირო მონაცემებს. დროებით შენახვის დეკლარაციას დეკლარირებული საქონლის ამ კოდექსის 73-ე მუხლის შესაბამისად საბაჟო ორგანოსთვის წარდგენამდე აქვს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის სტატუსი.

თავი XI. საქონლის შემოტანა და დროებით შენახვა

მუხლი 69. საზღვაო ან საჰაერო ხომალდის შემოსვლის შესახებ შეტყობინება

1. იმ საზღვაო ან საჰაერო ხომალდის ოპერატორმა, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოდის, საბაჟო ორგანოს ამ ხომალდის შემოსვლის შესახებ უნდა შეატყობინოს მისი შემოსვლისთანავე. თუ საზღვაო ან საჰაერო ხომალდის შემოსვლის შესახებ ინფორმაცია საბაჟო ორგანოსთვის ხელმისაწვდომია, მან შეიძლება არ მოითხოვოს ამ ინფორმაციის შეტყობინება.

2. საზღვაო ან საჰაერო ხომალდის შემოსვლის შესახებ შესატყობინებლად საბაჟო ორგანოს თანხმობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს პორტის ან აეროპორტის შესაბამისი სისტემა ან ინფორმაციის გადაცემის სხვა საშუალება.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტყობინების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 70. საბაჟო ზედამხედველობა

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი შემოტანისთანავე ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და შეიძლება დაექვემდებაროს საბაჟო კონტროლის პროცედურებს. საჭიროების შემთხვევაში ეს საქონელი ექვემდებარება ისეთ აკრძალვებსა და შეზღუდვებს, რომლებიც, სხვა დანარჩენთან ერთად, ეფუძნება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ეროვნული ინტერესებისა და საზოგადოებრივი ზნეობის დაცვის, ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობის ან მცენარის სიჯანსაღისა და სიცოცხლის დაცვის, ხელოვნების ნიმუშისა და ისტორიული და არქეოლოგიური ღირებულების

მქონე ეროვნული სიმდიდრის დაცვისა და ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ქონების დაცვის აუცილებლობას, პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერებისა და ფსიქოაქტიური ნივთიერების, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დამრღვევი საქონლისა და ფულადი სახსრების კონტროლის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული საქონელი ექვემდებარება აგრეთვე თევზსარეწების კონსერვაციისა და მართვის ღონისძიებებს და ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ღონისძიებებს.

2. საქონელი მისი საბაჟო სტატუსის განსაზღვრამდე რჩება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ და საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე მისი საბაჟო ზედამხედველობიდან გატანა ან განკარგვა არ შეიძლება. ამ კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს საქონელი მისი საბაჟო სტატუსის განსაზღვრის შემდეგ საბაჟო ზედამხედველობას არ ექვემდებარება. უცხოური საქონელი მისი საბაჟო სტატუსის შეცვლამდე, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე ან განადგურებამდე საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ უნდა დარჩეს.

3. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის მფლობელი საბაჟო ორგანოს თანხმობით ნებისმიერ დროს ამოწმებს საქონელს და იღებს მის სინჯს ან/და ნიმუშს, მათ შორის, საქონლის კლასიფიკაციისთვის, მისი საბაჟო ღირებულების ან საბაჟო სტატუსის განსაზღვრისთვის.

4. თუ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის მფლობელი ვალდებულია საბაჟო ორგანოს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ და წარუდგინოს საქონლის განადგურების ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. სხვა შემთხვევაში ეს საქონელი საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გატანილად მიიჩნევა.

5. ტრანზიტის პროცედურაში მოქცეულ საქონელზე, რომელიც დანიშნულების საბაჟო ორგანოს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე წარედგინა, ვრცელდება ამ კოდექსის 74-ე–78-ე მუხლები.

მუხლი 71. საქონლის განსაზღვრულ ადგილზე გადაზიდვა/გადატანა

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანმა პირმა იგი საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული მარშრუტით დაუყოვნებლივ უნდა გადაზიდოს/გადაიტანოს შესაბამის საბაჟო კონტროლის ზონაში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე.

2. ნებისმიერ პირს, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდეგ იღებს მისი გადაზიდვის პასუხისმგებლობას, ეკისრება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება.

3. საქონელი, რომელიც ჯერ კიდევ უცხო ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე იმყოფება და საქართველოსა და ამ უცხო ქვეყანას შორის გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება დაექვემდებაროს საქართველოს საბაჟო ორგანოს კონტროლს, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ საქონლად მიიჩნევა.

4. თუ სასაზღვრო ზონაში მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით ტრანსპორტირებულ საქონელთან, მცირე ეკონომიკური მნიშვნელობის (ღირებულების) წერილის, ღია ბარათის, ბეჭდვითი მასალის და მათი ელექტრონული ეკვივალენტის გადაზიდვასთან ან მგზავრის მიერ გადაადგილებულ საქონელთან მიმართებით საბაჟო ზედამხედველობასა და საბაჟო კონტროლს საფრთხე არ ექმნება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესისგან განსხვავებული, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესი.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ ვრცელდება იმ საზღვაო და საჰაერო ხომალდებზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული წყლების ან საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით, გაჩერების გარეშე გადაადგილდებიან, და ამ ხომალდებით გადაზიდულ საქონელზე.

მუხლი 72. დაუძლეველი ძალის მოქმედების დროს განსახორციელებელი ღონისძიებები

1. დაუძლეველ ძალად მიიჩნევა ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას და რომლის დადგომა დამოკიდებული არ არის პირის ნებაზე, მათ შორის:

ა) სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და სხვა);

ბ) საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება, სახელმწიფო ორგანოს სხვა გადაწყვეტილება;

გ) მასობრივი არეულობა ან გაფიცვა.

2. პირმა, რომელიც დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად ვერ ასრულებს ამ კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულებას, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა აცნობოს საბაჟო ორგანოს ამ გარემოებისა და საქონლის ზუსტი ადგილმდებარეობის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონელი სრულად განადგურდა) შესახებ და იმოქმედოს საბაჟო ორგანოს მითითების შესაბამისად.

3. თუ ამ კოდექსის 71-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საზღვაო ან საჰაერო ხომალდი დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად იძულებულია გაჩერდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მდებარე პორტში ან აეროპორტში და ვერ სრულდება იმავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება, ამ ხომალდის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემომყვანმა პირმა ან მისი სახელით მოქმედმა ნებისმიერმა პირმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საბაჟო ორგანოს.

4. საბაჟო ორგანომ უნდა მიიღოს ზომები ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საქონელზე, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საზღვაო ან საჰაერო ხომალდსა და ამ ხომალდით გადაზიდულ საქონელზე საბაჟო ზედამხედველობის განსახორციელებლად. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ამ საქონლის ან/და ამ ხომალდის შესაბამის საბაჟო კონტროლის ზონაში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე გადაზიდვა.

მუხლი 73. საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე შემოსვლისთანავე, დაუყოვნებლივ საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს:

ა) პირმა, რომელმაც საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანა;

ბ) პირმა, რომელიცსაქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი პირის სახელით ან დავალებით მოქმედებს;

გ) პირმა, რომელმაც საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემდეგ აიღო მისი გადაზიდვის პასუხისმგებლობა.

2. საქონელი, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საზღვაო ან საჰაერო გზით შემოიტანება და რომელიც არ გადმოიტვირთება და რჩება იმავე სატრანსპორტო საშუალების ბორტზე, საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს მხოლოდ იმ პორტში ან აეროპორტში, სადაც მისი გადმოტვირთვა ან გადატვირთვა ხორციელდება. ამასთანავე, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი, რომლის ჩამოტვირთვა და იმავე სატრანსპორტო საშუალებაში დატვირთვა ხდება სხვა საქონლის გადმოტვირთვის ან დატვირთვის უზრუნველსაყოფად, არ უნდა წარედგინოს საბაჟო ორგანოს აღნიშნულ პორტში ან აეროპორტში.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირის ვალდებულების მიუხედავად, მის ნაცვლად საბაჟო ორგანოს საქონელი შეიძლება წარუდგინოს:

ა) ნებისმიერმა პირმა, რომელიც საბაჟო ორგანოსთვის წარდგენისას საქონელს საბაჟო პროცედურაში აქცევს;

ბ) საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მქონე პირმა ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმომ.

4. საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენისას პირმა უნდა მიუთითოს ამ საქონელზე წარდგენილ საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაზე, ხოლო ამ კოდექსის 68-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საბაჟო დეკლარაციაზე ან დროებით შენახვის საბაჟო დეკლარაციაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა სავალდებულო არ არის.

5. თუ საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა სავალდებულოა და საბაჟო ორგანოსთვის წარდგენილ საქონელზე ეს დეკლარაცია წინასწარ წარდგენილი არ არის, ამ კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულმა რომელიმე პირმა იმავე მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით დაუყოვნებლივ უნდა წარადგინოს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია ან მის ნაცვლად – საბაჟო დეკლარაცია ან დროებით შენახვის დეკლარაცია.

6. თუ სასაზღვრო ზონაში მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით ტრანსპორტირებულ საქონელთან, მცირე ეკონომიკური მნიშვნელობის წერილის, ღია ბარათის, ბეჭდვითი მასალის და მათი ელექტრონული ეკვივალენტის გადაზიდვასთან ან მგზავრის მიერ გადაადგილებულ საქონელთან მიმართებით საბაჟო ზედამხედველობასა და საბაჟო კონტროლს საფრთხე არ ექმნება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესისგან განსხვავებული წესი.

7. საბაჟო ორგანოსთვის წარდგენილი საქონელი საბაჟო ორგანოს ნებართვის გარეშე არ უნდა გადაადგილდეს მისი წარდგენის ადგილიდან.

8. საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენისა და მისი წარდგენის სხვა ადგილის საბაჟო ორგანოსთან შეთანხმების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 74. საქონლის გადმოტვირთვა და გახსნა

1. საქონელი მისი გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებიდან უნდა გადმოიტვირთოს ან გადაიტვირთოს მხოლოდ საბაჟო ორგანოს თანხმობით, ამ ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ადგილზე. ამასთანავე, საბაჟო ორგანოს თანხმობა არ მოითხოვება გარდაუვალი საფრთხის არსებობის შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მთლიანი საქონლის ან მისი ნაწილის დაუყოვნებლივ გადმოტვირთვა. ამ შემთხვევაში შესაბამისი გარემოების შესახებ საბაჟო ორგანოს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.

2. საბაჟო ორგანოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს საქონლის გადმოტვირთვა და გახსნა მისი დათვალიერების, სინჯის ან/და ნიმუშის აღების ან ამ საქონლის გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მიზნით.

მუხლი 75. უცხოური საქონლის დროებით შენახვა და დროებით შენახვის დეკლარაცია

1. უცხოური საქონელი საბაჟო ორგანოსთვის წარდგენისთანავე დროებით უნდა იქნეს შენახული.

2. საბაჟო ორგანოსთვის წარდგენილ უცხოურ საქონელზე წარდგენილი უნდა იქნეს დროებით შენახვის დეკლარაცია, რომელიც შეიცავს მისი დროებით შენახვისთვის აუცილებელ ყველა მონაცემს.

3. დროებით შენახულ საქონელთან დაკავშირებული დოკუმენტები უნდა წარედგინოს საბაჟო ორგანოს, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან აუცილებელია საბაჟო კონტროლის განხორციელებისთვის.

4. ამ კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებულმა პირმა დროებით შენახვის დეკლარაცია უნდა წარადგინოს არაუგვიანეს საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის მომენტისა.

5. დროებით შენახვის დეკლარაცია უნდა შეიცავდეს მითითებას საბაჟო ორგანოსთვის წარდგენილ საქონელთან დაკავშირებულ საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება არ არსებობს ან ეს საქონელი უკვე იყო დროებით შენახული ან საბაჟო პროცედურაში მოქცეული და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ჯერ არ არის გატანილი.

6. საბაჟო ორგანოს თანხმობით დროებით შენახვის დეკლარაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს შემდეგი ფორმით:

ა) შესაბამისი საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაზე მითითებით, თუ საბაჟო ორგანოსთვის დამატებით წარდგენილია დროებით შენახვის დეკლარაციისთვის აუცილებელი მონაცემები;

ბ) სატრანსპორტო დოკუმენტით, თუ იგი შეიცავს დროებით შენახვის დეკლარაციის შესაბამის მონაცემებს, მათ შორის, საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაზე მითითებას.

7. საბაჟო ორგანომ შეიძლება დაუშვას დროებით შენახვის დეკლარაციის შესავსებად სავაჭრო, საპორტო ან სატრანსპორტო საინფორმაციო სისტემის გამოყენება, თუ ეს სისტემა შეიცავს ამ დეკლარაციისთვის საჭირო მონაცემებს და ეს მონაცემები ხელმისაწვდომია ამ მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

8. დროებით შენახვის დეკლარაცია მოწმდება ამ კოდექსის 96-ე–მე-100 მუხლების შესაბამისად.

9. დროებით შენახვის დეკლარაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი მიზნით:

ა) ამ კოდექსის 69-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტყობინების მიზნით;

ბ) ამ კოდექსის 73-ე მუხლის შესაბამისად საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის მიზნით, თუ შესრულებულია იმავე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

10. დროებით შენახვის დეკლარაციის წარდგენა არ მოითხოვება, თუ არაუგვიანეს საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის ვადისა ამ კოდექსის შესაბამისად საქონელს განესაზღვრა საქართველოს საქონლის სტატუსი.

11. საბაჟო ორგანომ უნდა შეინახოს დროებით შენახვის დეკლარაცია ან ხელი უნდა მიუწვდებოდეს მასზე, რათა შეამოწმოს, ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონელი მოექცა თუ არა საბაჟო პროცედურაში ან განხორციელდა თუ არა მისი რეექსპორტი ამ კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად.

12. ამ მუხლის მიზნისთვის ტრანზიტის პროცედურაში მოქცეული უცხოური საქონლის დანიშნულების ადგილზე წარდგენისას ტრანზიტის ოპერაციისთვის წარდგენილი მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს დროებით შენახვის დეკლარაციად, თუ ისინი შეიცავს დროებით შენახვის დეკლარაციისთვის აუცილებელ ინფორმაციას.

მუხლი 76. დროებით შენახვის დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ან მისი ბათილად ცნობა

1. საბაჟო ორგანომ დეკლარანტს მისი განცხადების საფუძველზე უნდა მისცეს უფლება, წარდგენილ

დროებით შენახვის დეკლარაციაში შეიტანოს ცვლილება. ეს ცვლილება არ შეიძლება შეეხებოდეს იმ საქონელს, რომელიც ამ დეკლარაციით თავდაპირველად დეკლარირებული არ იყო.

2. დროებით შენახვის დეკლარაციაში ცვლილების შეტანა დაუშვებელია, თუ:

ა) საბაჟო ორგანომ დროებით შენახვის დეკლარაციის წარმდგენს შეატყობინა ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის შემოწმების განზრახვის შესახებ;

ბ) საბაჟო ორგანომ დაადგინა დეკლარირებული მონაცემების მცდარობა.

3. თუ დროებით შენახვის დეკლარაციით დეკლარირებული საქონელი საბაჟო ორგანოს არ წარედგინა, მან ეს დეკლარაცია ბათილად უნდა ცნოს:

ა) დეკლარანტის მიერ შესაბამისი განცხადების წარდგენისთანავე;

ბ) ამ დეკლარაციის წარდგენიდან 30 დღის გასვლის შემდეგ.

4. დროებით შენახული საქონლის გადაადგილების, დროებით შენახვის დეკლარაციის წარდგენის, მასში ცვლილების შეტანისა და მისი ბათილად ცნობის წესები, აგრეთვე საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილის საბაჟო ორგანოსთან შეთანხმების პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 77. საქონლის დროებით შენახვასთან დაკავშირებული პირობები და მოვალეობები

1. დროებით შენახული საქონელი უნდა დასაწყობდეს მხოლოდ საბაჟო საწყობში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ შენახვის სხვა ადგილზე.

2. ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, დროებით შენახული საქონლის მიმართ უნდა განხორციელდეს მხოლოდ ის ოპერაცია, რომელიც უზრუნველყოფს მის უცვლელ მდგომარეობაში (გარეგნული მხარის ან ტექნიკური მახასიათებლის შეუცვლელად) შენარჩუნებას. საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, დაადგინოს ამ ნაწილით გათვალისწინებული წესისგან განსხვავებული წესი.

3. იმ საბაჟო საწყობის ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული ან მასთან შეთანხმებული შენახვის სხვა ადგილის მფლობელი, სადაც დასაწყობებულია დროებით შენახული საქონელი, ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს, რომ დროებით შენახული საქონელი უკანონოდ არ იქნეს გატანილი საბაჟო ზედამხედველობიდან;

ბ) შეასრულოს დროებით შენახული საქონლის შენახვასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

4. თუ საქონლის დროებით შენახვის გაგრძელება შეუძლებელია, საბაჟო ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ამ კოდექსის XV თავით გათვალისწინებული ზომები.

მუხლი 78. საქონლის დროებით შენახვის დასრულება

1. დროებით შენახული უცხოური საქონელი საბაჟო პროცედურაში უნდა მოექცეს ან მისი რეექსპორტი უნდა განხორციელდეს 30 დღეში.

2. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადა შეამციროს ან 60 დღით გაზარდოს.

3. საბაჟო საწყობში საქონლის დროებით შენახვის შემთხვევაში ამ მუხლის პირველ ნაწილში

აღნიშნული ვადა 180 დღეა.

4. საქონელი, რომლის მიმართაც უკვე განსაზღვრულია საბაჟო პროცედურა, გარდა ექსპორტის პროცედურისა, შესაბამისი პირის მოთხოვნით საბაჟო საწყობში შეიძლება შენახულ იქნეს დროებით, არაუმეტეს 180 დღისა, ხოლო ექსპორტის პროცედურის შემთხვევაში – არაუმეტეს 120 დღისა.

5. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია გაზარდოს ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით დადგენილი ვადები არაუმეტეს 180 დღით.

მუხლი 79. საბაჟო პროცედურის არჩევა

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დეკლარანტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საბაჟო პროცედურა, რომელშიც მოაქცევს საქონელს ამ საბაჟო პროცედურის პირობების გათვალისწინებით, მიუხედავად აღნიშნული საქონლის მახასიათებლებისა, რაოდენობისა, წარმოშობის ქვეყნისა, დანიშნულებისა და სასაქონლო პარტიისა.

წიგნი V

საქონლის საბაჟო სტატუსი, საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა, საბაჟო დეკლარაციის შემოწმება, საქონლის გაშვება და საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის განკარგვა

თავი XII. საქონლის საბაჟო სტატუსი

მუხლი 80. საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსი

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი საქონელი საქართველოს საქონლად მიიჩნევა, ვიდრე არ დადგინდება მისი, როგორც უცხოური საქონლის, სტატუსი.

2. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი არ გამოიყენება, ხდება საქონლისთვის საქართველოს საქონლის სტატუსის დადასტურება.

3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევაში იმ საქონელს, რომელიც მთლიანად მიღებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, არ აქვს საქართველოს საქონლის სტატუსი, თუ ის მიღებულია დროებით შენახული საქონლისგან ან ტრანზიტის, საბაჟო საწყობის, დროებით შემოტანის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლისგან.

4. საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსის მინიჭების, დადასტურებისა და შემოწმების წესები, აგრეთვე ცალკეული შემთხვევები, როდესაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არსებული საქონელი საქართველოს საქონლის სტატუსის მქონე საქონლად არ მიიჩნევა, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 81. საქართველოს საქონლის მიერ საბაჟო სტატუსის დაკარგვა

საქონელი კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს და იძენს უცხოური საქონლის სტატუსს, თუ:

ა) ის გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან;

ბ) ის ექცევა ტრანზიტის, საბაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში, თუ ეს დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით;

გ) ის მოქცეულია საბაჟო პროცედურაში მიზნობრივი დანიშნულებით და შემდეგ გადაეცემა სახელმწიფოს ან ნადგურდება ისე, რომ რჩება ნარჩენი;

დ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია საქონლის გაშვების შემდეგ ბათილად იქნა ცნობილი.

თავი XIII. საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა

მუხლი 82. საბაჟო დეკლარაცია და საქართველოს საქონლის მიმართ საბაჟო ზედამხედველობის განხორციელება

1. საქონელი, რომელიც განკუთვნილია საბაჟო პროცედურაში მოქცევისთვის, დეკლარირდება შესაბამისი საბაჟო პროცედურის საბაჟო დეკლარაციით.

2. ამ კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულისგან განსხვავებულ შემთხვევაში, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, საბაჟო დეკლარაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალებისგან განსხვავებული საშუალებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით.

3. ექსპორტის ან გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონელი ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე ან ამ საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობამდე.

4. საბაჟო დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის, საბაჟო დეკლარაციის თანხმლებ დოკუმენტთან საბაჟო ორგანოს დაშვების, საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანისა და მისი გაუქმების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 83. საბაჟო ფორმალობების განხორციელების დრო და ადგილი

1. საბაჟო ორგანომ საქონლის გაფორმების ადგილების, საბაჟო გამშვები პუნქტებისა და საბაჟო ორგანოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საბაჟო ფორმალობების განხორციელების ადგილების სამუშაო საათები ისე უნდა დაადგინოს, რომ საბაჟო პროცედურისა და საბაჟო პროცედურაში მოქცეული საქონლის გადაზიდვის სახეობის გათვალისწინებით არ შეფერხდეს ან არ დაირღვეს საერთაშორისო გადაზიდვის ნაკადი.

2. საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო ფორმალობების განხორციელების დრო და ადგილი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 84. სტანდარტული საბაჟო დეკლარაცია და მისი თანმხლები დოკუმენტები

1. სტანდარტული საბაჟო დეკლარაცია უნდა შეიცავდეს ყველა მონაცემს, რომლებიც საჭიროა იმ საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად, რომელშიც ხდება შესაბამისი საქონლის დეკლარირება.

2. სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის თანმხლები ყველა დოკუმენტი, რომლებიც აუცილებელია იმ საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად, რომელშიც ხდება შესაბამისი საქონლის დეკლარირება, უნდა

ინახებოდეს დეკლარანტთან, ამასთანავე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საბაჟო ორგანოსთვის სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის წარდგენის მომენტში. სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალებით წარდგენისას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ მოითხოვება სტანდარტული საბაჟო დეკლარაციისთვის იმ დოკუმენტების დართვა, რომლებიც განსაზღვრულია აღნიშნული საბაჟო პროცედურის გამოყენებისთვის, თუ ისინი ელექტრონული ფორმით იქნა წარდგენილი. ეს დოკუმენტები უნდა ინახებოდეს დეკლარანტთან ამ კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადით. მან მოთხოვნისთანავე უნდა წარუდგინოს ისინი საბაჟო ორგანოს.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის თანმხლები ნებისმიერი დოკუმენტი უნდა წარედგინოს საბაჟო ორგანოს, თუ ამას მოითხოვს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ან ეს დოკუმენტი საჭიროა საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად.

4. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევაში პირს, რომელსაც საბაჟო ორგანომ შესაბამისი უფლებამოსილება მიანიჭა, შეუძლია შექმნას სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის თანმხლები დოკუმენტი.

მუხლი 85. გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია

1. პირმა საბაჟო ორგანოს თანხმობით საქონელი საბაჟო პროცედურაში შეიძლება მოაქციოს გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე, რომელიც სრულად არ შეიცავს ამ კოდექსის 84-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მონაცემებს ან რომელსაც სრულად არ ახლავს იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დოკუმენტები.

2. პირმა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია შეიძლება რეგულარულად წარადგინოს საბაჟო ორგანოს თანხმობით, რომელიც გაიცემა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მუხლი 86. დამატებითი საბაჟო დეკლარაცია

1. ამ კოდექსის 85-ე მუხლით გათვალისწინებული გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ან ამავე კოდექსის 94-ე მუხლის შესაბამისად საბაჟო დეკლარაციის დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის ფორმით წარდგენის შემთხვევაში დეკლარანტმა საბაჟო ორგანოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარუდგინოს დამატებითი საბაჟო დეკლარაცია, რომელიც შეიცავს შესაბამისი საბაჟო პროცედურის გამოყენებისთვის აუცილებელ ყველა მონაცემს.

2. ამ კოდექსის 85-ე მუხლით გათვალისწინებული გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში ამ დეკლარაციის თანმხლები ყველა დოკუმენტი უნდა ინახებოდეს დეკლარანტთან, ამასთანავე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საბაჟო ორგანოსთვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

3. დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა არ მოითხოვება:

ა) თუ საქონელი საბაჟო საწყობის პროცედურაში მოექცა;

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

4. საბაჟო ორგანომ შეიძლება არ მოითხოვოს დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის ოდენობა და ღირებულება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილ მინიმალურ ზღვრებზე ნაკლებია;

ბ) გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია უკვე შეიცავს შესაბამისი საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად საჭირო ყველა ინფორმაციას;

გ) გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის ფორმით არ არის წარდგენილი.

5. ამ კოდექსის 85-ე მუხლით გათვალისწინებული გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია ან ამავე კოდექსის 94-ე მუხლის შესაბამისად დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის ფორმით წარდგენილი საბაჟო დეკლარაცია და დამატებითი საბაჟო დეკლარაცია მიიჩნევა ერთიან, განუყოფელ დოკუმენტად, რომელსაც იურიდიული ძალა ენიჭება გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ამ კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრაციის თარიღიდან, ხოლო დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის შემთხვევაში – ამ მონაცემების ასახვის დასრულების დღიდან.

მუხლი 87. საბაჟო დეკლარაციის წარდგენა

1. ამ კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, საბაჟო დეკლარაცია შეიძლება წარადგინოს პირმა, რომელსაც შეუძლია საბაჟო ორგანოსთვის საქონლის წარდგენა და იმ საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად საჭირო ყველა ინფორმაციის მიწოდება, რომელშიც ხდება საქონლის დეკლარირება. ამასთანავე, საბაჟო დეკლარაცია უნდა წარადგინოს პირმა ან მისმა წარმომადგენელმა, თუ საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია კონკრეტული პირის ცალკეულ ვალდებულებებს წარმოშობს.

2. დეკლარანტი უნდა იყოს საქართველოში დაფუძნებული პირი, გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. საქართველოში დაფუძნების ვალდებულების შესრულება არ მოეთხოვება:

ა) პირს, რომელიც წარადგენს საქონლის ტრანზიტის ან დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცევის საბაჟო დეკლარაციას;

ბ) პირს, რომელიც საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით არარეგულარულად წარადგენს საბაჟო დეკლარაციას, მათ შორის, შიდა გადამუშავების პროცედურის ან საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისას;

გ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიის მომიჯნავე უცხო ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე დაფუძნებულ პირს, რომელიც საქონელს წარადგენს უშუალოდ ამ ტერიტორიებს შორის არსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტში, იმ პირობით, რომ, ნაცვალგების პრინციპის გამოყენებით, მსგავსი შეღავათით სარგებლობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაფუძნებული პირი.

მუხლი 88. საბაჟო დეკლარაციის წინასწარ წარდგენა

საბაჟო დეკლარაცია შეიძლება წინასწარ, საბაჟო ორგანოსთვის ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის წარდგენამდე იქნეს წარდგენილი. თუ საბაჟო დეკლარაციის წინასწარ წარდგენის დღიდან 45 დღის განმავლობაში ეს საქონელი საბაჟო ორგანოს არ წარედგინა, მიიჩნევა, რომ საბაჟო დეკლარაცია არ იქნა წარდგენილი.

მუხლი 89. საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია

1. საბაჟო დეკლარაცია, რომელიც აკმაყოფილებს ამ თავით გათვალისწინებულ პირობებს, საბაჟო ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა დაარეგისტრიროს, თუ ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონელი საბაჟო ორგანოს წარედგინა.

2. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საბაჟო ორგანო საქონლის მიმართ იყენებს საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს მოქმედ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობას.

მუხლი 90. რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა

1. დეკლარანტის განცხადების საფუძველზე რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში შესაძლებელია ცვლილების შეტანა. ეს ცვლილება არ შეიძლება შეეხებოდეს იმ საქონელს, რომელიც ამ დეკლარაციით თავდაპირველად დეკლარირებული არ იყო.

2. რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ცვლილების შეტანა არ შეიძლება:

ა) თუ საბაჟო ორგანომ დეკლარანტს შეატყობინა ამ დეკლარაციის შემოწმების განზრახვის შესახებ;

ბ) თუ საბაჟო ორგანომ დაადგინა ამ დეკლარაციაში არასწორი მონაცემის არსებობა;

გ) შესაბამისი საქონლის გაშვების შემდეგ.

3. საქონლის გაშვების შემდეგ, საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან 3 წლის განმავლობაში საბაჟო ორგანომ დეკლარანტს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს უფლება, რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში შეიტანოს ცვლილება საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელების შესახებ სასამართლოს ან საბაჟო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების ჩაბარებამდე, თუ დეკლარანტი ასრულებს საქონლის შესაბამის საბაჟო პროცედურაში მოქცევასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

4. რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება შეიძლება შეტანილ იქნეს საბაჟო ორგანოს ინიციატივით, შესაბამისი საქონლის გაშვებამდე, თუ დადგინდა ამ დეკლარაციაში არასწორი მონაცემის არსებობა.

მუხლი 91. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის გაუქმება

1. საბაჟო ორგანომ დეკლარანტის განცხადების საფუძველზე ბათილად უნდა ცნოს რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაცია, თუ შესრულებულია ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) საბაჟო ორგანო დარწმუნდა, რომ შესაბამისი საქონელი დაუყოვნებლივ უნდა მოექცეს განცხადებულისგან განსხვავებულ საბაჟო პროცედურაში;

ბ) განსაკუთრებული გარემოებების გამო გაუმართლებელია საქონლის მიმართ განცხადებული საბაჟო პროცედურის გამოყენება.

2. თუ საბაჟო ორგანომ დეკლარანტს შეატყობინა საბაჟო დეკლარაციის შემოწმების განზრახვის შესახებ, ამ საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობის თაობაზე დეკლარანტის განცხადება არ მიიღება საქონლის შესწავლის დასრულებამდე.

3. დაუშვებელია საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობა შესაბამისი საქონლის გაშვების შემდეგ, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

4. საქონლის გაშვების შემდეგ საბაჟო დეკლარაცია შეიძლება ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) დეკლარანტის განცხადების საფუძველზე, თუ იგი წარადგენს მტკიცებულებებს, რომ გარკვეული გარემოებების დადგომის (მათ შორის, საქონლის განადგურების, დაზიანების ან გაფუჭების,

ხელშეკრულების პირობების შეცვლის) გამო შეუძლებელია ამ საქონლის მიმართ განცხადებული საბაჟო პროცედურის გამოყენება;

ბ) იმ საქონლის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლისას (თავისუფალ მიმოქცევაში სხვა მიზნობრივი დანიშნულებით გაშვებისას), რომელიც მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში გაშვებულ იქნა თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების პირობით.

მუხლი 92. იმპორტის გადასახადის სხვადასხვა განაკვეთით დასაბეგრი საქონლისთვის საბაჟო დეკლარაციის გამარტივებულად შედგენა

1. დეკლარანტის განცხადების საფუძველზე, საბაჟო ორგანოს თანხმობით სასაქონლო პარტიისთვის იმპორტის გადასახადი შეიძლება გაანგარიშდეს მასში შემავალი სხვადასხვა საქონლისთვის განსაზღვრული იმპორტის გადასახადის უმაღლესი განაკვეთის საფუძველზე, თუ ეს სასაქონლო პარტია შედგება იმპორტის გადასახადის სხვადასხვა განაკვეთით დასაბეგრი საქონლისგან და სასაქონლო პარტიაზე საბაჟო დეკლარაციის შედგენა იმპორტის გადასახადის ოდენობის შეუსაბამო, დიდ დანახარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იმპორტის გადასახადის გაანგარიშების წესი არ გამოიყენება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვებისადმი ან/და შეზღუდვებისადმი ან აქციზით დაბეგვრისადმი დაქვემდებარებული საქონლის მიმართ.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული საბაჟო დეკლარაციის გამარტივებულად შედგენის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 93. საქონლის ცენტრალიზებული გაფორმება

1. საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, დაინტერესებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე მისცეს საბაჟო დეკლარაციის წარდგენის და საქონლის გაფორმების სხვადასხვა ადგილზე განხორციელების უფლება.

2. საქონლის გაფორმების სხვადასხვა ადგილზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენისა და საქონლის გაფორმების განხორციელების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 94. დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვა

1. საბაჟო ორგანომ პირს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს საბაჟო დეკლარაციის, მათ შორის, გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის, დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის ფორმით წარდგენის ავტორიზაცია, თუ ეს პირი უზრუნველყოფს საბაჟო ორგანოსთვის ამ მონაცემების ხელმისაწვდომობას.

2. საბაჟო დეკლარაცია რეგისტრირებულად მიიჩნევა დეკლარანტის ჩანაწერებში საქონლის შესახებ მონაცემების ასახვის მომენტიდან.

3. საბაჟო ორგანომ პირის განცხადების საფუძველზე შეიძლება გააუქმოს საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის ვალდებულება. ამ შემთხვევაში საქონელი გაშვებულად მიიჩნევა დეკლარანტის ჩანაწერებში საქონლის შესახებ მონაცემების ასახვის მომენტიდან. ამ ნაწილის შესაბამისად საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) დეკლარანტი არის საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი;

ბ) საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლება განპირობებულია საქონლის სახეობითა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის სიხშირით;

გ) საბაჟო ორგანოსთვის ხელმისაწვდომია ყველა ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია საჭიროების შემთხვევაში საქონლის შემოწმებისას საბაჟო ორგანოს მიერ უფლებამოსილების განხორციელებისთვის;

დ) დეკლარანტის ჩანაწერებში საქონლის შესახებ მონაცემების ასახვის მომენტში საქონელი აღარ ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შეზღუდვებსა და აკრძალვებს, თუ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ავტორიზაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. განსაკუთრებულ შემთხვევებში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს საქონლის მისთვის წარდგენა.

5. პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც დაიშვება საქონლის გაშვება, დადგენილი უნდა იყოს ავტორიზაციით.

6. საბაჟო დეკლარაციის დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის ფორმით წარდგენის ავტორიზაციის გაცემის პირობები და დეკლარანტის ჩანაწერებში საქონლის შესახებ მონაცემების ასახვის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 95. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის მიერ იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშება

1. საბაჟო ორგანომ იმ ავტორიზებულ ეკონომიკურ ოპერატორს, რომელსაც აქვს ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისთვის, მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშებასთან დაკავშირებული გარკვეული საბაჟო ფორმალობებისა და საბაჟო კონტროლის ცალკეული ღონისძიებების საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განხორციელების უფლება.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშებასთან დაკავშირებული საბაჟო ფორმალობებისა და საბაჟო კონტროლის ღონისძიებების განხორციელების უფლების მიცემის პირობები, განსახორციელებელი საბაჟო პროცედურა ან/და საბაჟო კონტროლის ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

თავი XIV. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის შემოწმება და საქონლის გაშვება

მუხლი 96. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის შემოწმება

1. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში არსებული მონაცემების სიზუსტის შემოწმების მიზნით:

ა) შეისწავლოს ეს დეკლარაცია და მისი თანმხლები დოკუმენტები;

ბ) მოსთხოვოს დეკლარანტს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა;

გ) დაათვალიეროს საქონელი;

დ) აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში მისი ანალიზისთვის ან საქონლის დეტალური

შემოწმებისთვის.

2. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის შემოწმების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 97. საქონლის დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება

1. საქონლის დასათვალიერებლად და ანალიზისთვის მისი სინჯის ან/და ნიმუშის ასაღებად განკუთვნილ ადგილზე საქონლის მიტანა, აგრეთვე საქონლის დასათვალიერებლად და ანალიზისთვის მისი სინჯის ან/და ნიმუშის ასაღებად საქონლის მომზადება უნდა უზრუნველყოს დეკლარანტმა. ამ ქმედებებთან დაკავშირებულ ხარჯებს დეკლარანტი ანაზღაურებს.

2. დეკლარანტს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს, დაესწროს საქონლის დათვალიერებას და ანალიზისთვის მისი სინჯის ან/და ნიმუშის აღებას. დეკლარანტი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია საქონლის დასათვალიერებლად და ანალიზისთვის მისი სინჯის ან/და ნიმუშის ასაღებად დახმარების გაწევის მიზნით საბაჟო ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე დაესწროს საქონლის დათვალიერებას და ანალიზისთვის მისი სინჯის ან/და ნიმუშის აღებას.

3. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის აღება, საბაჟო ორგანოს თანხმობით, შეუძლია აგრეთვე დეკლარანტს, საქონელთან ან/და სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული უფლებამოსილების მქონე სხვა პირს ან მის წარმომადგენელს, სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს თანამშრომელს, თუ ეს:

ა) არ ეწინააღმდეგება და არ ართულებს საბაჟო კონტროლს;

ბ) არ ცვლის საქონლის მახასიათებლებს.

4. თუ საქონლის სინჯი ან/და ნიმუში საბაჟო ორგანოს ინიციატივით აიღება, ჩატარებული ანალიზის ან გამოკვლევის ხარჯებს აანაზღაურებს საბაჟო ორგანო. ამასთანავე, საბაჟო ორგანო ვალდებული არ არის, აანაზღაუროს სინჯის ან/და ნიმუშის სახით აღებული საქონლის ღირებულება.

5. თუ საქონლის სინჯი ან/და ნიმუში დეკლარანტის ინიციატივით აიღება, ჩატარებული ანალიზის ან გამოკვლევის ხარჯებს აანაზღაურებს დეკლარანტი.

6. საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის ანალიზის/ექსპერტიზის ან გამოკვლევის შედეგები უნდა ეცნობოს დეკლარანტს ან საქონელთან დაკავშირებული უფლებამოსილების მქონე სხვა პირს ანდა მის წარმომადგენელს.

7. ანალიზის/ექსპერტიზის ან გამოკვლევის დამთავრების შემდეგ საქონლის სინჯი ან/და ნიმუში უბრუნდება მის მფლობელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს სინჯი ან/და ნიმუში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განადგურებას ექვემდებარება, ან მისი ნაწილი ანალიზის ან გამოკვლევის პროცესში გაიხარჯა, ან სინჯის ან/და ნიმუშის დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები მის ღირებულებას აღემატება.

8. საქონლის დათვალიერებისა და სინჯის ან/და ნიმუშის აღების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 98. საქონლის ნაწილობრივი დათვალიერება და საქონლის ნაწილიდან სინჯის ან/და ნიმუშის აღება

1. საქონლის ნაწილობრივი დათვალიერების ან საქონლის ნაწილიდან აღებული სინჯის ან/და ნიმუშის ანალიზის შედეგები ვრცელდება ერთი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულ მთელ საქონელზე, თუ საბაჟო ორგანო ახორციელებს ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის ნაწილის

დათვალიერებას ან საქონლის ნაწილიდან სინჯის ან/და ნიმუშის აღებას.

2. თუ დეკლარანტი მიიჩნევს, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგები არ შეიძლება გავრცელდეს დანარჩენ საქონელზე, მას უფლება აქვს, მოითხოვოს საქონლის დამატებითი დათვალიერების განხორციელება. ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, თუ საქონელი გაშვებული არ არის ან საქონელი გაშვებულია, მაგრამ დეკლარანტი დაადასტურებს, რომ მას არანაირი ცვლილება არ განუცდია.

3. თუ ერთი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულია საქონლის რამდენიმე სახეობა, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მიზნებისთვის საქონლის თითოეული სახეობის შესახებ მონაცემები ცალ-ცალკე დეკლარირებულად მიიჩნევა.

მუხლი 99. საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგები

1. საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგები ვრცელდება იმ საბაჟო პროცედურის გამოყენებაზე, რომელშიც საქონელი არის მოქცეული.

2. თუ საბაჟო დეკლარაცია არ მოწმდება, ამ მუხლის პირველი ნაწილი გამოიყენება ამ საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული მონაცემების საფუძველზე.

მუხლი 100. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალება

1. თუ ნიშანდება აუცილებელია საქონლის შემდგომი იდენტიფიკაციისთვის ან/და საჭიროა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და შენობა-ნაგებობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისთვის, საბაჟო ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე საბაჟო ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ახორციელებს მის ნიშანდებას საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით.

2. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაციის მიზნით საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების ნაცვლად ან მასთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლის ვიდეოგადაღება ან/და ფოტოგადაღება, მასშტაბურად გამოსახვა და საქონლის მონიშვნა ციფრული ან მწარმოებლის მიერ გამოსახული სერიული ნომრების მარკირებით ან აღწერით.

3. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია აღიაროს საბაჟო იდენტიფიკაციის სხვა საშუალება, რომლითაც საქონლის გამგზავნის, გადამზიდავის, დეკლარანტის ან/და სხვა ვალდებული პირის ან უცხო ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ ნიშანდებულია საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება ან/და შენობა-ნაგებობა. ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს მიერ აღიარებული საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალება ცვლის საქართველოში დადგენილ საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებას.

4. საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, მოითხოვოს საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების დადებისას ან/და მოხსნისას/მოცილებისას დაინტერესებული პირის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება.

5. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალება ისე უნდა იქნეს დადებული, რომ მის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს საქონელთან მისვლა ან კვალის დატოვების გარეშე სატრანსპორტო საშუალებაში ან შენობა-ნაგებობაში უკანონო შეღწევა. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალება იმგვარად უნდა იყოს დადებული, რომ გამოირიცხოს დაუზიანებლად მისი მოხსნა/მოცილება. საბაჟო ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია შესაბამის დოკუმენტში ან/და საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნოს მის მიერ საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების დადება.

6. სატრანსპორტო საშუალების ან შენობა-ნაგებობის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს საბაჟო ორგანოს საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების დაზიანების ან დაკარგვის თაობაზე და ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაზე ან შენობა-ნაგებობაზე დაზიანების კვალის ან სხვა დაზიანების აღმოჩენის შესახებ.

7. დაუშვებელია საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა/მოცილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი მოხსნა/მოცილება აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებაში ან შენობა-ნაგებობაში შენახული საქონლის ხელშეუხებლობის ან/და განადგურებისგან დაცვის უზრუნველყოფისთვის და ეს აუცილებლობა ამ კოდექსით გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოიშვა.

8. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებები, მათი დადებისა და მოხსნის/მოცილების, ნიშანდებულ საქონელთან, სატრანსპორტო საშუალებასა და შენობა-ნაგებობასთან მოპყრობისა და საქონლის იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების აღიარების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 101. საქონლის გაშვება

1. თუ საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები სრულად არის დაცული, საქონელი გაიშვება დაუყოვნებლივ, საბაჟო დეკლარაციის შემოწმების დასრულებისთანავე, ხოლო თუ საბაჟო დეკლარაცია არ მოწმდება – ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საქონელი გაიშვება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ამ კოდექსის 96-ე მუხლით გათვალისწინებული საბაჟო დეკლარაციის შემოწმება გონივრულ ვადაში ვერ სრულდება და მისი შემოწმების მიზნისთვის საქონლის წარდგენის ადგილზე ყოფნა აღარ მოითხოვება.

3. ერთი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული ყველა საქონელი გაშვებული უნდა იქნეს ერთდროულად, გარდა იმ შემთხვევისა, რომელზედაც გადაწყვეტილებას იღებს საბაჟო ორგანო.

4. თუ ერთი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულია საქონლის რამდენიმე სახეობა, ამ მუხლის მე-3 ნაწილის მიზნისთვის საქონლის თითოეული სახეობის შესახებ მონაცემები ცალ-ცალკე დეკლარირებულად მიიჩნევა.

5. თუ საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა გარანტიის წარდგენას ითვალისწინებს, ამ საბაჟო პროცედურაში მოსაქცევი საქონლის გაშვება დასაშვებია შესაბამისი გარანტიის წარდგენის შემდეგ.

თავი XV. საქონლის განკარგვა

მუხლი 102. საქონლის განადგურება

1. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს მისთვის წარდგენილი საქონლის განადგურება, რის შესახებაც მან უნდა აცნობოს საქონლის მფლობელს. საქონლის განადგურების ხარჯებს საქონლის მფლობელი ანაზღაურებს.

2. საქონლის გასანადგურებლად განსახორციელებელი საბაჟო ფორმალობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 103. საქონლის განკარგვის ღონისძიებები

1. საბაჟო ორგანომ საქონლის განკარგვის მიზნით მის მიმართ შეიძლება განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) საბაჟო სანქციის სახით საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა;

ბ) საქონლის განადგურება;

გ) საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიებები საბაჟო ორგანოს ინიციატივით ხორციელდება იმ საქონლის მიმართ:

ა) რომლის გაშვება არ შეიძლება, რადგან დეკლარანტის მიზეზით შეუძლებელი გახდა დადგენილ ვადაში საბაჟო ფორმალობების განხორციელება/საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა ან გადახდილი არ იქნა იმპორტის გადასახდელი ან/და წარდგენილი არ იქნა გარანტია;

ბ) რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია ან შეზღუდულია;

გ) რომელიც გაშვებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გატანილი არ იქნა საბაჟო კონტროლის ზონიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულია გაშვებული საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში გარკვეული ვადით დატოვება;

დ) რომლის (მათ შორის, დროებით შენახული საქონლის) მიმართაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ განსაზღვრულა საბაჟო პროცედურა ან რომლის მიმართაც აღნიშნული ვადის ამოწურვამდე ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიება არ განხორციელებულა;

ე) რომლის მიმართაც საბაჟო პროცედურა განსაზღვრულია და ამ კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი ვადა ამოწურულია, თუ ეს საბაჟო პროცედურა არ დასრულებულა ან სხვა საბაჟო პროცედურა არ განსაზღვრულა, ან რომლის მიმართაც ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიება არ განხორციელებულა;

ვ) რომლის საბაჟო საწყობის პროცედურაში შენახვის ვადა ამოიწურა და არ გაგრძელებულა, ან რომლის მიმართაც სხვა საბაჟო პროცედურა არ განსაზღვრულა ან არ განხორციელებულა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიება;

ზ) რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 164-ე მუხლის მე-8 ნაწილით.

3. საბაჟო ორგანო დეკლარანტს წერილობით ატყობინებს საქონლის განკარგვის განზრახვის შესახებ და ადგენს ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“–„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ვადას, რომელიც 30 დღეს არ უნდა აღემატებოდეს. ამ ვადაში დეკლარანტის მიერ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ან საქონლის რეექსპორტის შემთხვევაში საბაჟო ორგანო არ ახორციელებს საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას ან საქონლის განადგურებას.

4. დეკლარანტის ინიციატივითა და საბაჟო ორგანოს ზედამხედველობით ხორციელდება საქონლის განკარგვის შემდეგი ღონისძიებები:

ა) საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა;

ბ) საქონლის განადგურება.

5. საქონლის განკარგვის მიზნით საბაჟო ორგანოს მიერ მის მიმართ ღონისძიებების განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 104. საქონლის სახელმწიფოსთვის გადაცემა

1. პროცედურის მფლობელმა ან საქონლის მფლობელმა უცხოური საქონელი და მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი საბაჟო ორგანოსთან წინასწარი შეთანხმებით შეიძლება საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფოს, მათ შორის, თვითმმართველ ერთეულს.

2. საქონლის სახელმწიფოსთვის გადაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

წიგნი VI

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება და იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების განსაკუთრებული შემთხვევები

თავი XVI. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება

მუხლი 105. მოქმედების სფერო და მიზანი

1. უცხოური საქონელი, რომელიც განკუთვნილია საქართველოში რეალიზაციისთვის, მოხმარებისთვის ან გამოყენებისთვის, უნდა მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში.

2. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება იწვევს:

ა) იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას;

ბ) მის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებებისა და აკრძალვებისა და შეზღუდვების გამოყენებას, თუ ისინი მანამდე გამოყენებული არ ყოფილა;

გ) მის შემოტანასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების შესრულებას.

3. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი.

მუხლი 106. ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების გამოყენება

1. თუ შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული პროდუქტი თავისუფალ მიმოქცევაში გაიშვება და იმპორტის გადასახადის ოდენობა გაანგარიშდება ამ კოდექსის 54-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გადამუშავებული პროდუქტის მიმართ გამოიყენება შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემთხვევაში გამოსაყენებელი ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ ვრცელდება გადამუშავების შედეგად მიღებულ ნარჩენზე.

3. შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას და იმპორტის გადასახადის ოდენობის ამ კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გაანგარიშებისას გადამუშავებული პროდუქტისთვის დადგენილი ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ ანალოგიური ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები გამოიყენება.

4. გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემთხვევაში ვაჭრობაში დამცავი

ღონისძიებები არ გამოიყენება, თუ:

ა) ეს პროდუქტი ინარჩუნებს ქართულ წარმოშობას ამ კოდექსის 36-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად;

ბ) გარე გადამუშავება მოიცავს შეკეთებას, მათ შორის, ამ კოდექსის 153-ე მუხლის შესაბამისად სტანდარტული გაცვლის სისტემის გამოყენებას;

გ) გარე გადამუშავება გამოიყენება ამ კოდექსის 147-ე მუხლის შესაბამისად დამატებითი გადამუშავებისთვის.

თავი XVII. იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების განსაკუთრებული შემთხვევები

მუხლი 107. დაბრუნებული საქონელი

1. თუ საქონელი ან მისი ნაწილი, რომელიც ექსპორტირებულ იქნა საქართველოდან და რომელსაც უცხოური საქონლის სტატუსი მიენიჭა, 3 წლის ვადაში დაბრუნდა საქართველოში თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად, დეკლარანტის მოთხოვნის შემთხვევაში დაბრუნებული საქონელი თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან, თუ იგი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაბრუნებისას არის იმავე მდგომარეობაში, რომელშიც იყო საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას.

2. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია დეკლარანტის განცხადების საფუძველზე ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადა გააგრძელოს 1 წლით.

3. თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე საქონელი საქართველოში გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში მიზნობრივი დანიშნულებით, დაბრუნებული საქონელი ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება, თუ იგი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილია უცვლელ მდგომარეობაში და იმავე მიზნობრივი დანიშნულებით.

4. ამ მუხლის პირველი–მე-3 ნაწილები ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც საქონელი ამ კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად კარგავს საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსს და შემდეგ გაიშვება თავისუფალ მიმოქცევაში.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებით სარგებლობისთვის უნდა შესრულდეს ამავე მუხლით გათვალისწინებული პირობები. ამ პირობების შესრულება დასტურდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით.

6. შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებულ გადამუშავებულ პროდუქტზე, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტირებულ იქნა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცვლელ მდგომარეობაში დაბრუნდა, გადასახდელი იმპორტის გადასახადის ოდენობა გაანგარიშდება ამ კოდექსის 54-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. ამ შემთხვევაში რეექსპორტის დეკლარაციის რეგისტრაციის დღე მიიჩნევა აღნიშნული პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დღედ.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლება არ გამოიყენება ამ კოდექსის 117-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოდან ექსპორტირებული გადამუშავებული პროდუქტის მიმართ, თუ უზრუნველყოფილი არ იქნება, რომ იმავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონელი ან/და დაბრუნებული საქონელი არ მოექცევა შიდა გადამუშავების პროცედურაში.

მუხლი 108. საზღვაო თევზჭერის პროდუქტები და ზღვის სხვა პროდუქტები

1. ამ კოდექსის 36-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება შემდეგი საქონელი:

ა) საქართველოში რეგისტრირებული და საქართველოს დროშით მცურავი გემის მიერ საქართველოს ტერიტორიული წყლების გარეთ მოპოვებული საზღვაო თევზჭერის პროდუქტი ან ზღვის სხვა პროდუქტი;

ბ) პროდუქტი, რომელიც საქართველოში რეგისტრირებულ და საქართველოს დროშით მცურავ გადამამუშავებელ (მწარმოებელ) გემზე მიიღება ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროდუქტისგან.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებით სარგებლობისთვის უნდა შესრულდეს ამავე მუხლით გათვალისწინებული პირობები. ამ პირობების შესრულება დასტურდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით.

მუხლი 109. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი

1. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი არის საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც შესაძლებელია იმ ფიზიკურ პირზე, რომელიც ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას, პირადი სარგებლობისთვის საცალო წესით რეალიზებულ იქნეს:

ა) უცხოური საქონელი იმპორტის გადასახდელის გადახდისა და ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების განხორციელების გარეშე;

ბ) საქართველოს საქონელი.

2. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი საქმიანობას ახორციელებს საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

3. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შეიძლება რეალიზებულ იქნეს ნებისმიერი საქონელი, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საქონლისა.

4. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შენახული საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით ან შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით.

5. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

წიგნი VII

სპეციალური პროცედურები

თავი XVIII. ზოგადი დებულებები სპეციალური პროცედურებისთვის

მუხლი 110. სპეციალური პროცედურები

საქონელი შეიძლება მოექცეს ნებისმიერ შემდეგ სპეციალურ პროცედურაში:

ა) ტრანზიტი;

ბ) საბაჟო საწყობი;

გ) თავისუფალი ზონა;

დ) დროებით შემოტანა;

ე) მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება;

ვ) შიდა გადამუშავება;

ზ) გარე გადამუშავება.

მუხლი 111. ავტორიზაცია

1. საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული ავტორიზაცია აუცილებელია შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავების, დროებით შემოტანის და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების გამოყენებისთვის.

2. საბაჟო ორგანომ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეიძლება გასცეს ავტორიზაცია უკუქცევითი ძალით, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) დადასტურებულია შესაბამისი საბაჟო პროცედურის ეკონომიკური საჭიროება;

ბ) განცხადება არ უკავშირდება საბაჟო ორგანოს მოტყუების მცდელობას;

გ) დაინტერესებული პირის საბუღალტრო ჩანაწერებით დასტურდება:

გ.ა) შესაბამის საბაჟო პროცედურასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება;

გ.ბ) შესაბამის პერიოდში საქონლის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, როდესაც ეს შესაძლებელია;

გ.გ) ამ ჩანაწერებით შესაბამისი პროცედურის კონტროლის შესაძლებლობა;

დ) შესაძლებელია საქონელთან დაკავშირებით განხორციელდეს ყველა საჭირო ფორმალობა, მათ შორის, საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობა, თუ ეს აუცილებელია;

ე) განცხადების მიღებამდე 3 წლის განმავლობაში განმცხადებელზე არ არის გაცემული ავტორიზაცია უკუქცევითი ძალით;

ვ) არ მოითხოვება ეკონომიკური პირობების შესწავლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელი ითხოვს იმავე სახის ოპერაციასა და საქონელზე მანამდე გაცემული ავტორიზაციის ვადის გაგრძელებას;

ზ) იმავე სახის ოპერაციასა და საქონელზე მანამდე გაცემული ავტორიზაციის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული განცხადება წარდგენილია პირველადი ავტორიზაციის გაცემიდან 3 წლის ვადაში.

3. საბაჟო ორგანომ შეიძლება უკუქცევითი ძალით გასცეს ავტორიზაცია იმ საქონელზე, რომელიც მოქცეული იყო საბაჟო პროცედურაში, მაგრამ რომელიც ამ ავტორიზაციის გაცემასთან დაკავშირებული დაინტერესებული პირის განცხადების მიღების მომენტში ხელმისაწვდომი აღარ არის.

4. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ავტორიზაცია გაიცემა პირზე, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

ა) იგი არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაფუძნებული პირი;

ბ) იგი ადასტურებს ოპერაციების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობას. მიიჩნევა, რომ საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი აკმაყოფილებს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობას, თუ მის მიერ განსახორციელებელი ოპერაციები მითითებულია ამ კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გაცემულ ავტორიზაციაში;

გ) იგი წარმოადგენს ამ კოდექსის 55-ე მუხლით გათვალისწინებულ გარანტიას, თუ საქონლის სპეციალურ პროცედურაში მოქცევა იწვევს საბაჟო ვალდებულების წარმოშობას;

დ) დროებით შემოტანის ან შიდა გადამუშავების პროცედურის შემთხვევაში იგი დადგენილი წესით იყენებს საქონელს ან ორგანიზებას უწევს მის გამოყენებას ანდა ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციას ან ორგანიზებას უწევს მის განხორციელებას.

5. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ავტორიზაცია გაიცემა, თუ ამავე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული პირობების გარდა სრულდება აგრეთვე შემდეგი პირობები:

ა) საბაჟო ორგანოს ექნება შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობა ეკონომიკურ საჭიროებასთან შეუსაბამო ადმინისტრაციული ფორმალობის გარეშე;

ბ) შიდა გადამუშავების ან გარე გადამუშავების პროცედურასთან დაკავშირებული ავტორიზაციის გაცემა ადგილობრივი მეწარმის ინტერესებზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს.

6. მიიჩნევა, რომ ავტორიზაციის გაცემა ადგილობრივი მეწარმის ინტერესებზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება ან თუ ეკონომიკური პირობები შესრულებულად ჩაითვლება.

7. შემთხვევები, როდესაც ავტორიზაციის გაცემისთვის აუცილებელია ადგილობრივი მეწარმის ინტერესებზე მისი გაცემის გავლენის შესწავლა, და შესაბამისი კომპეტენტური უწყება, რომლის დასკვნაც აუცილებელია ავტორიზაციის გაცემისთვის, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

8. საბაჟო ორგანოს მიერ ავტორიზაციის გაცემის წესი და პირობები და ამ პირობების შესრულებისგან გათავისუფლების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 112. აღრიცხვა

1. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ავტორიზაციის მფლობელმა, პროცედურის მფლობელმა (გარდა ტრანზიტის პროცედურის მფლობელისა) ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც ახორციელებს საქონლის შენახვასთან ან გადამუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ანდა თავისუფალ ზონაში საქონლის გაყიდვას ან შეძენას, უნდა აწარმოოს სათანადო აღრიცხვა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ფორმით. აღრიცხვა გულისხმობს ისეთი მონაცემისა და სხვა ინფორმაციის შენახვას, რომლებიც საბაჟო ორგანოს საშუალებას მისცემს, ზედამხედველობა გაუწიოს შესაბამის საბაჟო პროცედურას, კერძოდ, ამ პროცედურაში მოქცეული საქონლის იდენტიფიკაციასთან, საბაჟო სტატუსთან და გადაადგილებასთან დაკავშირებით.

2. მიიჩნევა, რომ საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი

ასრულებს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულებას, თუ მის მიერ წარმოებული აღრიცხვა შეესაბამება სპეციალური პროცედურის მიზნებს.

მუხლი 113. სპეციალური პროცედურის დასრულება

1. ამ კოდექსის 141-ე მუხლის გათვალისწინებით, სპეციალური პროცედურა, გარდა ტრანზიტის პროცედურისა, დასრულდება, თუ ამ პროცედურაში მოქცეული საქონელი ან გადამუშავებული პროდუქტი მოექცა სხვა საბაჟო პროცედურაში ან გატანილ იქნა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ან განადგურდა ნარჩენის გარეშე ან ამ კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად გადაეცა სახელმწიფოს.

2. ტრანზიტის პროცედურა დასრულდება, თუ:

ა) საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები წარედგინა დანიშნულების საბაჟო ორგანოს ან ისინი წარდგენილ იქნა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე;

ბ) საქონელი მოექცა სხვა საბაჟო პროცედურაში;

გ) განხორციელდა საქონლის განკარგვა ამ კოდექსის XV თავის შესაბამისად.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საბაჟო ორგანო ტრანზიტის პროცედურას დაასრულებს, თუ საქონლის გაგზავნის საბაჟო გამშვებ პუნქტსა და დანიშნულების საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე არსებული მონაცემების შედარებით დადასტურდა, რომ ეს პროცედურა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დაცვით განხორციელდა.

4. თუ სპეციალური პროცედურა არ სრულდება დადგენილი პირობების შესაბამისად, საბაჟო ორგანომ უნდა მიიღოს ნებისმიერი საჭირო ზომა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად.

5. სპეციალური პროცედურის დასრულების წესი და ვადა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 114. პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა

1. პროცედურის მფლობელის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც დაკავშირებულია სპეციალურ პროცედურაში მოქცეულ საქონელთან, გარდა ტრანზიტის პროცედურაში მოქცეული საქონლისა, შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გადაეცეს სხვა პირს, რომელიც ასრულებს ამ საბაჟო პროცედურასთან დაკავშირებულ პირობებს.

2. პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისთვის გადაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 115. საქონლის გადაადგილება

1. სპეციალურ პროცედურაში მოქცეული საქონელი გადაადგილდება ამ კოდექსის 118-ე მუხლით დადგენილი წესით.

2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში სპეციალურ პროცედურაში მოქცეული საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განლაგებულ სხვადასხვა ადგილს შორის შეიძლება გადაადგილდეს იმავე ბრძანებით დადგენილი განსხვავებული პირობებით.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილი არ ვრცელდება ტრანზიტის ან თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის გადაადგილებაზე.

მუხლი 116. საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები

1. საბაჟო საწყობის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავების ან თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მისი შენახვის უზრუნველყოფისთვის ანდა სასაქონლო სახის ან მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი ქმედებები ან საქონლის გაყიდვისთვის/ტრანსპორტირებისთვის მოსამზადებელი ქმედებები.

2. საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით ან ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებებით.

3. საბაჟო საწყობის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავებისა და თავისუფალი ზონის პროცედურებში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების ნუსხა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

4. საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, დაადგინოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულისგან განსხვავებული შემთხვევები.

მუხლი 117. ეკვივალენტური საქონელი

1. ეკვივალენტური საქონელი არის საქართველოს საქონელი, რომელიც შეიძლება შენახულ, გამოყენებულ ან გადამუშავებულ იქნეს სპეციალურ საბაჟო პროცედურაში მოქცეული საქონლის ნაცვლად.

2. გარე გადამუშავების პროცედურის შემთხვევაში ეკვივალენტური საქონელი არის უცხოური საქონელი, რომელიც შეიძლება გადამუშავდეს გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონლის ნაცვლად.

3. ეკვივალენტურ საქონელს უნდა ჰქონდეს იგივე სეს ესნ-ის კოდი რვანიშნა დონეზე, ხარისხი და ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც აქვს იმ საქონელს, რომელსაც იგი ანაცვლებს, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

4. საბაჟო ორგანო პირის განცხადების საფუძველზე და იმ პირობით, რომ საბაჟო ზედამხედველობის მიზნისთვის უზრუნველყოფილი იქნება პროცედურის სათანადო განხორციელება, გასცემს ავტორიზაციას:

ა) ეკვივალენტური საქონლის საბაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, შიდა გადამუშავების ან გარე გადამუშავების პროცედურაში გამოყენებაზე;

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში ეკვივალენტური საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში გამოყენებაზე;

გ) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის შემოტანამდე გატანაზე;

დ) გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის გატანამდე შემოტანაზე.

5. მიიჩნევა, რომ საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი უზრუნველყოფს პროცედურის სათანადო განხორციელებას, თუ მის მიერ განსახორციელებელი ოპერაციები, რომლებშიც ეკვივალენტური საქონელი გამოიყენება, მითითებულია ამ კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გაცემულ ავტორიზაციაში.

6. ეკვივალენტური საქონლის გამოყენებაზე ავტორიზაცია არ შეიძლება გაიცეს, თუ:

ა) შიდა გადამუშავების პროცედურაში გამოიყენება მხოლოდ ამ კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები;

ბ) საქართველოს მიერ უცხო ქვეყანასთან ან უცხო ქვეყნების ჯგუფთან გაფორმებული პრეფერენციული საერთაშორისო შეთანხმება ითვალისწინებს იმპორტის გადასახადის დაბრუნების ან მისგან გათავისუფლების აკრძალვას შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული ისეთი გადამუშავებული პროდუქტის საწარმოებლად გამოყენებული საქართველოს წარმოშობის სტატუსის არმქონე საქონლისთვის, რომლისთვისაც იმავე შეთანხმების შესაბამისად გაიცემა ან გამოიწერება საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;

გ) ეს გამოიწვევს იმპორტის გადასახადზე გაუმართლებელ შეღავათს ან დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

7. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ეკვივალენტური საქონლის გამოყენების წესი და პირობები, აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ეკვივალენტური საქონელი არ გამოიყენება, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

თავი XIX. ტრანზიტის პროცედურა

მუხლი 118. ტრანზიტის პროცედურის გამოყენება

1. ტრანზიტის პროცედურა საშუალებას იძლევა, უცხოური საქონელი გადაადგილდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მდებარე ორ პუნქტს შორის. ტრანზიტის პროცედურის გამოყენება არ იწვევს:

ა) იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას;

ბ) საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის.

2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში საქართველოს საქონელი უნდა მოექცეს ტრანზიტის პროცედურაში.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაადგილება შეიძლება განხორციელდეს:

ა) ტრანზიტის პროცედურის შესაბამისად;

ბ) „TIR კარნეტის ფარგლებში საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის შესახებ“ ჟენევის 1975 წლის 14 ნოემბრის საბაჟო კონვენციის (TIR კონვენცია) შესაბამისად, თუ გადაზიდვა იწყება ან სრულდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ;

გ) „საქონლის დროებითი დაშვების ATA კარნეტის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) და „დროებითი დაშვების შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის შესაბამისად;

დ) თუ გადაზიდვა, მსოფლიო საფოსტო კავშირის შესაბამისი აქტების მიხედვით, არის საფოსტო გადაზიდვა.

4. საქონელი, რომელიც გადაიზიდება ტრანზიტის პროცედურის შესაბამისად, უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა ამ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით.

მუხლი 119. ტვირთის უფლებამოსილი მიმღები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში საბაჟო ორგანომ დაინტერესებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს „TIR კარნეტის ფარგლებში საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის შესახებ“ ჟენევის 1975 წლის 14 ნოემბრის საბაჟო კონვენციის (TIR კონვენცია) შესაბამისად გადაადგილებული საქონლის საბაჟო ორგანოსთან წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე მიღების უფლება, თუ ამ საქონლის გადაზიდვა ხორციელდება იმავე კონვენციის პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამ უფლების მიღების შემთხვევაში დაინტერესებული პირი არის ტვირთის უფლებამოსილი მიმღები.

მუხლი 120. ტრანზიტის პროცედურის მფლობელის, გადამზიდავისა და საქონლის მიმღების ვალდებულებები

1. ტრანზიტის პროცედურის მფლობელი ვალდებულია:

ა) საქონელი და მისი თანმხლები დოკუმენტები დადგენილ ვადაში და უცვლელ მდგომარეობაში წარუდგინოს დანიშნულების საბაჟო ორგანოს ან წარადგინოს საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) დაუზიანებლად;

ბ) თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საბაჟო ორგანოს წარუდგინოს გარანტია, რომლის წარდგენის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას გადასაზიდ საქონელთან დაკავშირებით;

გ) შეასრულოს ტრანზიტის პროცედურასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2. ტრანზიტის პროცედურის მფლობელის ვალდებულება შესრულდება და ტრანზიტის პროცედურა დასრულდება, თუ ამ პროცედურაში მოქცეული საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინა დანიშნულების საბაჟო ორგანოს ან წარდგენილ იქნა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე.

3. გადამზიდავი და საქონლის მიმღები, რომლებისთვისაც ცნობილია, რომ საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტრანზიტის პროცედურის საფუძველზე გადაადგილდება, ვალდებული არიან საქონელი და მისი თანმხლები დოკუმენტები დადგენილ ვადაში და უცვლელ მდგომარეობაში წარუდგინონ საბაჟო ორგანოს ან წარადგინონ საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) დაუზიანებლად.

მუხლი 121. გამარტივებული ტრანზიტის პროცედურა

1. საბაჟო ორგანომ დაინტერესებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს ტრანზიტის პროცედურაში საქონლის გამარტივებული წესით მოქცევის და ტრანზიტის პროცედურის გამარტივებულად დასრულების უფლება, კერძოდ:

ა) მიანიჭოს ტვირთის უფლებამოსილი გამგზავნის სტატუსი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, საქონელი ტრანზიტის პროცედურაში საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის გარეშე მოაქციოს;

ბ) მიანიჭოს ტვირთის უფლებამოსილი მიმღების სტატუსი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ტრანზიტის პროცედურაში მოქცეული საქონელი საბაჟო ორგანოსთან წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე მიიღოს, რათა დასრულდეს ტრანზიტის პროცედურა ამ კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად;

გ) მისცეს საბაჟო იდენტიფიკაციის სპეციალური საშუალების გამოყენების უფლება, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ტრანზიტის პროცედურაში მოქცეული საქონლის საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით ნიშანდებას მოითხოვს;

დ) მისცეს შესაძლებლობა, საქონელი ტრანზიტის პროცედურაში გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით მოაქციოს;

ე) მისცეს შესაძლებლობა, საბაჟო დეკლარაციის ნაცვლად წარადგინოს ტრანსპორტირების ელექტრონული დოკუმენტი, თუ ის შეიცავს საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს და ეს მონაცემები ხელმისაწვდომია გაგზავნის საბაჟო ორგანოსა და დანიშნულების საბაჟო ორგანოსთვის, რათა მათ უზრუნველყონ საქონლის მიმართ საბაჟო ზედამხედველობის განხორციელება და ტრანზიტის პროცედურის დასრულება.

2. ტრანზიტის პროცედურაში საქონლის მოქცევისა და ამ პროცედურის დასრულების წესები, აგრეთვე გამარტივებული ტრანზიტის პროცედურით სარგებლობის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

თავი XX. საბაჟო საწყობის პროცედურა

მუხლი 122. საბაჟო საწყობის პროცედურის გამოყენება

1. საბაჟო საწყობის პროცედურა საშუალებას იძლევა, უცხოური საქონელი დასაწყობდეს საბაჟო საწყობში, საბაჟო ორგანოს საწყობში ანშენახვის სხვა ადგილზე, რაც არ იწვევს:

ა) იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას;

ბ) საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის.

2. საბაჟო საწყობში, საბაჟო ორგანოს საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად დაზიანებული ან გაფუჭებული საქონელი საბაჟო პროცედურაში ექცევა იმავე წესით, რომლითაც მოექცეოდა ამ სახით არსებული საქონელი.

3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით საქართველოს საქონელი შეიძლება მოექცეს საბაჟო საწყობის პროცედურაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან ამ საქონელზე გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნების მიზნით.

მუხლი 123. საბაჟო საწყობის პროცედურის ვადა

1. საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის შენახვის ვადა 2 წელს არ უნდა აღემატებოდეს. დეკლარანტმა შეიძლება გააგრძელოს ეს ვადა შეუზღუდავი რაოდენობით, იმ პირობით, რომ თითოეული გაგრძელებული ვადა 2 წელს არ აღემატება.

2. განსაკუთრებულ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს შეუძლია დაადგინოს საბაჟო საწყობის პროცედურის

დასრულების ვადა იმ საქონლისთვის, რომლის ხანგრძლივად დასაწყობებამ, მისი სახეობიდან და მახასიათებლიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობას, მცენარეს ან გარემოს.

მუხლი 124. საბაჟო საწყობი, საბაჟო ორგანოს საწყობი და საქონლის შენახვის სხვა ადგილი

1. საბაჟო საწყობში შესაძლებელია:

ა) საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის შენახვა;

ბ) საქონლის დროებით შენახვა;

გ) საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დროებით შენახვა.

2. დასაშვებია საბაჟო საწყობში შენახულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა.

3. საბაჟო ორგანოს საწყობში შეიძლება საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის გარდა საბაჟო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სხვა საქონელიც განთავსდეს.

4. საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის შენახვის სხვა ადგილები და მისი შენახვის შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 125. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა

1. საბაჟო საწყობის საქმიანობა ხორციელდება საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაჟო ორგანო თავად ახორციელებს საბაჟო საწყობის საქმიანობას.

2. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა გაიცემა საქართველოში დაფუძნებულ პირზე. აკრძალულია ამ ნებართვის სხვა პირისთვის გადაცემა.

3. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად დასაკმაყოფილებელი პირობები განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. ნებართვის მაძიებელმა საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ოდენობის გარანტია.

5. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 126. საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცევის გარეშე საქონლის საბაჟო საწყობში მოთავსება

1. ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საბაჟო ორგანოს თანხმობით, თუ ეს უარყოფითად არ იმოქმედებს საბაჟო ზედამხედველობის განხორციელებაზე, შესაძლებელია:

ა) საბაჟო საწყობში შენახულ იქნეს საქართველოს საქონელი;

ბ) შიდა გადამუშავების პროცედურაში ან მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცეული საქონელი გადამუშავდეს საბაჟო საწყობში ამ პროცედურით განსაზღვრული პირობებისა და შესაბამისი შემთხვევებისთვის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის სპეციალური ნორმების დაცვით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქონელი არ მიიჩნევა საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეულად.

მუხლი 127. საბაჟო საწყობის მფლობელისა და საბაჟო საწყობის პროცედურის მფლობელის ვალდებულებები

1. საბაჟო საწყობის მფლობელი და საბაჟო საწყობის პროცედურის მფლობელი ვალდებული არიან:

ა) არ დაუშვან საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონლის საბაჟო ზედამხედველობიდან გატანა საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებლად;

ბ) შეასრულონ საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის დასაწყობებიდან გამომდინარე მოთხოვნები.

2. საბაჟო საწყობის პროცედურის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს საბაჟო საწყობის პროცედურაში საქონლის მოქცევასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

3. საბაჟო საწყობის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვით გათვალისწინებული სანებართვო პირობები.

თავი XXI. თავისუფალი ზონის პროცედურა

მუხლი 128. თავისუფალი ზონის არსი

თავისუფალი ზონა საშუალებას იძლევა, მისი ტერიტორია გამოყენებულ იქნეს ამ კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული ნებადართული საქმიანობისთვის. თავისუფალ ზონაში:

ა) იმპორტის გადასახდელის გადახდისა და ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების განხორციელებისთვის უცხოური საქონლის შეტანა არ მიიჩნევა საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევად და, შესაბამისად, ამ საქონელზე იმპორტის გადასახდელი არ გადაიხდევინება;

ბ) საქართველოს საქონლის მოთავსებისას გამოიყენება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც გამოიყენება ექსპორტის პროცედურაში ანალოგიური საქონლის მოქცევისას (მათ შორის, საქართველოს საქონელს ენიჭება უცხოური საქონლის სტატუსი).

მუხლი 129. თავისუფალი ზონის შექმნა

1. თავისუფალი ზონა არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სპეციალურად გამოყოფილი ნაწილი.

2. დაინტერესებული პირის განცხადებისა და შესაბამისი გარანტიის წარდგენის საფუძველზე თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

3. თავისუფალ ზონაში ნებისმიერი შენობა-ნაგებობის ან კონსტრუქციის მშენებლობა წინასწარ უნდა შეთანხმდეს საბაჟო ორგანოსთან.

4. თავისუფალი ზონა სპეციალური ზღუდით უნდა იყოს შემოსაზღვრული და უნდა განისაზღვროს თავისუფალ ზონაში შესასვლელი ან/და გამოსასვლელი.

5. თავისუფალი ზონის შექმნის პირობები, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობა, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 130. თავისუფალი ზონის პროცედურის ვადა

1. თავისუფალი ზონის პროცედურაში საქონელი შეიძლება მოექცეს უვადოდ.

2. განსაკუთრებულ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს შეუძლია დაადგინოს თავისუფალი ზონის პროცედურის დასრულების ვადა იმ საქონლისთვის, რომლის ხანგრძლივად დასაწყობებამ, მისი სახეობიდან და ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობას, მცენარეს ან გარემოს.

მუხლი 131. თავისუფალ ზონაში საბაჟო კონტროლის განხორციელება

1. თავისუფალი ზონის შესასვლელსა და გამოსასვლელს, თავისუფალი ზონის პერიმეტრს აკონტროლებს საბაჟო ორგანო.

2. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია:

ა) გააკონტროლოს პირის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების თავისუფალ ზონაში შესვლა/თავისუფალი ზონიდან გასვლა;

ბ) აკრძალოს თავისუფალ ზონაში იმ პირის შესვლა და საქმიანობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სათანადოდ შესრულებას;

გ) მოითხოვოს თავისუფალ ზონაში არსებული საქონლის დოკუმენტების ასლები;

დ) საჭიროების შემთხვევაში დაათვალიეროს თავისუფალ ზონაში შენახული საქონელი.

მუხლი 132. თავისუფალ ზონაში ნებადართული საქმიანობა

1. დასაშვებია თავისუფალ ზონაში ნებისმიერი საქონლის შეტანა, შენახვა, გადამუშავება, მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, აგრეთვე თავისუფალი ზონიდან ნებისმიერი საქონლის გამოტანა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. თავისუფალ ზონაში აკრძალულია:

ა) იარაღისა და საბრძოლო მასალის წარმოება, იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობა;

ბ) ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების წარმოება, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებით ვაჭრობა;

გ) ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შეტანა, შენახვა, წარმოება ან/და რეალიზაცია;

დ) თამბაქოს ნაწარმის ან/და თამბაქოს ნედლეულის შეტანა (გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა), შენახვა, წარმოება ან/და რეალიზაცია.

3. თავისუფალ ზონაში დასაშვებია ამ მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

საქონლის შეტანა ადგილზე მოხმარებისთვის. მისი შეტანა საქონლის ექსპორტად არ მიიჩნევა.

4. თავისუფალ ზონაში ნებადართულ საქმიანობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიძლება დაწესდეს აკრძალვები ან შეზღუდვები.

მუხლი 133. თავისუფალ ზონაში საქონლის წარდგენა და დეკლარირება

1. თავისუფალ ზონაში შესატან საქონელზე საბაჟო ორგანოს წარედგინება მხოლოდ გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. თავისუფალ ზონაში შესატანი საქონელი ექვემდებარება საბაჟო ორგანოსთვის წარდგენას და საბაჟო ფორმალობების განხორციელებას, თუ:

ა) იგი მოქცეული იყო სხვა საბაჟო პროცედურაში, რომელიც თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანით დასრულდა. ამასთანავე, საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ ამ საბაჟო პროცედურის მარეგულირებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულია საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლება;

ბ) იგი შეტანილ იქნა თავისუფალ ზონაში იმპორტის გადასახდელის დაბრუნების ან მისი გადახდისგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე;

გ) მის მიმართ გამოიყენება ექსპორტის პროცედურაში მსგავსი საქონლის მოქცევისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები.

მუხლი 134. თავისუფალი ზონიდან საქონლის გატანის პირობები და თავისუფალი ზონიდან გატანილი საქონლის საბაჟო სტატუსი

1. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თავისუფალი ზონიდან გასატანი საქონელი შეიძლება:

ა) გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის პროცედურით ან განხორციელდეს მისი რეექსპორტი;

ბ) გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე.

2. თავისუფალი ზონიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე გატანილ საქონელზე ვრცელდება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლები.

მუხლი 135. საქონლის საბაჟო სტატუსი

1. თუ საქონელი თავისუფალი ზონიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე შეიტანება, ის მიიჩნევა უცხოურ საქონლად, ვიდრე არ დადასტურდება მისი, როგორც საქართველოს საქონლის, სტატუსი.

2. თუ საქონელი თავისუფალი ზონიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გაიტანება, საქონლის ექსპორტთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელების მიზნისთვის ეს საქონელი მიიჩნევა საქართველოს საქონლად, თუ არ დადასტურდება, რომ მას არ აქვს საქართველოს საქონლის სტატუსი.

მუხლი 136. თავისუფალი ზონის საქმიანობის შეწყვეტა

თავისუფალი ზონის საქმიანობა წყდება:

ა) ამ საქმიანობის ვადის გასვლისთანავე;

ბ) თავისუფალი ზონის მფლობელის განცხადების საფუძველზე;

გ) საქართველოს მთავრობის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ თავისუფალი ზონა აღარ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან ეს მოთხოვნები არ სრულდება.

თავი XXII. დროებით შემოტანის პროცედურა

მუხლი 137. დროებით შემოტანის პროცედურის გამოყენება

1. დროებით შემოტანის პროცედურის გამოყენებით უცხოური საქონელი რეექსპორტის განხორციელების პირობით შეიძლება შემოტანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გამოყენების მიზნით, რაც არ იწვევს საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის.

2. დროებით შემოტანისას საქონელი სრულად ან ნაწილობრივ თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან.

3. იმპორტის გადასახადისგან სრულად გათავისუფლებული საქონლის ნუსხა, აგრეთვე იმ საქონლის ნუსხა, რომლის დროებით შემოტანა აკრძალულია, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

4. იმპორტის გადასახადისგან ნაწილობრივ გათავისუფლებით დროებით შემოტანის პროცედურაში შეიძლება მოექცეს მხოლოდ ის უცხოური საქონელი, რომელიც არ შედის იმპორტის გადასახადისგან სრულად გათავისუფლებული საქონლის ნუსხაში.

5. დროებით შემოტანის პროცედურაში მოსაქცევი საქონელი უნდა დარჩეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაფუძნებული პირის საკუთრებაში.

6. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დროებით შემოტანის პროცედურის მფლობელი უნდა იყოს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაფუძნებული პირი.

მუხლი 138. დროებით შემოტანის პროცედურის გამოყენების პირობები

დროებით შემოტანის პროცედურაში საქონლის მოქცევისთვის აუცილებელია:

ა) არსებობდეს საქონლის საიმედო იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა.ა) საქონლის იდენტიფიკაციის შეუძლებლობა, მისი მახასიათებლისა და გამოყენების მიზნის გათვალისწინებით, არ გამოიწვევს ამ პროცედურის პირობების დარღვევას;

ა.ბ) ამ კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია ეკვივალენტურ საქონელთან დაკავშირებული პირობების შესრულების შემოწმება;

ბ) წარდგენილ იქნეს გარანტია, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევისა;

გ) დროებით შემოტანილი საქონელი უკან იქნეს გატანილი უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ექსპლუატაციით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით;

დ) შესრულდეს საქონლის იმპორტის გადასახადისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებისთვის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 139. საქონლის დროებით შემოტანის ვადები

1. დეკლარანტი განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცეული საქონელი უნდა მოექცეს სხვა საბაჟო პროცედურაში ან უნდა განხორციელდეს მისი რეექსპორტი.

2. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ერთი ავტორიზაციის მფლობელმა საქონელი დროებით შემოტანის პროცედურაში შეიძლება მოაქციოს არაუმეტეს 3 წლისა. თუ ერთი ავტორიზაციის მფლობელი დროებით შემოტანის პროცედურას საქონლის სხვა სპეციალურ პროცედურაში მოქცევით ასრულებს და შემდეგ ეს საქონელი ისევ ექცევა დროებით შემოტანის პროცედურაში, დროებით შემოტანის პროცედურაში საქონლის მოქცევის ჯამური ვადა 3 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

3. განსაკუთრებულ შემთხვევაში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია ავტორიზაციის მფლობელის მოტივირებული განცხადების საფუძველზე გაზარდოს დეკლარანტის მიერ ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად განსაზღვრული ვადა ან/და ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ვადა.

4. დროებით შემოტანის პროცედურაში საქონლის მოქცევის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევისა.

მუხლი 140. ნაწილობრივ გათავისუფლებით დროებით შემოტანილ საქონელზე იმპორტის გადასახადის ოდენობა

1. იმპორტის გადასახადისგან ნაწილობრივ გათავისუფლებით დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე იბეგრება იმპორტის გადასახადის იმ თანხის 3 პროცენტით, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს დროებით შემოტანის პროცედურის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, კუთვნილი გადასახდელი თანხა ერთდროულად, ამ ნაწილით დადგენილ ვადაში გადაიხადოს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადასახდელი თანხების ჯამური ოდენობა (საურავის გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს იმპორტის გადასახადის იმ თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს შესაბამისი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას.

თავი XXIII. მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურა

მუხლი 141. მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურის გამოყენება

1. მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში საქონელი, მისი სპეციალური გამოყენების გათვალისწინებით, შეიძლება გაშვებულ იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების პირობით.

2. თუ საქონელი იმყოფება წარმოების ისეთ ეტაპზე, რომელიც მხოლოდ მისი საბოლოო მოხმარების შესაძლებლობას უზრუნველყოფს, საბაჟო ორგანოს შეუძლია ავტორიზაციაში მიუთითოს ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მიიჩნევა, რომ საქონელი გამოყენებულ იქნა იმ მიზნობრივი დანიშნულებით, რომლისთვისაც გათავისუფლდა იმპორტის გადასახდელისგან.

3. თუ შესაძლებელია მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის მრავალჯერადი გამოყენება და საბაჟო ორგანო საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით საჭიროდ მიიჩნევს მის მიმართ საბაჟო ზედამხედველობის გაგრძელებას, იგი უნდა გაგრძელდეს საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით პირველად გამოყენების დღიდან არაუმეტეს 3 წლით. იმ საქონლის ნუსხა, რომლის მიმართაც საბაჟო ზედამხედველობა არ სრულდება ამ ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

4. დაუშვებელია საბაჟო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე გასხვისება, დაგირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან სარგებლობაში გადაცემა ან სხვაგვარად გამოყენება.

5. თუ საბაჟო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის მფლობელი ვალდებულია შესაბამის საბაჟო ორგანოს დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ და წარუდგინოს საქონლის განადგურების ან დაზიანების უტყუარი, უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული მტკიცებულებები. სხვა შემთხვევაში საქონელი უკანონოდ განკარგულად მიიჩნევა.

6. საბაჟო ზედამხედველობა სრულდება, თუ:

ა) შესრულდა საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პირობა;

ბ) საქონელი დეკლარირებულ იქნა ექსპორტის პროცედურაში;

გ) საბაჟო ორგანოს თანხმობით საქონელი სხვა მიზნით იქნა გამოყენებული და გადახდილ იქნა იმპორტის გადასახდელის შესაბამისი თანხა;

დ) განხორციელდა საქონლის განკარგვა ამ კოდექსის XV თავის შესაბამისად.

7. თუ მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი გასხვისდა იმ პირზე, რომელიც მას იყენებს იმ მიზნობრივი დანიშნულებით, რომლისთვისაც საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას იმპორტის გადასახდელზე შეღავათები იქნებოდა გამოყენებული, ამ საქონელზე ისევ გავრცელდება აღნიშნული შეღავათები და იგი ახალი მიზნობრივი დანიშნულებით დარჩება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ.

8. საჭიროების შემთხვევაში მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში გამოიყენება ამ კოდექსის 143-ე მუხლით გათვალისწინებული გამოსავლიანობის ნორმა.

9. მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის გამოყენების ან დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენი ან/და ჯართი, მისი მიზნობრივი დანიშნულებისა და ბუნებრივი დანაკარგების გათვალისწინებით, იმავე მიზნით გამოსაყენებელ საქონლად მიიჩნევა.

10. მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის განადგურების შედეგად მიღებული ნარჩენი ან/და ჯართი საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეულად მიიჩნევა.

11. საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცევისა და ამ პროცედურის დასრულების წესები და პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

თავი XXIV. შიდა გადამუშავების პროცედურა

მუხლი 142. შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენება

1. ამ კოდექსის 117-ე მუხლის გათვალისწინებით, შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებით უცხოური საქონლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადამუშავების ერთი ან რამდენიმე ოპერაცია, რაც არ იწვევს:

ა) იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას;

ბ) საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის.

2. საქონლის შეკეთებისა და საქონლის განადგურების გარდა, სხვა შემთხვევაში შიდა გადამუშავების პროცედურა გამოიყენება, თუ არსებობს ამ პროცედურაში მოქცეული საქონლის (გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის „ც.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლისა) გადამუშავებულ პროდუქტში იდენტიფიკაციის შესაძლებლობა. ამ კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში უნდა არსებობდეს გამოყენებულ ეკვივალენტურ საქონელთან დაკავშირებული პირობების შესრულების შემოწმების შესაძლებლობა.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, შიდა გადამუშავების პროცედურა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე:

ა) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით მისი ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენი ოპერაციის განსახორციელებლად;

ბ) იმ საქონლის მიმართ, რომელზედაც უნდა განხორციელდეს ამ კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებები.

მუხლი 143. გამოსავლიანობის ნორმა

1. თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის გამოსავლიანობის სტანდარტული ნორმა, შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას დეკლარანტი საბაჟო ორგანოს უთანხმებს გამოსავლიანობის ნორმას ან გამოსავლიანობის საშუალო ნორმას ან, საჭიროების შემთხვევაში, მისი გაანგარიშების მეთოდს.

2. გამოსავლიანობის ნორმის შეთანხმებისას საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს უფლებამოსილი პირის დასკვნა.

3. გამოსავლიანობის ნორმა ან გამოსავლიანობის საშუალო ნორმა უნდა განისაზღვროს იმ ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე, რომელშიც ხორციელდება ან განხორციელდება გადამუშავების პროცესი. საჭიროების შემთხვევაში, ეს ნორმა შეიძლება შეიცვალოს ამ კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 144. შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაცია

1. შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციისთვის გამოიყენება შემდეგი საშუალებები:

ა) საქონლის შტამპით ან ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით მონიშვნა;

ბ) საქონლის დაწვრილებითი აღწერა, ფოტოგადაღება ან მასშტაბურად გამოსახვა;

გ) საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის გამოკვლევა ან ანალიზი მისი შედეგების შემდგომ შედარების მიზნით;

დ) საქონელზე მწარმოებლის მიერ გამოსახული სერიული ნომრების ან სხვაგვარი მარკირება;

ე) დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების ოპერაციების განხორციელება;

ვ) იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ითვალისწინებს.

2. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია აირჩიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული, მისთვის მისაღები ერთი ან რამდენიმე საშუალება.

3. შიდა გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელის მოთხოვნითა და საბაჟო ორგანოს თანხმობით საქონლის იდენტიფიკაცია შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს საქონლის გადამუშავების ოპერაციაში გამოყენებული ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწილების, აგრეთვე გადამუშავებული პროდუქტის წარმოების ტექნოლოგიის შესახებ წარდგენილი დეტალური მონაცემების გამოკვლევით.

მუხლი 145. შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენების პირობები

შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისთვის აუცილებელია:

ა) გადამუშავებული პროდუქტის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა არ იყოს ეკონომიკურად მოგებიანი;

ბ) დეკლარანტმა წარადგინოს დასაბუთებული მონაცემები:

ბ.ა) იმ პირის შესახებ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციას;

ბ.ბ) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის, გადამუშავებული პროდუქტის, ნაშთისა და ნარჩენის აღწერილობის, ხარისხისა და რაოდენობის შესახებ;

ბ.გ) საქონლის გადამუშავების ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და საშუალებების შესახებ;

ბ.დ) გადამუშავებულ პროდუქტში გადაუმუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალების შესახებ;

გ) გამოსავლიანობის ნორმა შეთანხმებული იყოს საბაჟო ორგანოსთან;

დ) დეკლარანტმა წარადგინოს შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევ საქონელზე იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტია, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული შემთხვევისა.

მუხლი 146. შიდა გადამუშავების პროცედურის ვადა

1. საბაჟო ორგანო განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც უნდა დასრულდეს შიდა გადამუშავების პროცედურა. ეს ვადა განისაზღვრება შიდა გადამუშავების პროცედურის ხანგრძლივობისა და მის დასასრულებლად საჭირო დროის გათვალისწინებით.

2. საქონლის გადამუშავების ვადა აითვლება შიდა გადამუშავების პროცედურაში საქონლის მოქცევის დღიდან, ხოლო ამ პროცედურაში საქონლის ცალკეულ სასაქონლო პარტიებად მოქცევისას – მასში საქონლის პირველი პარტიის მოქცევის დღიდან.

3. წინასწარ განსაზღვრული ვადა შეიძლება გაგრძელდეს დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე.

4. ამ კოდექსის 117-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადამუშავებული პროდუქტის წინასწარი ექსპორტის განხორციელების შემთხვევაში საბაჟო ორგანომ უნდა განსაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს უცხოური საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურაში დეკლარირება. ეს ვადა უნდა იყოს არაუმეტეს 6 თვისა. ამ ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება უცხოური საქონლის შესყიდვისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისთვის საჭირო დრო. აღნიშნული ვადა აითვლება შესაბამისი ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან დაკავშირებული ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან.

5. საბაჟო ორგანოს შეუძლია შიდა გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელის განცხადების საფუძველზე ამ მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად განსაზღვრული ვადა გააგრძელოს არაუმეტეს 12 თვისა, თუ ეს განცხადება იმავე ვადის ამოწურვამდეა წარდგენილი.

6. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით საქონლის გადამუშავებასთან დაკავშირებული მოქმედებისთვის ან ცალკეული საქონლის გადამუშავებისთვის შეიძლება დადგინდეს კონკრეტული ვადები.

მუხლი 147. საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავება

შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი, გადამუშავებული პროდუქტი ან/და მისი მაკომპლექტებელი ნაწილები საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით, ამ კოდექსის 146-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე დაბრუნების პირობით შეიძლება გადამუშავებისთვის დროებით გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ. ამ შემთხვევაში გასატან საქონელთან დაკავშირებით მოქმედებს გარე გადამუშავების პროცედურისთვის დადგენილი წესები და პირობები.

თავი XXV. გარე გადამუშავების პროცედურა

მუხლი 148. გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენება

1. გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დროებით გატანილი საქართველოს საქონლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადამუშავების ერთი ან რამდენიმე ოპერაცია. გადამუშავებული პროდუქტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას შეიძლება იმპორტის გადასახადისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებით თავისუფალ მიმოქცევაში მოაქციოს გარე გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელმა ან საქართველოში დაფუძნებულმა პირმა, თუ მას აქვს გარე გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელის შესაბამისი თანხმობა და გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენების ყველა პირობა

შესრულებულია.

2. გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონლის გატანისას ხორციელდება ის საბაჟო ფორმალობები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქართველოს საქონლის გატანისთვის, ხოლო გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას – ის საბაჟო ფორმალობები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისთვის.

3. ამ თავის მიზნებისთვის გამოსავლიანობის ნორმასთან დაკავშირებით გამოიყენება ამ კოდექსის 143-ე მუხლი, ხოლო გარე გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციისთვის – ამ კოდექსის 144-ე მუხლი.

მუხლი 149. გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები

1. გარე გადამუშავების პროცედურა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს საქონლის მიმართ, თუ:

ა) მისი გატანა გამოიწვევს ამ საქონელზე გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნებას ან ჩათვლას;

ბ) იგი გატანამდე მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების პირობით და ამ შეღავათის გამოყენების პირობა მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საქონელი შეკეთების მიზნით გაიტანება.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი შეზღუდვებიდან გამონაკლისები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 150. გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენების პირობები

გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენებისთვის აუცილებელია:

ა) არსებობდეს გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავებულ პროდუქტში იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, გარდა:

ა.ა) ამ კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის „ც.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლისა;

ა.ბ) იმ შემთხვევისა, როდესაც გადამუშავებული პროდუქტი ამ კოდექსის 153-ე მუხლით გათვალისწინებული შემცვლელი საქონლით იცვლება;

ა.გ) ამ კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, თუ არსებობს გამოყენებულ ეკვივალენტურ საქონელთან დაკავშირებული პირობების შესრულების შემოწმების შესაძლებლობა;

ბ) გადამუშავებული პროდუქტის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა არ იყოს ეკონომიკურად მოგებიანი;

გ) დეკლარანტმა წარადგინოს დასაბუთებული მონაცემები:

გ.ა) იმ პირის შესახებ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციას;

გ.ბ) გარე გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის, გადამუშავებული პროდუქტის, ნაშთისა და ნარჩენის აღწერილობის, ხარისხისა და რაოდენობის შესახებ;

გ.გ) გადამუშავების ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და საშუალებების შესახებ;

გ.დ) გადამუშავებულ პროდუქტში გადაუმუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალების შესახებ;

დ) გამოსავლიანობის ნორმა შეთანხმებული იყოს საბაჟო ორგანოსთან.

მუხლი 151. გარე გადამუშავების პროცედურის ვადა

1. საბაჟო ორგანო განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანაან ამ კოდექსის 158-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად გასხვისება. ეს ვადა განისაზღვრება გარე გადამუშავების პროცედურის ხანგრძლივობისა და მის დასასრულებლად საჭირო დროის გათვალისწინებით.

2. საქონლის გადამუშავების ვადა აითვლება გარე გადამუშავების პროცედურაში საქონლის მოქცევის დღიდან, ხოლო ამ პროცედურაში საქონლის ცალკეულ სასაქონლო პარტიებად მოქცევისას – მასში საქონლის პირველი პარტიის მოქცევის დღიდან.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად განსაზღვრული ვადა შეიძლება გაგრძელდეს დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე.

4. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით საქონლის გადამუშავებასთან დაკავშირებული მოქმედებისთვის ან ცალკეული საქონლის გადამუშავებისთვის შეიძლება დადგინდეს კონკრეტული ვადები.

მუხლი 152. გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება

1. თუ დეკლარანტი დაადასტურებს, რომ გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი, სახელშეკრულებო ან საგარანტიო ვალდებულებიდან გამომდინარე ან საწარმოო დეფექტის გამო, უსასყიდლოდ გადამუშავდა, გადამუშავებული პროდუქტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული უნდა იქნეს იმპორტის გადასახადისგან სრულად გათავისუფლებით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას, თუ საქონლის გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცევამდე საწარმოო დეფექტი გათვალისწინებული იყო მისი თავისუფალ მიმოქცევაში თავდაპირველად გაშვებისას.

მუხლი 153. სტანდარტული გაცვლის სისტემა

1. სტანდარტული გაცვლის სისტემა საშუალებას იძლევა, გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მისაღები გადამუშავებული პროდუქტი შეიცვალოს უცხოური საქონლით (შემდგომ – შემცვლელი საქონელი) ამ მუხლის მე-2–მე-6 ნაწილების შესაბამისად.

2. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება სტანდარტული გაცვლის სისტემის მხოლოდ დეფექტური საქონლის შეკეთებასთან დაკავშირებით გამოყენების შესახებ.

3. შემცვლელ საქონელს უნდა ჰქონდეს იგივე სეს ესნ-ის კოდი რვანიშნა დონეზე, ხარისხი და ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც აქვს დეფექტურ შესაკეთებელ საქონელს.

4. თუ დეფექტური საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე იყო გამოყენებული, შემცვლელი საქონელიც გამოყენებული (მეორეული) უნდა იყოს.

5. საბაჟო ორგანოს შეუძლია დაუშვას გამონაკლისი ამ მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი მოთხოვნიდან, თუ შემცვლელი საქონელი საწარმოო დეფექტის გამო, სახელშეკრულებო ან საგარანტიო ვალდებულებიდან გამომდინარე, უსასყიდლოდ იქნა მოწოდებული.

6. გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებულ გადამუშავებულ პროდუქტთან დაკავშირებული ამ თავის დებულებები ვრცელდება აგრეთვე შემცვლელ საქონელზე.

მუხლი 154. შემცვლელი საქონლის წინასწარ შემოტანა

1. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე მისცეს დეფექტური საქონლის გატანამდე შემცვლელი საქონლის დადგენილი პირობების შესაბამისად შემოტანის უფლება. ამ შემთხვევაში განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი ოდენობის გარანტია.

2. დეფექტური საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი უნდა იქნეს 2 თვის ვადაში. ეს ვადა აითვლება შემცვლელი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან.

3. განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ დეფექტური საქონლის ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში გატანა შეუძლებელია, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია გარე გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელის მოტივირებული განცხადების საფუძველზე გააგრძელოს ეს ვადა გონივრულ ვადამდე.

წიგნი VIII

საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა

თავი XXVI. საქონლის გატანასთან დაკავშირებული საბაჟო ფორმალობები

მუხლი 155. საქონლის გატანამდე განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატან საქონელზე საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაცია. ზოგადი დეკლარაციის წარდგენა ხდება საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე.

2. ზოგად დეკლარირებას არ ექვემდებარება:

ა) მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონელი;

ბ) საჰაერო ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალება და ამ სატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიული წყლების ან საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით, გაჩერების გარეშე გადაადგილებული საქონელი;

გ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონელი, რომელზედაც წარდგენილია საბაჟო

დეკლარაცია;

დ) საქონელი, რომელზედაც წარდგენილია რეექსპორტის დეკლარაცია;

ე) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საქონელი.

3. საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციის ან ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული შეტყობინების საფუძველზე დაცულობისა და უსაფრთხოების მიზნით რისკის ანალიზის ვადა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. რისკის ანალიზის შედეგების საფუძველზე მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი ზომები.

4. საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაცია გადამზიდავმა უნდა წარადგინოს. გადამზიდავის ვალდებულების მიუხედავად, საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაცია შეიძლება წარადგინოს ექსპორტიორმა, ტვირთის გამგზავნმა ან სხვა პირმა, რომლის დავალებითაც მოქმედებს გადამზიდავი, ან ნებისმიერმა სხვა პირმა, რომელსაც შეუძლია ამ საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენა ან რომელმაც წარადგინა იგი აღნიშნულ პუნქტში.

5. საბაჟო ორგანომ შეიძლება დაუშვას საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციის შესავსებად სავაჭრო, საპორტო ან სატრანსპორტო საინფორმაციო სისტემის გამოყენება, თუ ეს სისტემა შეიცავს ამ დეკლარაციისთვის საჭირო მონაცემებს და ეს მონაცემები ხელმისაწვდომია აღნიშნული დეკლარაციის წარდგენისთვის დადგენილ პერიოდში.

6. საბაჟო ორგანოს შეუძლია დაუშვას საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციის ნაცვლად შეტყობინების წარდგენა და, შესაბამისად, წვდომა ზოგად დეკლარირებასთან დაკავშირებულ შესაბამის მონაცემებზე ზოგადი დეკლარირების განმახორციელებელი პირის კომპიუტერულ სისტემაში.

7. საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენის წესი, ვადა და შემთხვევები, როდესაც საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა არ ხდება, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 156. საქონლის გატანის ზოგად დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ან მისი ბათილად ცნობა

1. საბაჟო ორგანომ დეკლარანტს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს უფლება, წარდგენილ საქონლის გატანის ზოგად დეკლარაციაში შეიტანოს ცვლილება.

2. საქონლის გატანის ზოგად დეკლარაციაში ცვლილების შეტანა დაუშვებელია, თუ:

ა) საბაჟო ორგანომ საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციის წარმდგენს შეატყობინა ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის შემოწმების განზრახვის შესახებ;

ბ) საბაჟო ორგანომ დაადგინა დეკლარირებული მონაცემების უზუსტობა ან არასრულობა;

გ) საბაჟო ორგანომ გაუშვა საქონელი.

3. თუ საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციით დეკლარირებული საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი არ იქნა, საბაჟო ორგანომ ეს დეკლარაცია ბათილად უნდა ცნოს:

ა) დეკლარანტის მიერ შესაბამისი განცხადების წარდგენისთანავე;

ბ) ამ დეკლარაციის წარდგენიდან 150 დღის გასვლის შემდეგ.

4. საქონლის გატანის ზოგად დეკლარაციაში ცვლილების შეტანისა და მისი ბათილად ცნობის წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 157. საქონლის გატანისას განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონელი ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და შეიძლება დაექვემდებაროს საბაჟო კონტროლის პროცედურებს. საჭიროების შემთხვევაში საბაჟო ორგანოს შეუძლია განსაზღვროს მარშრუტი, რომლითაც უნდა გადაადგილდეს გასატანი საქონელი, და ვადა, რომლის განმავლობაშიც ეს საქონელი უნდა იქნეს გატანილი.

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონელი საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს:

ა) პირმა, რომელსაც საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გააქვს;

ბ) პირმა, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გამტანი პირის სახელით ან დავალებით მოქმედებს;

გ) პირმა, რომელმაც საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე აიღო მისი გადაზიდვის პასუხისმგებლობა.

3. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონელი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ექვემდებარება:

ა) იმპორტის გადასახადის დაბრუნებას ან ჩათვლას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახდელების გადახდასთან დაკავშირებულ საბაჟო ფორმალობებს;

გ) ისეთ აკრძალვებსა და შეზღუდვებს, რომლებიც, სხვა დანარჩენთან ერთად, ეფუძნება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ეროვნული ინტერესებისა და საზოგადოებრივი ზნეობის დაცვის, ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობის ან მცენარის სიჯანსაღისა და სიცოცხლის დაცვის, ხელოვნების ნიმუშისა და ისტორიული და არქეოლოგიური ღირებულების მქონე ეროვნული სიმდიდრის დაცვისა და ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ქონების დაცვის აუცილებლობას, პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერებისა და ფსიქოაქტიური ნივთიერების, ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესაძლო დარღვევით წარმოებული საქონლისა და ფულადი სახსრების კონტროლის ჩათვლით;

დ) თევზსარეწების კონსერვაციისა და მართვის ღონისძიებებს და ვაჭრობაში დამცავ ღონისძიებებს.

4. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატან საქონელს საბაჟო ორგანო გაუშვებს, თუ ეს საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას არის იმავე მდგომარეობაში, რომელშიც იყო საბაჟო დეკლარაციის, რეექსპორტის დეკლარაციის ან საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით.

5. საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის წესი და მისი გატანისას განსახორციელებელი საბაჟო ფორმალობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

თავი XXVII. ექსპორტის პროცედურა

მუხლი 158. ექსპორტის პროცედურის გამოყენება

1. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ექსპორტის პროცედურა საშუალებას იძლევა, საქართველოს საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან (მათ შორის, დროებით, დაბრუნების პირობით), რა დროსაც ხორციელდება ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები.

2. საქართველოს საქონელი, რომელიც ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას, უნდა მოექცეს ექსპორტის პროცედურაში, გარდა:

ა) გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლისა;

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი საქონლისა, რომელიც გატანამდე მოქცეული იყო მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში;

გ) საერთაშორისო საავიაციო რეისებისა და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საქონლისა, რომელიც გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზისგან, ამასთანავე, ასეთი მიწოდებისთვის ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშგება.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე ვრცელდება ექსპორტის საბაჟო დეკლარაციასთან დაკავშირებული საბაჟო ფორმალობები.

4. საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის გარეშე ექსპორტის პროცედურა შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების ვადის გასვლამდე, თუ დეკლარანტი საბაჟო ორგანოს წარუდგენს ამ საქონლის გასხვისების დოკუმენტს.

5. შემთხვევები და პირობები, როდესაც ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება საქართველოს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას არ წარმოიშობა, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 159. ექსპორტის პროცედურის დასრულების პირობები

1. ექსპორტის პროცედურა დასრულდება, თუ საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას არის იმავე მდგომარეობაში, რომელშიც იყო ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით.

2. საქონელი, რომელზედაც წარდგენილია ექსპორტის საბაჟო დეკლარაცია, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი უნდა იქნეს ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან 120 დღეში. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში დეკლარანტი ვალდებულია საბაჟო ორგანოს 5 დღეში წარუდგინოს შუამდგომლობა ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობის შესახებ ან შუამდგომლობა საქონლის გატანისთვის დადგენილი ვადის 10 დღით გაგრძელების შესახებ.

თავი XXVIII. რეექსპორტი

მუხლი 160. რეექსპორტის გამოყენება

1. რეექსპორტი საშუალებას იძლევა, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან.

2. უცხოური საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას საბაჟო ორგანოს წარედგინება რეექსპორტის დეკლარაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) ტრანზიტის პროცედურაში მოქცეული საქონელი გადაადგილდება უცხო ქვეყნებს შორის ან უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საქართველოს ტერიტორიის გავლით;

ბ) საქონელი თავისუფალი ზონიდან პირდაპირ რეექსპორტირდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ;

გ) დროებით შენახული საქონელი დასაწყობების ადგილიდან პირდაპირ გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ.

3. თუ დადგინდა, რომ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს აქვს დეფექტი ან მისი რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიკური გარიგების პირობებს და ამის გამო იგი მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს უბრუნდება, შეიძლება ეს საქონელი დაექვემდებაროს რეექსპორტს. ამ შემთხვევაში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს ჩამოერთმევა საქართველოს საქონლის სტატუსი და მისი რეექსპორტის განხორციელების შემდეგ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია ბათილად იქნება ცნობილი.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საბაჟო ორგანო დაინტერესებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე აძლევს უფლებას, საქონელი მოაქციოს შიდა გადამუშავების პროცედურაში (მათ შორის, განადგურების მიზნით) ან ტრანზიტის, საბაჟო საწყობის ან თავისუფალი ზონის პროცედურაში.

5. რეექსპორტის განხორციელებისას საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით.

6. ამ კოდექსის 82-ე–101-ე მუხლები ვრცელდება რეექსპორტის დეკლარაციაზე.

მუხლი 161. რეექსპორტის შეტყობინების წარდგენა

1. თუ ამ კოდექსის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონელი გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან და არ არსებობს საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება, ამ კოდექსის 157-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულმა პირმა საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს რეექსპორტის შეტყობინება.

2. რეექსპორტის შეტყობინება უნდა შეიცავდეს თავისუფალი ზონის პროცედურისთვის ან დროებით შენახვის დასრულებისთვის აუცილებელ მონაცემებს.

3. საბაჟო ორგანომ შეიძლება დაუშვას რეექსპორტის შეტყობინების შესავსებად სავაჭრო, საპორტო ან სატრანსპორტო საინფორმაციო სისტემის გამოყენება, თუ ეს სისტემა შეიცავს ამ შეტყობინებისთვის საჭირო მონაცემებს და ეს მონაცემები ხელმისაწვდომია შესაბამისი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე.

4. საბაჟო ორგანოს შეუძლია დაუშვას რეექსპორტის შეტყობინების ნაცვლად შეტყობინების წარდგენა და, შესაბამისად, წვდომა რეექსპორტის შეტყობინებასთან დაკავშირებულ შესაბამის მონაცემებზე რეექსპორტის შეტყობინების წარმდგენი პირის კომპიუტერულ სისტემაში.

5. რეექსპორტის შეტყობინების საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის წესი, ვადა და შემთხვევები, როდესაც რეექსპორტის შეტყობინების წარდგენა არ ხდება, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 162. რეექსპორტის შეტყობინებაში ცვლილების შეტანა ან მისი ბათილად ცნობა

1. საბაჟო ორგანომ დეკლარანტს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს უფლება, წარდგენილ რეექსპორტის შეტყობინებაში შეიტანოს ცვლილება.

2. რეექსპორტის შეტყობინებაში ცვლილების შეტანა დაუშვებელია, თუ:

ა) საბაჟო ორგანომ რეექსპორტის შეტყობინების წარმდგენს აცნობა ამ შეტყობინებით დეკლარირებული საქონლის შემოწმების განზრახვის შესახებ;

ბ) საბაჟო ორგანომ დაადგინა წარდგენილი მონაცემების უზუსტობა ან არასრულობა;

გ) საბაჟო ორგანომ გაუშვა საქონელი.

3. თუ რეექსპორტის შეტყობინებით დეკლარირებული საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი არ იქნა, საბაჟო ორგანომ ეს შეტყობინება ბათილად უნდა ცნოს:

ა) დეკლარანტის მიერ შესაბამისი განცხადების წარდგენისთანავე;

ბ) ამ შეტყობინების წარდგენიდან 150 დღის გასვლის შემდეგ.

4. რეექსპორტის შეტყობინებაში ცვლილების შეტანისა და მისი ბათილად ცნობის წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

წიგნი IX

საბაჟო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა

თავი XXIX. ზოგადი დებულებები

მუხლი 163. საბაჟო სამართალდარღვევა. პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები

1.საბაჟო სამართალდარღვევა არის პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლის ჩადენისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

2. საბაჟო სანქცია არის საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომა.

3. საბაჟო სანქცია გამოიყენება გაფრთხილების, ჯარიმის, საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის სახით.

4. საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი ქმედების ჩამდენ პირს.

5. თუ სამართალდამრღვევი პირი ერთზე მეტია, მათ ამ კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა სოლიდარულად ეკისრებათ.

6. ერთი და იმავე საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენისთვის პასუხისმგებლობა პირს არ შეიძლება განმეორებით დაეკისროს.

7. რამდენიმე საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენისას საბაჟო სანქცია თითოეული საბაჟო სამართალდარღვევისთვის ცალკე გამოიყენება. ამასთანავე, უფრო მკაცრი საბაჟო სანქცია არ შთანთქავს

ნაკლებად მკაცრ საბაჟო სანქციას.

8. საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენისთვის ამ კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა პირს არ შეიძლება დაეკისროს, თუ ამ საბაჟო სამართალდარღვევის შემადგენელი ქმედება იწვევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

9. საბაჟო სამართალდარღვევა განმეორებით ჩადენილად მიიჩნევა, თუ იგივე ქმედება ჩადენილია წინა საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენიდან 12 თვის განმავლობაში. ამასთანავე, ამ კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევა განმეორებით ჩადენილად არ მიიჩნევა, თუ აღნიშნული საბაჟო სამართალდარღვევები ჩადენილია ერთსა და იმავე დღეს.

10. საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენისთვის საბაჟო სანქციის შეფარდებისას ან დავაზე გადაწყვეტილების მიღებისას, თუ:

ა) კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობის ზომა, ამ სამართალდარღვევისთვის გამოიყენება მოქმედი კანონი;

ბ) კანონით შემოღებულია ან დამძიმებულია პასუხისმგებლობის ზომა, ამ სამართალდარღვევისთვის გამოიყენება შესაბამისი ქმედების ჩადენის მომენტისთვის მოქმედი კანონი;

გ) საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენიდან ამ ქმედებისთვის საბაჟო სანქციის შეფარდებამდე ან დავაზე გადაწყვეტილების მიღებამდე ამ საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენისთვის პასუხისმგებლობის ზომა რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი პასუხისმგებლობის ზომა.

11. საბაჟო ორგანოს/დავის განმხილველ ორგანოს ან სასამართლოს უფლება აქვს, პირი გაათავისუფლოს ამ კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო სანქციისგან, თუ შესაბამისი საბაჟო სამართალდარღვევა ჩადენილია შეცდომით/არცოდნით.

12. პირს საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენისთვის პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ ეს საბაჟო სამართალდარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით.

13. პირს საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემის შეტანისთვის ამ კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ:

ა) საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება შეტანილ იქნა ამ კოდექსის 90-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად;

ბ) საქონლის გაშვებამდე შემოწმებისას აღმოჩენილი არადეკლარირებული საქონლის (გარდა მალულად გადაადგილებული საქონლისა და ამ კოდექსის 169-ე მუხლით გათვალისწინებული ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდისა) საბაჟო ღირებულება არ აჭარბებს 15 000 ლარს და არ აღემატება დეკლარირებული საბაჟო ღირებულების 5 პროცენტს;

გ) ამ კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევა გამოვლინდა საქონლის გაშვებამდე.

14. ამ კოდექსის შესაბამისად საქონლის განკარგვის ღონისძიებების განხორციელებისას პირს ამ კოდექსის 165-ე, 167-ე (გარდა მე-2 ნაწილისა) და 171-ე მუხლებით გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრება, ხოლო დაკისრებული ჯარიმა აღსრულებულად ჩაითვლება.

15. ამ კოდექსის 167-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 168-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 170-ე მუხლის პირველი ნაწილით ან 178-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენისთვის ჯარიმის ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება.

16. საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენისთვის ამ კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო სანქციის შეფარდების ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი. ეს ვადა არ გამოიყენება ამ კოდექსის 141-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

17. ამ მუხლის მე-16 ნაწილით დადგენილი ვადა აითვლება საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენის შესაბამისი კალენდარული წლის დასრულებიდან.

18. შეფარდებული საბაჟო სანქციის გადახდევინების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

მუხლი 164. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოება

1. საბაჟო სამართალდარღვევის საქმეს აწარმოებს საბაჟო ორგანო.

2. საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენისას საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს საბაჟო სამართალდარღვევის ოქმს, რომელიც წარედგინება სამართალდამრღვევ პირს.

3. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი არის საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილება პირისთვის სამართალდარღვევის ჩადენისთვის საბაჟო სანქციის შეფარდების შესახებ. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი მიიჩნევა საგადასახადო მოთხოვნად.

4. სამართალდამრღვევ პირს უფლება აქვს, საბაჟო ორგანოს წარუდგინოს განმარტება ან/და შენიშვნა, რომელიც აისახება საბაჟო სამართალდარღვევის ოქმში ან დაერთვება მას.

5. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი არ დგება:

ა) ამ კოდექსის 168-ე მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთანავე, საბაჟო სამართალდარღვევის საქმის მასალები დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარეობის მიხედვით;

ბ) თუ საბაჟო სამართალდარღვევა დაფიქსირებულია საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შემოწმების აქტში.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საბაჟო ორგანო, საგამოძიებო ორგანოს ან სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ამ გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში წყვეტს საბაჟო სამართალდარღვევის საქმეს ან იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პირისთვის საბაჟო სანქციის შეფარდების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მიიჩნევა საგადასახადო მოთხოვნად.

7. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველსაყოფად გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე, 245-ე და 247-ე–249-ე მუხლებით გათვალისწინებული ღონისძიებები.

8. თუ საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენიდან 30 დღის ვადაში შეუძლებელია ამ ქმედების ჩამდენი პირის დადგენა ან/და იდენტიფიცირება, საბაჟო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ.

9. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესი, საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

თავი XXX. საბაჟო სამართალდარღვევის სახეები და პასუხისმგებლობა

მუხლი 165. საქონლის წარდგენის/ზოგადი დეკლარირების/საქონლის დეკლარირების ვადის ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევა

საქონლის წარდგენის/ზოგადი დეკლარირების/საქონლის დეკლარირების ვადის ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევა –

იწვევს დაჯარიმებას ყოველ დაგვიანებულ სრულ/არასრულ დღეზე 50 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 000 ლარისა.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ გამოიყენება, როდესაც საქონლის დეკლარირების ვადის დარღვევა იწვევს საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევას.

მუხლი 166. საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა/მოცილება ან/და სხვაგვარად გაუვარგისება/განადგურება

1. საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა/მოცილება ან/და სხვაგვარად გაუვარგისება/განადგურება, ნიშანდებული სატრანსპორტო საშუალების, საბაჟო კონტროლის ზონაში არსებული შენობა-ნაგებობის ან ნიშანდებული ბარგის/ხელბარგის დაზიანება ანდა სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება იმგვარად დადებული საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებით, რომელიც მასში ამ იდენტიფიკაციის საშუალების დაუზიანებლად შეღწევის შესაძლებლობას იძლევა, –

იწვევს მფლობელის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს მფლობელის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ნიშანდებული სატრანსპორტო საშუალებიდან, საბაჟო კონტროლის ზონაში არსებული შენობა-ნაგებობიდან ან ნიშანდებული ბარგიდან/ხელბარგიდან საქონლის განკარგვა, დაკარგვა ან განადგურება, –

იწვევს მფლობელის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს მფლობელის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. პირს არ დაეკისრება ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, თუ საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებაზე ან/და ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაზე, საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე ან/და ნიშანდებულ ბარგზე/ხელბარგზე მცირე დაზიანება შეინიშნება, მაგრამ ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაში, საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაში ან/და ნიშანდებულ ბარგში/ხელბარგში შეღწევა შეუძლებელია.

2. პირს არ დაეკისრება ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, თუ კონტეინერი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საზღვაო ტრანსპორტით იქნა შემოტანილი.

მუხლი 167. იმპორტის გადასახდელის ოდენობის შემცირება

1. საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის გადასახდელის ოდენობის შემცირება (გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)–

იწვევს დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის გადასახდელის თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის გადასახდელის თანხის 200 პროცენტის ოდენობით.

3. ფიზიკური პირის მიერ 3 000 ლარამდე ღირებულების საქონელზე წარდგენილ საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის გადასახდელის ოდენობის შემცირება –

იწვევს დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის გადასახდელის თანხის 40 პროცენტის ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის გადასახდელის თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

5. ამ მუხლის მიზნებისთვის იმპორტის გადასახდელის ოდენობის შემცირებად მიიჩნევა საბაჟო დეკლარაციაში ისეთი მონაცემის შეტანა, რომლის არასწორობა დადასტურებულია მტკიცებულებებზე დაყრდნობით საბაჟო კონტროლის განხორციელებისას ან სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მხოლოდ ეჭვის არსებობა, რომელიც შეიძლება გახდეს საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების ან განსხვავებული მეთოდით დადგენის საფუძველი, არ ქმნის საბაჟო სამართალდარღვევის შემადგენლობას.

მუხლი 168. საქონლის უკანონო გადატანა ან გადმოტანა

1. საქონლის (გარდა ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდისა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა (გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად –

იწვევს დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევით ან უამისოდ.

3. ფიზიკური პირის მიერ 3 000 ლარამდე ღირებულების საქონლის (გარდა ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდისა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად –

იწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით ან/და საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

4. ტრანზიტული გადაადგილებისთვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული საქონლის (გარდა ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდისა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე

შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად –

იწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. თუ საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადაადგილებული საქონლის საბაჟო ღირებულება აჭარბებს 15 000 ლარს, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს აღნიშნული ქმედებისთვის არ დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

2. თუ სამალავით ან საქართველოს საბაჟო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთით საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულება აჭარბებს 5 000 ლარს, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს აღნიშნული ქმედებისთვის არ დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 169. საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდის უკანონო გადატანა და გადმოტანა

1. საქართველოს საბაჟო საზღვარზე 30 000 ლარზე ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 50 000 ლარის ოდენობის ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ან არასწორი დეკლარირებით –

იწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით ან ამ საქონლის უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

2. საქართველოს საბაჟო საზღვარზე 50 000 ლარზე ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 100 000 ლარის ოდენობის ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ან არასწორი დეკლარირებით –

იწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით ან ამ საქონლის უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

3. საქართველოს საბაჟო საზღვარზე 100 000 ლარზე ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტზე მეტი ოდენობის ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ან არასწორი დეკლარირებით –

იწვევს დაჯარიმებას საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ან არასწორი დეკლარირებით გადატანილი ან გადმოტანილი ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდის ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით ან ამ საქონლის უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში არადეკლარირებული საქონლის არსებობისას არასწორ დეკლარირებად მიიჩნევა, თუ დეკლარირებული საქონლისა და არადეკლარირებული საქონლის საერთო ოდენობა 50 000 ლარზე ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტზე მეტია.

მუხლი 170. საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გადატვირთვა/გადმოტვირთვა ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო კონტროლის ზონის დატოვება ან სატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო მარშრუტიდან გადახვევა

1. საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო

კონტროლის ზონის დატოვება, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გადატვირთვა ან გადმოტვირთვა ან მოძრაობისთვის დადგენილი საბაჟო მარშრუტიდან გადახვევა –

იწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 171. საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევა

1. საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევა –

იწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ გამოიყენება, როდესაც იმავე ქმედებისთვის ამ კოდექსის შესაბამისად დადგენილია სხვა პასუხისმგებლობა.

მუხლი 172. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონო განკარგვა, დაკარგვა ან განადგურება

1. საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებელი ქმედება ან საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევა, რამაც გამოიწვია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონო განკარგვა, დაკარგვა ან განადგურება, –

იწვევს დაჯარიმებას იდენტურ/მსგავს საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელის თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, თუ არსებობს უკანონოდ განკარგული/დაკარგული/განადგურებული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიწოდების დამადასტურებელი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი, –

იწვევს დაჯარიმებას იმავე ან იდენტურ/მსგავს საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელის თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 173. საბაჟო დეკლარაციაში საქონლის საბაჟო ღირებულების შეცვლა

1. საბაჟო დეკლარაციაში საქონლის საბაჟო ღირებულების გაზრდა ან შემცირება, რასაც არ გამოუწვევია იმპორტის გადასახდელის ოდენობის შემცირება, –

იწვევს დაჯარიმებას საბაჟო ღირებულებასა და გაზრდილ ან შემცირებულ საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობის თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დაჯარიმებას საბაჟო ღირებულებასა და გაზრდილ ან შემცირებულ საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობის თანხის 20 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 174. სატრანსპორტო საშუალების შემოსვლის/ჩამოფრენის ან გასვლის/გაფრენის შესახებ საბაჟო ორგანოსთვის შეუტყობინებლობა

1. ნავსადგურის, რკინიგზის სადგურის ან აეროპორტის მიერ იმ სატრანსპორტო საშუალების შემოსვლის/ჩამოფრენის ან გასვლის/გაფრენის შესახებ საბაჟო ორგანოსთვის შეუტყობინებლობა, რომელიც კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს, –

იწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 175. დოკუმენტის შენახვის ვადის დარღვევა

დოკუმენტის შენახვის ვადის დარღვევა, თუ დოკუმენტის საბაჟო ორგანოსთვის ელექტრონულად წარდგენისას მისი მატერიალური ფორმით წარდგენა სავალდებულო არ არის, –

იწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 176. სანებართვო პირობების შეუსრულებლობა

1. საბაჟო საწყობის საქმიანობის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანებართვო პირობის დარღვევა –

იწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (იმავე სანებართვო პირობის დარღვევა), ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გასამმაგებას.

მუხლი 177. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მისი კანონიერი მოთხოვნის უგულებელყოფა

1. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მისი კანონიერი მოთხოვნის უგულებელყოფა, რამაც შეაფერხა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება, –

იწვევს დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 178. საბაჟო ორგანოსთვის ინფორმაციის წარუდგენლობა

1. საბაჟო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საბაჟო ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლის ანდა საბაჟო ფორმალობების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საბაჟო ორგანოსთვის წარუდგენლობა –

იწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

3. საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვის განმახორციელებელი პირის მიერ საბაჟო ორგანოსთვის საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვის განმახორციელებელი სატრანსპორტო საშუალების, ამ სატრანსპორტო საშუალებით გადასაადგილებელი საქონლის ან/და მგზავრთა შესახებ წინასწარი ინფორმაციის დადგენილი წესით წარუდგენლობა –

იწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 179. სავალდებულო მარკირებისადმი დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების გარეშე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით დეკლარირება

სავალდებულო მარკირებისადმი დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების გარეშე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით დეკლარირება –

იწვევს დაჯარიმებას მარკირების გარეშე გამოვლენილი სავალდებულო მარკირებისადმი დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის საბაჟო ღირებულების ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.

წიგნი X

საბაჟო ვალდებულებისგან გათავისუფლება

თავი XXXI. ზოგადი დებულებები

მუხლი 180. საბაჟო ვალდებულებისგან გათავისუფლების არსი და ტერმინთა განმარტება

1. ეს წიგნი ადგენს საბაჟო ვალდებულებისგან გათავისუფლების შემთხვევებსა და პირობებს.

2. ამ წიგნის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პირადი საკუთრება – ნებისმიერი ნივთი, რომელიც განკუთვნილია პირის პირადი სარგებლობისთვის ან საყოფაცხოვრებო საჭიროების დაკმაყოფილებისთვის. პირადი საკუთრების მახასიათებლები ან ოდენობა არ უნდა მიანიშნებდეს მის სამეწარმეო მიზნით შემოტანაზე. პირად საკუთრებას განეკუთვნება:

ა.ა) საყოფაცხოვრებო ნივთი;

ა.ბ) ველოსიპედი, პირის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება, კერძოდ, მოტოციკლი და მისი მისაბმელი, დასვენებისთვის გამიზნული ფურგონის ტიპის სატრანსპორტო საშუალება, იახტა, თვითმფრინავი და სხვა;

ა.გ) ჩვეულებრივი საოჯახო საჭიროების დაკმაყოფილებისთვის განკუთვნილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, შინაური და საუნაგირე ცხოველები, გამოყენებითი და ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის განკუთვნილი პორტატიული ინსტრუმენტი, რომელიც პირის მიერ მის ხელობასთან ან პროფესიასთან დაკავშირებული საქმიანობის განსახორციელებლადაა საჭირო;

ბ) საყოფაცხოვრებო ნივთი – პირადი მოხმარების საგანი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების თეთრეული, ავეჯი, აღჭურვილობა, რომელიც განკუთვნილია პირის პირადი სარგებლობისთვის ან საყოფაცხოვრებო საჭიროების დაკმაყოფილებისთვის;

გ) ალკოჰოლიანი ნაწარმი – საქონელი (ლუდი, ღვინო, ღვინისგან ან ალკოჰოლისგან დამზადებული აპერიტივი, ბრენდი, ლიქიორი ან სპირტიანი სასმელი და სხვა), რომელიც სეს ესნ-ის 2203–2208 სასაქონლო პოზიციებშია კლასიფიცირებული;

დ) შეღავათი – ამ კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო ვალდებულებისგან გათავისუფლება.

3. ამ წიგნის მიზნებისთვის პირადი საკუთრების სამეწარმეო მიზნით გამოსაყენებლად მიჩნევის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4. ამ წიგნით გათვალისწინებული საბაჟო ვალდებულებისგან გათავისუფლების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

თავი XXXII. საბაჟო ვალდებულებისგან გათავისუფლება

მუხლი 181. საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად გადმოსვლისას პირის მიერ პირადი საკუთრების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა

1. ფიზიკური პირის უცხო ქვეყნიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მუდმივად საცხოვრებლად გადმოსვლისას მის მიერ პირადი საკუთრების შემოტანა თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან ამ მუხლის შესაბამისად.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ პირად საკუთრებაზე, რომელიც:

ა) პირის მიერ უცხო ქვეყანაში საცხოვრებელი ადგილის დატოვების მომენტამდე არანაკლებ 6 თვის განმავლობაში იყო მის სარგებლობაში. ეს პირობა არ ვრცელდება სახარჯ საქონელზე;

ბ) პირის ახალ საცხოვრებელ ადგილზე იმავე მიზნით გამოყენებისთვისაა განკუთვნილი.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ პირზე, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლების გარეთ ცხოვრობდა სულ მცირე უწყვეტი 12 თვის განმავლობაში.

4. საბაჟო ორგანომ შეიძლება დაუშვას ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი, თუ დადგინდა, რომ პირს განზრახული ჰქონდა ეცხოვრა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლების გარეთ სულ მცირე უწყვეტი 12 თვის განმავლობაში.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება:

ა) ალკოჰოლიან ნაწარმზე;

ბ) თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე;

გ) სამეწარმეო დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებაზე;

დ) ნივთზე, რომელიც საჭიროა ხელობასთან ან პროფესიასთან დაკავშირებული საქმიანობის განსახორციელებლად, გარდა გამოყენებითი და ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის განკუთვნილი პორტატიული ინსტრუმენტისა.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება მხოლოდ იმ პირად საკუთრებაზე, რომელიც პირმა თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანა მისი საცხოვრებელ ადგილზე დაფუძნებიდან (ცხოვრების უფლების მოპოვებიდან) 12 თვის განმავლობაში.

7. პირადი საკუთრება თავისუფალ მიმოქცევაში შეიძლება გაშვებულ იქნეს რამდენიმე სასაქონლო პარტიად ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში.

8. დაუშვებელია თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად შეღავათით შემოტანილი პირადი საკუთრების შემოტანის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში საბაჟო ორგანოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე მისი უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა.

9. შეღავათით შემოტანილი პირადი საკუთრების ამ მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა იწვევს ამ საქონელზე შესაბამისი იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით გადახდის ვალდებულების წარმოშობას, რომელიც მოქმედებს აღნიშნული პირადი საკუთრების უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტში, პირადი საკუთრების სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე. თუ შეღავათით შემოტანილი პირადი საკუთრების უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტის დადგენა შეუძლებელია, კუთვნილი იმპორტის გადასახადის გაანგარიშებისას გამოიყენება ამ საქონლის დეკლარირების დღისთვის მოქმედი განაკვეთი.

10. ამ მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი მოთხოვნის მიუხედავად, იმპორტის გადასახადისგან შეიძლება გათავისუფლდეს თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად შემოტანილი პირადი საკუთრება პირის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საცხოვრებლად შემოსვლამდე (ცხოვრების უფლების მოპოვებამდე), თუ პირი აიღებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 6 თვის განმავლობაში საცხოვრებლად დაფუძნების ვალდებულებას და საბაჟო ორგანოს წარუდგენს შესაბამის გარანტიას, რომლის სახესა და ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

11. ამ მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში შემოტანილი საქონლისთვის ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ვადა აითვლება ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის მომენტიდან.

12. იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება იმ პირის მიერ შემოტანილი პირადი საკუთრება, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოდის სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე და რომელსაც განზრახული აქვს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მუდმივად საცხოვრებლად დაფუძნება.

13. ამ მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული პირადი საკუთრება იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება ამავე მუხლის პირველი–მე-9 ნაწილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ:

ა) ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-6 ნაწილით დადგენილი ვადები აითვლება პირადი საკუთრების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის მომენტიდან;

ბ) ამ მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი ვადა აითვლება პირისთვის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ცხოვრების უფლების მინიჭებიდან.

14. ამ მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული პირადი საკუთრების იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლება შესაძლებელია, თუ პირი წინასწარ აიღებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში საცხოვრებლად დაფუძნების ვალდებულებას (ცხოვრების უფლების მინიჭება). ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს გარანტია, რომლის სახე და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

15. საბაჟო ორგანომ შეიძლება შეცვალოს (შეამსუბუქოს) ამ მუხლის მე-2, მე-8 და მე-9 ნაწილებით, აგრეთვე მე-5 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნები, თუ პირი საცხოვრებელ ადგილს განსაკუთრებული პოლიტიკური გარემოებიდან გამომდინარე იცვლის.

მუხლი 182. ქორწინების შემთხვევაში საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა

1. ამ მუხლის გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება პირის მიერ მისი კუთვნილი საყოფაცხოვრებო ნივთის (განურჩევლად იმისა, ეს საქონელი ახალია თუ არა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა, თუ ეს პირი ქორწინების გამო უცხო ქვეყნიდან მუდმივად საცხოვრებლად გადმოდის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ქორწინების გამო მუდმივად საცხოვრებლად გადმოსული პირის მიერ უცხო ქვეყანაში მცხოვრები პირისგან მიღებული საქორწინო საჩუქარი თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან. ამასთანავე, თითოეული საჩუქრის ღირებულება 1000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც შეასრულა შემდეგი პირობები:

ა) იგი საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლების გარეთ ცხოვრობდა სულ მცირე უწყვეტი 12 თვის განმავლობაში. ამასთანავე, ეს მოთხოვნა არ გამოიყენება, თუ დადგინდა, რომ პირს განზრახული ჰქონდა ეცხოვრა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლების გარეთ სულ მცირე უწყვეტი 12 თვის განმავლობაში;

ბ) მან წარმოადგინა ქორწინებაში ყოფნის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება ალკოჰოლიან ნაწარმზე, თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ საქონელზე, რომელიც თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად შემოტანილ იქნა:

ა) პირის ქორწინების თარიღამდე არაუადრეს 2 თვისა (ამ შემთხვევაში სავალდებულოა გარანტიის წარმოდგენა, რომლის სახე და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ);

ბ) პირის ქორწინების თარიღიდან არაუგვიანეს 4 თვისა.

6. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქონელი თავისუფალ მიმოქცევაში შეიძლება გაიშვას რამდენიმე სასაქონლო პარტიად ამ მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილ ვადებში.

7. დაუშვებელია თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად ამ მუხლის შესაბამისად შეღავათით შემოტანილი საქონლის შემოტანის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში საბაჟო ორგანოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე მისი უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა.

8. შეღავათით შემოტანილი საქონლის ამ მუხლის მე-7 ნაწილით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფის

საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა იწვევს ამ საქონელზე შესაბამისი იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით გადახდის ვალდებულების წარმოშობას, რომელიც მოქმედებს აღნიშნული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე. თუ შეღავათით შემოტანილი საქონლის ამ მუხლის მე-7 ნაწილით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტის დადგენა შეუძლებელია, კუთვნილი იმპორტის გადასახადის გაანგარიშებისას გამოიყენება ამ საქონლის დეკლარირების დღისთვის მოქმედი განაკვეთი.

მუხლი 183. მემკვიდრეობით მიღებული პირადი საკუთრების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა

1. ამ მუხლის გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პირის მიერ მემკვიდრეობით მიღებული პირადი საკუთრების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნისთვის „პირადი საკუთრება“ არის გარდაცვლილი პირის ნებისმიერი ქონება, რომელიც აკმაყოფილებს ამ კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება:

ა) ალკოჰოლიან ნაწარმზე;

ბ) თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე;

გ) სამეწარმეო დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებაზე;

დ) ნივთზე, რომელიც საჭიროა ხელობასთან ან პროფესიასთან დაკავშირებული საქმიანობის განსახორციელებლად, გარდა გამოყენებითი და ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის განკუთვნილი პორტატიული ინსტრუმენტისა, რომელსაც გარდაცვლილი პირი საკუთარ ხელობასთან ან პროფესიასთან დაკავშირებული საქმიანობის განსახორციელებლად იყენებდა;

ე) ნედლეულის მარაგზე, მზა ნაწარმსა და ნახევარფაბრიკატზე;

ვ) სასოფლო-სამეურნეო ცხოველსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მარაგზე, რომლის ოდენობა ჩვეულებრივი საოჯახო საჭიროების დასაკმაყოფილებლად საჭირო ოდენობას აღემატება.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ პირად საკუთრებაზე, რომელიც პირმა თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად შემოიტანა მის მიერ ამ საკუთრებაზე უფლების მიღების მომენტიდან (მემკვიდრეობის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის მომენტიდან) არაუგვიანეს 2 წლისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია გაზარდოს აღნიშნული ვადა.

5. პირადი საკუთრება შეიძლება შემოტანილ იქნეს რამდენიმე სასაქონლო პარტიად ამ მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილ ვადაში.

6. ეს მუხლი შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მემკვიდრეობით მიღებული პირადი საკუთრების შემოტანისას.

მუხლი 184. სასწავლო აღჭურვილობის, საგანმანათლებლო ნივთისა და საყოფაცხოვრებო ნივთის

შემოტანა

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სწავლის მიზნით დასარჩენად შემომსვლელი მოსწავლის ან სტუდენტის მიერ სასწავლო პერიოდში პირადი სარგებლობისთვის განკუთვნილი იმ სასწავლო აღჭურვილობის, საგანმანათლებლო ნივთის ან საყოფაცხოვრებო ნივთის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა, რომელიც მოსწავლის ან სტუდენტის საცხოვრებელი ადგილის ჩვეულებრივი ატრიბუტიკაა და მას ეკუთვნის, თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნისთვის:

ა) „მოსწავლე ან სტუდენტი“ არის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასწრებულ განყოფილებაზე რეგისტრირებული ნებისმიერი პირი;

ბ) „სასწავლო აღჭურვილობა“ არის ტანსაცმელი ან საყოფაცხოვრებო დანიშნულების თეთრეული, განურჩევლად იმისა, ის ახალია თუ არა;

გ) „საგანმანათლებლო ნივთი“ არის ნივთი ან ხელსაწყო (მათ შორის, კალკულატორი და საბეჭდი მანქანა), რომელსაც მოსწავლე ან სტუდენტი, როგორც წესი, სასწავლო მიზნით იყენებს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ.

მუხლი 185. უმნიშვნელო ღირებულების სასაქონლო პარტიის შემოტანა

1. ამ მუხლის გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება უმნიშვნელო ღირებულების საქონლისგან შემდგარი ნებისმიერი სასაქონლო პარტიის შემოტანა, რომელიც საქართველოში მიმღებს უცხო ქვეყნიდან ეგზავნება.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნისთვის „უმნიშვნელო ღირებულების საქონელი“ არის 300 ლარამდე ღირებულების სასაქონლო პარტია.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება ალკოჰოლიან ნაწარმზე, სუნამოზე, ტუალეტის წყალზე, თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე.

მუხლი 186. ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მცხოვრები ფიზიკური პირისთვის გამოგზავნილი სასაქონლო პარტიის შემოტანა

1. ამ მუხლის გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება უცხო ქვეყნიდან ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მცხოვრები ფიზიკური პირისთვის გამოგზავნილი სასაქონლო პარტიის შემოტანა, თუ ეს სასაქონლო პარტია ეკონომიკური საქმიანობისთვის არ არის განკუთვნილი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნისთვის მიიჩნევა, რომ შემოტანილი სასაქონლო პარტია ეკონომიკური საქმიანობისთვის არ არის განკუთვნილი, თუ სრულდება შემდეგი პირობები:

ა) სასაქონლო პარტია არარეგულარულად იგზავნება;

ბ) სასაქონლო პარტია შეიცავს მხოლოდ მიმღების ან მისი ოჯახის წევრების პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილ საქონელს, რომელიც მახასიათებლებით ან ოდენობით ეკონომიკური საქმიანობისთვის არ არის განკუთვნილი;

გ) გამომგზავნი მიმღებს სასაქონლო პარტიას კომპენსაციის გარეშე უგზავნის.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება 300 ლარამდე ღირებულების თითოეულ სასაქონლო პარტიაზე, ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის ღირებულების ჩათვლით.

4. თუ რამდენიმე საქონლისგან შემდგარი სასაქონლო პარტიის ღირებულება აღემატება ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ლიმიტს, ამ ლიმიტის ფარგლებში იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება ის საქონელი, რომელიც ცალკე შემოტანისას გათავისუფლდებოდა იმპორტის გადასახადისგან, იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეული სასაქონლო ერთეულის ღირებულება არ შეიძლება დანაწევრდეს.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობისთვის ქვემოთ მითითებულ საქონელზე სასაქონლო პარტიის მიხედვით ვრცელდება აგრეთვე შემდეგი რაოდენობრივი შეზღუდვები:

ა) 200 ღერი სიგარეტი ან 50 სიგარა ან 50 სიგარილა ან სეს ესნ-ის 2403 99 900 02 კოდით გათვალისწინებული 200 ღერი თამბაქოს ნაწარმი ან სეს ესნ-ის 2403 99 900 01 კოდით გათვალისწინებული 10 ცალი კაფსულა და მსგავსი სახის პროდუქტი ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმი (გარდა თამბაქოს ნედლეულისა), ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრები, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან სეს ესნ-ის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული 50 მლ საქონელი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომელიც ეკონომიკური საქმიანობისთვის არ არის განკუთვნილი;

ბ) ჯამურად 1 ლიტრი 22% ან 22%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი ნაწარმი ან 80% ან 80%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის არადენატურირებული ეთილის სპირტი ან 2 ლიტრი 22%-ზე ნაკლები ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი ნაწარმი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული ალკოჰოლიანი ნაწარმის სახეობათა ნაკრები, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის ალკოჰოლიანი ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება;

გ) 4 ლიტრი ღვინო და 16 ლიტრი ლუდი.

შენიშვნა:

1. თუ ალკოჰოლიანი ნაწარმის ან/და თამბაქოს ნაწარმის ან/და სეს ესნ-ის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული საქონლის ოდენობა აღემატება ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობას, ამავე მუხლით გათვალისწინებული იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლება გამოიყენება საქონლის ზემოთ მითითებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

2. ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეღავათით სარგებლობის უფლება ფიზიკურ პირს 18 წლის ასაკიდან წარმოეშობა.

3. ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ საქონელი ეკონომიკური საქმიანობისთვის არ არის განკუთვნილი, თუ ის ერთჯერადად შემოიტანება და განკუთვნილია მიმღების პირადი მოხმარებისთვის ან მისი ოჯახის წევრების მიერ მოხმარებისთვის ან/და ჩუქებისთვის. ამასთანავე, საქონლის შემოტანა ერთჯერადია, თუ საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში – 1 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში ამ საქონლის შემოტანის არაუმეტეს 1 შემთხვევაა.

მუხლი 187. უცხო ქვეყნიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქმიანობის განსაგრძელებლად საწარმოს გადმოტანისას მისი კუთვნილი ძირითადი საშუალებისა და სხვა აღჭურვილობის შემოტანა

1. ამ მუხლის გათვალისწინებით, საქართველოს სამრეწველო და ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების შეუზღუდავად, იმ საწარმოს კუთვნილი ძირითადი საშუალებისა და სხვა აღჭურვილობის შემოტანა, რომელიც წყვეტს უცხო ქვეყანაში საქმიანობას და ანალოგიური საქმიანობის განხორციელების მიზნით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადმოდის, თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოს შემთხვევაში იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება აგრეთვე ამ საწარმოს კუთვნილი ბიოლოგიური აქტივი (გარდა მცენარისა).

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნისთვის „საწარმო“ არის დამოუკიდებლად მოქმედი სამეურნეო სუბიექტი, რომელიც საქმიანობას წარმოების ან მომსახურების სფეროში ახორციელებს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ ძირითად საშუალებასა და სხვა აღჭურვილობაზე, რომელიც:

ა) ფაქტობრივად გამოიყენებოდა საწარმოს მიერ უცხო ქვეყანაში (საიდანაც იგი გადმოტანილ იქნა საქმიანობის გასაგრძელებლად) საქმიანობის შეწყვეტამდე არანაკლებ 12 თვის განმავლობაში;

ბ) საქართველოში იმავე მიზნით გამოყენებისთვისაა განკუთვნილი;

გ) საწარმოს მახასიათებლებსა და ზომას შეესაბამება.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი საწარმოზე არ ვრცელდება, თუ მისი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადმოტანა ხდება საქართველოში დაფუძნებულ საწარმოსთან შერწყმის ან მიერთების შედეგად ან ამ მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეორგანიზაცია ახალი საქმიანობის დასაწყებად ხორციელდება.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება:

ა) სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც ტექნიკური მახასიათებლებით არ არის განკუთვნილი წარმოების საშუალებად გამოყენებისთვის ან მომსახურების გაწევისთვის;

ბ) მარაგზე, რომელიც განკუთვნილია (გამოსადეგია) ადამიანის მიერ მოხმარებისთვის ან ცხოველის საკვებად გამოყენებისთვის;

გ) საწვავზე, ნედლეულის მარაგზე, მზა ნაწარმსა და ნახევარფაბრიკატზე;

დ) ცხოველით მოვაჭრის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ცხოველზე.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ ძირითად საშუალებასა და სხვა აღჭურვილობაზე, რომელიც თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად შემოტანილ იქნა საწარმოს მიერ უცხო ქვეყანაში საქმიანობის შეწყვეტის თარიღიდან არაუგვიანეს 12 თვისა.

7. დაუშვებელია თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად ამ მუხლის შესაბამისად შეღავათით შემოტანილი საქონლის შემოტანის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში საბაჟო ორგანოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე მისი უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა. თუ არსებობს ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათის არაკეთილსინდისიერად გამოყენების რისკი, საბაჟო ორგანომ აღნიშნული ვადა შეიძლება გააგრძელოს 36 თვემდე.

8. შეღავათით შემოტანილი საქონლის ამ მუხლის მე-7 ნაწილით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი სახით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა იწვევს ამ საქონელზე შესაბამისი იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით გადახდის ვალდებულების წარმოშობას, რომელიც მოქმედებს აღნიშნული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე. თუ შეღავათით შემოტანილი საქონლის ამ მუხლის მე-7 ნაწილით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფის

საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტის დადგენა შეუძლებელია, კუთვნილი იმპორტის გადასახადის გაანგარიშებისას გამოიყენება ამ საქონლის დეკლარირების დღისთვის მოქმედი განაკვეთი.

9. ეს მუხლი შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებელი პირის ან არასამეწარმეო საქმიანობაში ჩართული იურიდიული პირის მიერ ძირითადი საშუალებისა და სხვა აღჭურვილობის შემოტანისას, თუ იგი საქმიანობის გასაგრძელებლად უცხო ქვეყნიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადმოდის.

მუხლი 188. საქართველოში დაფუძნებული პირის მიერ უცხო ქვეყანაში საქართველოს საბაჟო ტერიტორიის უშუალოდ მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებული საკუთრებიდან მიღებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა

1. ამ მუხლის გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება უცხო ქვეყანაში საქართველოს საბაჟო ტერიტორიის უშუალოდ მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებული საკუთრებიდან (მეურნეობიდან) მიღებული სასოფლო-სამეურნეო, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მებაღეობის ან მეტყევეობის პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა, თუ ამ მეურნეობას მართავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი, რომლის ძირითადი საქმიანობის განხორციელების ადგილი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მდებარეობს.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობისთვის მეცხოველეობის პროდუქტი მიღებული უნდა იყოს საქართველოში გაჩენილი და გაზრდილი ცხოველისგან ან საქართველოში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული ცხოველისგან.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ საქონელზე, რომელსაც არ გაუვლია დამუშავება, გარდა ისეთი დამუშავებისა, რომელიც, ჩვეულებრივ, თან ახლავს საქონლის მიღებას ან წარმოებას.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ საქონელზე, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლის მიერ ან მისი დავალებით არის შემოტანილი.

5. ეს მუხლი შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოსა და უცხო ქვეყნის საზღვარზე მდებარე ტბაში ან წყლის არხში საქართველოს მოქალაქეობის მქონე მეთევზის მიერ თევზჭერით ან მეთევზეობით მოპოვებული პროდუქტისა და ამ ტბაში ან წყლის არხში საქართველოს მოქალაქეობის მქონე მონადირის მიერ ნადირობით მოპოვებული პროდუქტის მიმართ.

მუხლი 189. უცხო ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლის მიერ სათესლე მასალის, სასუქის და სხვა საშუალების საქართველოში მდებარე მეურნეობაში გამოსაყენებლად შემოტანა

1. ამ მუხლის გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება საქართველოში მდებარე, უცხო ქვეყნის უშუალოდ მომიჯნავე საკუთრებაში (მეურნეობაში) გამოსაყენებლად განკუთვნილი სათესლე მასალის, ნიადაგისა და მოსავლის დასამუშავებელი სასუქისა და სხვა საშუალების შემოტანა, თუ ამ მეურნეობას მართავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი, რომლის ძირითადი საქმიანობის განხორციელების ადგილი უცხო ქვეყანაში საქართველოს საბაჟო ტერიტორიის უშუალოდ მომიჯნავე ტერიტორიაზე მდებარეობს.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება სათესლე მასალის, ნიადაგისა და მოსავლის დასამუშავებლად განკუთვნილი სასუქისა და სხვა საშუალების იმ რაოდენობაზე, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მეურნეობის საჭიროებისთვის.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ სათესლე მასალაზე, ნიადაგისა და

მოსავლის დასამუშავებლად განკუთვნილ სასუქსა და სხვა საშუალებაზე, რომელიც პირდაპირ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უშუალოდ მწარმოებლის მიერ ან მისი დავალებით არის შემოტანილი.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული საქონელი შეიძლება ნაცვალგების პრინციპის გათვალისწინებით გათავისუფლდეს იმპორტის გადასახადისგან.

მუხლი 190. მგზავრის მიერ პირადი ბარგის შემოტანა

იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება მგზავრის მიერ:

ა) 1 კალენდარული დღის განმავლობაში ერთხელ სეს ესნ-ის 02, 04, 06–მე-12 და მე-15– 21-ე ჯგუფებითა და 0302–0307 და 2201–2202 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული ჯამური თანხით 500 ლარამდე ღირებულების, 30 კილოგრამამდე საერთო წონის კვების პროდუქტის შემოტანა, რომელიც ეკონომიკური საქმიანობისთვის არ არის განკუთვნილი;

ბ) 30 კალენდარულ დღეში ერთხელ სეს ესნ-ის 28-ე–97-ე ჯგუფებით (გარდა სეს ესნ-ის 3824 90 980 01 კოდისა) გათვალისწინებული 500 ლარამდე ღირებულების, 30 კილოგრამამდე საერთო წონის საქონლის შემოტანა, რომელიც ეკონომიკური საქმიანობისთვის არ არის განკუთვნილი;

გ) ამ კოდექსის 186-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის იმავე ნაწილით განსაზღვრული ოდენობით შემოტანა, იმავე ნაწილის შენიშვნის გათვალისწინებით.

მუხლი 191. საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული დანიშნულების მასალის, სამეცნიერო დანიშნულების ხელსაწყოს ან აპარატურის შემოტანა

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი სპეციალური წარმომადგენლობის მიერ წარმოებული საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული დანიშნულების ვიზუალური მასალის ან აუდიომასალის (კერძოდ, ლაზერული პროექციის ჰოლოგრამის, მულტიმედიური ნაკრების, პროგრამული ინსტრუქციის მასალის, მათ შორის, ბეჭდური მასალის შესაბამისი მასალის ნაკრების) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან, მიუხედავად ამ მასალის მიმღებისა და გამოყენების მიზნისა.

2. იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება:

ა) ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქონელი, რომელიც განკუთვნილია საზოგადოებრივი საქმიანობის განმახორციელებელი საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურის დაწესებულებისთვის/ორგანიზაციისთვის;

ბ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული დანიშნულების საკოლექციო ერთეული ან ხელოვნების ნიმუში, რომლის მიმღებია მუზეუმი, გალერეა ან მსგავსი დაწესებულება და რომელიც გასაყიდად არ არის განკუთვნილი.

3. ამ მუხლის მე-5–მე-12 ნაწილების გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება სამეცნიერო დანიშნულების ხელსაწყო ან/და აპარატურა, რომელსაც არ მოიცავს ამ მუხლის მე-2 ნაწილი, თუ ის არასამეწარმეო მიზნითაა შემოტანილი.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება სამეცნიერო დანიშნულების ხელსაწყოზე ან/და აპარატურაზე, რომელიც განკუთვნილია:

ა) იმ საჯარო დაწესებულებისთვის ან საჯარო დაწესებულების იმ სტრუქტურული ერთეულისთვის, რომლის ძირითადი საქმიანობა საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაა;

ბ) კერძო დაწესებულებისთვის, რომლის ძირითადი საქმიანობა საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაა.

5. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება აგრეთვე:

ა) სამეცნიერო დანიშნულების ხელსაწყოსთვის ან/და აპარატურისთვის განკუთვნილ სათადარიგო და მაკომპლექტებელ ნაწილზე ან აქსესუარზე, თუ ის შემოიტანება იმ სამეცნიერო დანიშნულების ხელსაწყოსთან ან/და აპარატურასთან ერთად, რომლისთვისაც განკუთვნილია, ან თუ ის მოგვიანებით შემოიტანება და იდენტიფიცირდება, როგორც იმ ხელსაწყოსთვის ან/და აპარატურისთვის განკუთვნილი, რომელიც:

ა.ა) მანამდე შეღავათით იქნა შემოტანილი, თუ სათადარიგო და მაკომპლექტებელ ნაწილზე ან აქსესუარზე შეღავათის მოთხოვნის მომენტში ეს ხელსაწყო ან/და აპარატურა ისევ სამეცნიერო დანიშნულებისაა;

ა.ბ) სათადარიგო და მაკომპლექტებელ ნაწილზე ან აქსესუარზე შეღავათის მოთხოვნის მომენტში შესაძლებელია გათავისუფლდეს იმპორტის გადასახადისგან;

ბ) სამეცნიერო დანიშნულების ხელსაწყოს ან/და აპარატურის ტექნიკური მომსახურებისთვის, კონტროლისთვის, დაკალიბრებისთვის ან შეკეთებისთვის საჭირო ინსტრუმენტზე, თუ ის შემოიტანება იმ სამეცნიერო დანიშნულების ხელსაწყოსთან ან/და აპარატურასთან ერთად, რომლისთვისაც განკუთვნილია, ან თუ ის მოგვიანებით შემოიტანება და იდენტიფიცირდება, როგორც იმ ხელსაწყოსთვის ან/და აპარატურისთვის განკუთვნილი, რომელიც:

ბ.ა) მანამდე შეღავათით იქნა შემოტანილი, თუ ინსტრუმენტზე შეღავათის მოთხოვნის მომენტში ეს ხელსაწყო ან/და აპარატურა ისევ სამეცნიერო დანიშნულებისაა;

ბ.ბ) ინსტრუმენტზე შეღავათის მოთხოვნის მომენტში შესაძლებელია გათავისუფლდეს იმპორტის გადასახადისგან.

6. ამ მუხლის მე-3–მე-5 ნაწილების მიზნებისთვის:

ა) „სამეცნიერო დანიშნულების ხელსაწყო ან/და აპარატურა“ არის ნებისმიერი ხელსაწყო ან/და აპარატურა, რომელიც, ტექნიკური მახასიათებლებიდან და ექსპლუატაციით მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ძირითადად ან მხოლოდ სამეცნიერო საქმიანობისთვისაა განკუთვნილი;

ბ) „სამეცნიერო დანიშნულების ხელსაწყოს ან/და აპარატურის არასამეწარმეო მიზნით შემოტანა“ არის ისეთი სამეცნიერო დანიშნულების ხელსაწყოს ან/და აპარატურის შემოტანა, რომელიც სამეცნიერო კვლევისთვისაა განკუთვნილი ან საგანმანათლებლო დანიშნულებისაა და შესაბამისი საქმიანობა მოგების მიღების მიზნით არ ხორციელდება.

7. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტულ ხელსაწყოზე ან აპარატურაზე არ გაავრცელოს ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი, თუ დადგინდა, რომ აღნიშნული ხელსაწყოს ან აპარატურის იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლება საქართველოს სამრეწველო ინტერესებს წარმოების კონკრეტულ სექტორში ზიანს მიაყენებს.

8. დაუშვებელია საბაჟო ორგანოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული იმ საქონლის ან სამეცნიერო დანიშნულების ხელსაწყოს ან აპარატურის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა, რომელიც იმპორტის გადასახადისგან ამ მუხლის მე-5–მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული პირობებით თავისუფლდება.

9. თუ ხდება ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა ამ მუხლის მე-2 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათით მოსარგებლე დაწესებულებისთვის ან ორგანიზაციისთვის, ეს შეღავათი ძალაში რჩება, თუ მიმღები დაწესებულება ან ორგანიზაცია ამ საქონელს იმ მიზნით იყენებს, რომელიც აღნიშნული შეღავათით სარგებლობის უფლებას იძლევა. სხვა

შემთხვევაში ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა იწვევს ამ საქონელზე შესაბამისი იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით წინასწარ გადახდის ვალდებულების წარმოშობას, რომელიც მოქმედებს აღნიშნული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე. თუ ამ საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტის დადგენა შეუძლებელია, კუთვნილი იმპორტის გადასახადის გაანგარიშებისას გამოიყენება აღნიშნული საქონლის დეკლარირების დღისთვის მოქმედი განაკვეთი.

10. ამ მუხლის მე-2–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელიც წყვეტს შეღავათით სარგებლობისთვის აუცილებელი პირობის შესრულებას ან რომელსაც განზრახული აქვს, შეღავათით შემოტანილი საქონელი ამ მუხლის მე-2–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული მიზნით გამოიყენოს, ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს საბაჟო ორგანოს.

11. იმ დაწესებულების ან ორგანიზაციის მფლობელობაში დარჩენილი საქონელი, რომელიც წყვეტს შეღავათით სარგებლობისთვის აუცილებელი პირობის შესრულებას, ექვემდებარება იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით დაბეგვრას, რომელიც მოქმედებს აღნიშნული პირობის შესრულების შეწყვეტის მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე.

12. შეღავათით მოსარგებლე დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ ამ მუხლის მე-2–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული მიზნით გამოყენებული საქონელი ექვემდებარება იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით დაბეგვრას, რომელიც მოქმედებს საქონლის სხვა დანიშნულებით გამოყენების დაწყების მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე.

13. ამ მუხლის მე-7–მე-12 ნაწილები შესაბამის შემთხვევებში გამოიყენება აგრეთვე ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის მიმართ.

14. უცხო ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ ან მისი დავალებით მოწყობილობის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არასამეწარმეო მიზნით შემოტანა თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან.

15. ამ მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი გამოიყენება, თუ მოწყობილობა:

ა) ამ მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებული დაწესებულების ან ორგანიზაციის წევრის თანხმობით განკუთვნილია იმ სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში გამოყენებისთვის, რომლის მიზანი საერთაშორისო კვლევითი პროგრამის საქართველოში დაფუძნებულ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციაში განხორციელებაა;

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში რჩება უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში.

16. ამ მუხლის მე-14, მე-15 და მე-17–22-ე ნაწილების მიზნებისთვის:

ა) „მოწყობილობა“ არის სამეცნიერო კვლევის ჩატარებისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტი, აპარატურა, მანქანა-დანადგარი ან/და მისი აქსესუარი (მათ შორის, სათადარიგო ნაწილი და ხელსაწყო), რომელიც სპეციალურად მისი ტექნიკური მომსახურებისთვის, კონტროლისთვის, დაკალიბრებისთვის ან შეკეთებისთვის არის განკუთვნილი;

ბ) „არასამეწარმეო მიზნით შემოტანილი მოწყობილობა“ არის მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია იმ სამეცნიერო კვლევის ჩატარებისთვის, რომლის მიზანი არ არის მოგების მიღება.

17. დაუშვებელია საბაჟო ორგანოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე ამ მუხლის მე-14–მე-16

ნაწილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შეღავათით შემოტანილი მოწყობილობის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა.

18. თუ ხდება ამ მუხლის მე-17 ნაწილით გათვალისწინებული მოწყობილობის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა ამ მუხლის მე-14–მე-16 ნაწილებით გათვალისწინებული შეღავათებით მოსარგებლე დაწესებულებისთვის ან ორგანიზაციისთვის, ეს შეღავათები ძალაში რჩება, თუ მიმღები დაწესებულება ან ორგანიზაცია ამ მოწყობილობას იმ მიზნით იყენებს, რომელიც აღნიშნული შეღავათებით სარგებლობის უფლებას იძლევა.

19. ამ მუხლის მე-3–მე-5 ნაწილების გათვალისწინებით, სხვა შემთხვევაში ამავე მუხლის მე-17 ნაწილით გათვალისწინებული მოწყობილობის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა იწვევს აღნიშნულ მოწყობილობაზე შესაბამისი იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით წინასწარ გადახდის ვალდებულების წარმოშობას, რომელიც მოქმედებს ამ მოწყობილობის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტში, მოწყობილობის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე. თუ ამ მუხლის მე-17 ნაწილით გათვალისწინებული მოწყობილობის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტის დადგენა შეუძლებელია, კუთვნილი იმპორტის გადასახადის გაანგარიშებისას გამოიყენება აღნიშნული საქონლის დეკლარირების დღისთვის მოქმედი განაკვეთი.

20. ამ მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებული დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელიც აღარ ასრულებს შესაბამისი შეღავათით სარგებლობისთვის აუცილებელ პირობებს ან რომელსაც განზრახული აქვს, შეღავათით შემოტანილი მოწყობილობა ამ მუხლის მე-14 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული მიზნით გამოიყენოს, ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს საბაჟო ორგანოს.

21. იმ დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ გამოყენებული მოწყობილობა, რომელიც წყვეტს შეღავათით სარგებლობისთვის აუცილებელი პირობის შესრულებას, ექვემდებარება იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით დაბეგვრას, რომელიც მოქმედებს აღნიშნული პირობის შესრულების შეწყვეტის მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე.

22. ამ მუხლის მე-3–მე-5 ნაწილების გათვალისწინებით, შეღავათით მოსარგებლე დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ ამ მუხლის მე-14–მე-16 ნაწილებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული მიზნით გამოყენებული მოწყობილობა ექვემდებარება იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით დაბეგვრას, რომელიც მოქმედებს საქონლის სხვა დანიშნულებით გამოყენების დაწყების მომენტში, მოწყობილობის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე.

მუხლი 192. ლაბორატორიული კვლევისთვის განკუთვნილი ცხოველის შემოყვანა, ბიოლოგიური ან ქიმიური ნივთიერების შემოტანა

1. იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება:

ა) ლაბორატორიაში გამოყენებისთვის განკუთვნილი ცხოველის შემოყვანა;

ბ) საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით გათვალისწინებული ბიოლოგიური ან ქიმიური ნივთიერების არასამეწარმეო მიზნით შემოტანა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმავე ნაწილით გათვალისწინებულ ცხოველზე, ბიოლოგიურ ან ქიმიურ ნივთიერებაზე, რომელიც განკუთვნილია:

ა) იმ საჯარო დაწესებულებისთვის ან საჯარო დაწესებულების იმ სტრუქტურული ერთეულისთვის, რომლის ძირითადი საქმიანობა საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაა;

ბ) კერძო დაწესებულებისთვის, რომლის ძირითადი საქმიანობა საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაა.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნუსხა შეიძლება მოიცავდეს აგრეთვე იმ ბიოლოგიურ და ქიმიურ ნივთიერებებს, რომელთა ეკვივალენტური პროდუქცია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არ არის და რომლებიც, განსაკუთრებული მახასიათებლებიდან ან ხარისხიდან გამომდინარე, აუცილებელია სამეცნიერო კვლევისთვის.

მუხლი 193. ადამიანური წარმოშობის სამკურნალო ნივთიერების, სისხლის ჯგუფის განმსაზღვრელი რეაგენტისა და ქსოვილის ტიპირების რეაგენტის შემოტანა

1. ამ მუხლის გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება შემდეგი საქონლის შემოტანა:

ა) ადამიანური წარმოშობის სამკურნალო ნივთიერება;

ბ) სისხლის ჯგუფის განმსაზღვრელი რეაგენტი;

გ) ქსოვილის ტიპირების რეაგენტი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნისთვის:

ა) „ადამიანური წარმოშობის სამკურნალო ნივთიერება“ არის ადამიანის სისხლი და მისი დერივატები (მთლიანი სისხლი, მშრალი პლაზმა, ალბუმინი, პლაზმის ცილების სტაბილიზებული ხსნარი, იმუნოგლობულინი, ფიბრინოგენი);

ბ) „სისხლის ჯგუფის განმსაზღვრელი რეაგენტი“ არის ადამიანური, ცხოველური, მცენარეული ან სხვა წარმოშობის რეაგენტი, რომელიც ადამიანის სისხლის ჯგუფისა და სისხლის შეუთავსებლობის დასადგენად გამოიყენება;

გ) „ქსოვილის ტიპირების რეაგენტი“ არის ადამიანური, ცხოველური, მცენარეული ან სხვა წარმოშობის რეაგენტი, რომელიც ადამიანის ქსოვილის ტიპირებისთვის გამოიყენება.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ საქონელზე:

ა) რომელიც განკუთვნილია შესაბამისი ორგანოს მიერ განსაზღვრული ინსტიტუტის ან ლაბორატორიის მიერ არასამეწარმეო სამედიცინო ან სამეცნიერო დანიშნულებით გამოსაყენებლად;

ბ) რომელსაც თან ახლავს გამომგზავნი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;

გ) რომელიც სპეციალური მაიდენტიფიცირებელი ეტიკეტით მარკირებულ კონტეინერშია მოთავსებული.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება აგრეთვე ადამიანური წარმოშობის სამკურნალო ნივთიერების, სისხლის ჯგუფის განმსაზღვრელი რეაგენტის, ქსოვილის ტიპირების რეაგენტის ტრანსპორტირებისთვის აუცილებელ შესაფუთ მასალაზე და მისი გამოყენებისთვის საჭირო ნებისმიერ გამხსნელსა და აქსესუარზე, რომლებიც შეიძლება სასაქონლო პარტიის ნაწილი იყოს.

მუხლი 194. სამედიცინო კვლევისთვის, სამედიცინო დიაგნოსტირებისთვის ან სამედიცინო მკურნალობისთვის განკუთვნილი ხელსაწყოს ან აპარატურის შემოტანა

1. იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება სამედიცინო კვლევისთვის, სამედიცინო დიაგნოსტირებისთვის ან სამედიცინო მკურნალობისთვის განკუთვნილი იმ ხელსაწყოს ან აპარატურის შემოტანა, რომელიც ფიზიკური პირის ან საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ საავადმყოფოსთვის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებისთვის ან სამედიცინო-კვლევითი დაწესებულებისთვის არის შემოწირული. იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება აგრეთვე სამედიცინო კვლევისთვის, სამედიცინო დიაგნოსტირებისთვის ან სამედიცინო მკურნალობისთვის განკუთვნილი ის ხელსაწყო ან აპარატურა, რომელიც შეძენილია საავადმყოფოს, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების ან სამედიცინო-კვლევითი დაწესებულების მიერ, საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ შემოწირული თანხით ან ნებაყოფლობითი შენატანებით, თუ შესრულდა ყველა შემდეგი პირობა:

ა) ხელსაწყოს ან აპარატურის შემოწირვა შემომწირველისთვის სამეწარმეო მიზნის შემცველი არ არის;

ბ) შემომწირველს არ აქვს კავშირი იმ ხელსაწყოს ან აპარატურის მწარმოებელთან, რომელზედაც შეღავათი უნდა გავრცელდეს.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება აგრეთვე:

ა) ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხელსაწყოსთვის ან/და აპარატურისთვის განკუთვნილ სათადარიგო და მაკომპლექტებელ ნაწილზე ან აქსესუარზე, თუ ის შემოიტანება იმ ხელსაწყოსთან ან/და აპარატურასთან ერთად, რომლისთვისაც განკუთვნილია, ან თუ ის მოგვიანებით შემოიტანება და იდენტიფიცირდება, როგორც მანამდე შეღავათით შემოტანილი ხელსაწყოსთვის ან/და აპარატურისთვის განკუთვნილი;

ბ) ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხელსაწყოს ან/და აპარატურის ტექნიკური მომსახურებისთვის, კონტროლისთვის, დაკალიბრებისთვის ან შეკეთებისთვის საჭირო ინსტრუმენტზე, თუ ის შემოიტანება იმ ხელსაწყოსთან ან/და აპარატურასთან ერთად, რომლისთვისაც განკუთვნილია, ან თუ ის მოგვიანებით შემოიტანება და იდენტიფიცირდება, როგორც მანამდე შეღავათით შემოტანილი ხელსაწყოსთვის ან/და აპარატურისთვის განკუთვნილი.

3. ამ კოდექსის 191-ე მუხლის მე-7–მე-12 ნაწილები შესაბამის შემთხვევებში გამოიყენება აგრეთვე ამ მუხლით გათვალისწინებული ხელსაწყოს ან/და აპარატურის და შემოწირულების მიმღების მიმართ.

მუხლი 195. სამედიცინო პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული მასალის ხარისხის კონტროლისთვის საჭირო ეტალონური პრეპარატის ნიმუშის შემოტანა

იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება იმ სასაქონლო პარტიის შემოტანა, რომელიც შეიცავს სამედიცინო პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული მასალის ხარისხის კონტროლისთვის საჭირო, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებული ეტალონური პრეპარატის ნიმუშს.

მუხლი 196. საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებაზე გამოსაყენებელი ფარმაცევტული პროდუქტის შემოტანა

იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება იმ ფარმაცევტული პროდუქტის შემოტანა, რომელიც განკუთვნილია იმ ადამიანის ან/და ცხოველის სამედიცინო მოხმარებისთვის, რომელიც უცხო ქვეყნიდან საქართველოს ტერიტორიაზე ორგანიზებულ საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის შემოდის, საქართველოში ყოფნის პერიოდში მისი საჭიროების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი ოდენობის ფარგლებში.

მუხლი 197. სახელმწიფო ორგანოს, საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ საქონლის შემოტანა

1. ამ მუხლის მე-3–მე-6 ნაწილების გათვალისწინებით, თუ ეს არ გამოიწვევს კონკურენციის წესების ბოროტად გამოყენებას ან დარღვევას, იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება შემდეგი საქონელი:

ა) პირველადი დანიშნულების საგანი, რომელიც შემოტანილია სახელმწიფო ორგანოს, საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ, შესაბამისი საჭიროების მქონე პირებისთვის უსასყიდლოდ გადაცემის მიზნით;

ბ) სახელმწიფო ორგანოსთვის, საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის უცხო ქვეყანაში დაფუძნებული ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ უსასყიდლოდ გამოგზავნილი ნებისმიერი საქონელი, რომლის გამომგზავნს არ აქვს სამეწარმეო მიზანი და რომელიც გამოგზავნილია იმ არარეგულარული საქველმოქმედო ღონისძიებისთვის, რომლის მიზანი შესაბამისი საჭიროების მქონე პირისთვის სახსრების შეგროვებაა;

გ) საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის უცხო ქვეყანაში დაფუძნებული ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ უსასყიდლოდ გამოგზავნილი მოწყობილობა ან საკანცელარიო ნივთი, რომელიც საქველმოქმედო ორგანიზაციის ფუნქციის შესრულებისთვის ან მისი საქველმოქმედო მიზნისთვის არის საჭირო და რომლის გამომგზავნს არ აქვს სამეწარმეო მიზანი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიზნისთვის „პირველადი დანიშნულების საგანი“ არის საქონელი, რომელიც აუცილებელია ადამიანის გადაუდებელი საჭიროების დაკმაყოფილებისთვის, მაგალითად, საკვები, მედიკამენტი, ტანსაცმელი, ლოგინის თეთრეული.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება:

ა) ალკოჰოლიან ნაწარმზე;

ბ) თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე;

გ) ყავასა და ჩაიზე;

დ) სატრანსპორტო საშუალებაზე, გარდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანისა.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ ორგანიზაციაზე, რომელიც საქველმოქმედო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს.

5. დაუშვებელია შეღავათით მოსარგებლე ორგანიზაციის მიერ საბაჟო ორგანოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქონლის იმავე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული მიზნით უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა.

6. თუ ხდება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა ამ მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული შეღავათებით მოსარგებლე ორგანიზაციისთვის, ეს შეღავათები ძალაში რჩება, თუ მიმღები ორგანიზაცია ამ საქონელს იმ მიზნით იყენებს, რომელიც აღნიშნული შეღავათებით სარგებლობის უფლებას იძლევა. სხვა შემთხვევაში ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა იწვევს ამ საქონელზე შესაბამისი იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით წინასწარ გადახდის ვალდებულების წარმოშობას, რომელიც მოქმედებს აღნიშნული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის

თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტის დადგენა შეუძლებელია, კუთვნილი იმპორტის გადასახადის გაანგარიშებისას გამოიყენება აღნიშნული საქონლის დეკლარირების დღისთვის მოქმედი განაკვეთი.

7. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ორგანიზაცია, რომელიც წყვეტს შეღავათით სარგებლობისთვის აუცილებელი პირობის შესრულებას ან რომელსაც განზრახული აქვს, შეღავათით შემოტანილი საქონელი ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულისგან განსხვავებული მიზნით გამოიყენოს, ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს საბაჟო ორგანოს.

8. იმ ორგანიზაციის მფლობელობაში დარჩენილი საქონელი, რომელიც წყვეტს შეღავათით სარგებლობისთვის აუცილებელი პირობის შესრულებას, ექვემდებარება იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით დაბეგვრას, რომელიც მოქმედებს აღნიშნული პირობის შესრულების შეწყვეტის მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე.

9. შეღავათით მოსარგებლე ორგანიზაციის მიერ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულისგან განსხვავებული მიზნით გამოყენებული საქონელი ექვემდებარება იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით დაბეგვრას, რომელიც მოქმედებს საქონლის სხვა დანიშნულებით გამოყენების დაწყების მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე.

მუხლი 198. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის განკუთვნილი საქონლის შემოტანა

1. მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის (შემდგომ – უსინათლო პირი) განათლებისთვის ან სამეცნიერო ან კულტურული განვითარებისთვის სპეციალურად დამზადებული საქონლის შემოტანა თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან, თუ ის შემოტანილია:

ა) უსინათლო პირის მიერ პირადი მოხმარებისთვის;

ბ) იმ დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც უსინათლო პირს განათლებას აძლევს ან დახმარებას უწევს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმავე ნაწილით გათვალისწინებული საქონლისთვის განკუთვნილ სათადარიგო და მაკომპლექტებელ ნაწილზე ან აქსესუარზე, აღნიშნული საქონლის ტექნიკური მომსახურებისთვის, კონტროლისთვის, დაკალიბრებისთვის ან შეკეთებისთვის საჭირო ინსტრუმენტზე, თუ ის შემოიტანება იმ საქონელთან ერთად, რომლისთვისაც განკუთვნილია, ან თუ ის მოგვიანებით შემოიტანება და იდენტიფიცირდება, როგორც მანამდე შეღავათით შემოტანილი საქონლისთვის განკუთვნილი ან იმ საქონლისთვის განკუთვნილი, რომელიც სათადარიგო და მაკომპლექტებელ ნაწილზე ან აქსესუარზე ან ინსტრუმენტზე შეღავათის მოთხოვნის მომენტში შესაძლებელია გათავისუფლდეს იმპორტის გადასახადისგან.

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, გარდა უსინათლო პირისა, განათლებისთვის, მისთვის სამუშაო პირობების შექმნისთვის ან მისი სოციალური ადაპტაციისთვის სპეციალურად დამზადებული საქონელი თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან, თუ ის შემოტანილია:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ პირადი მოხმარებისთვის;

ბ) იმ დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ, რომლის ძირითადი საქმიანობაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის განათლების მიცემა ან დახმარების გაწევა.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმავე ნაწილით გათვალისწინებული საქონლისთვის განკუთვნილ სათადარიგო და მაკომპლექტებელ ნაწილზე ან აქსესუარზე, აღნიშნული საქონლის ტექნიკური მომსახურებისთვის, კონტროლისთვის,

დაკალიბრებისთვის ან შეკეთებისთვის საჭირო ინსტრუმენტზე, თუ ის შემოიტანება იმ საქონელთან ერთად, რომლისთვისაც განკუთვნილია, ან თუ ის მოგვიანებით შემოიტანება და იდენტიფიცირდება, როგორც მანამდე შეღავათით შემოტანილი საქონლისთვის განკუთვნილი ან იმ საქონლისთვის განკუთვნილი, რომელიც სათადარიგო და მაკომპლექტებელ ნაწილზე, აქსესუარზე ან ინსტრუმენტზე შეღავათის მოთხოვნის მომენტში შესაძლებელია გათავისუფლდეს იმპორტის გადასახადისგან.

5. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ საქონელზე არ გაავრცელოს ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი, თუ დადგინდა, რომ აღნიშნული საქონლის იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლება საქართველოს სამრეწველო ინტერესებს წარმოების კონკრეტულ სექტორში ზიანს მიაყენებს.

6. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი უსინათლო პირის ან სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პირადი სარგებლობისთვის განკუთვნილ ნივთზე ვრცელდება, თუ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ეს პირი მიჩნეული იქნება ასეთი შეღავათით სარგებლობის უფლების მქონე უსინათლო პირად ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად.

7. დაუშვებელია ამ მუხლის პირველი ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პირის მიერ საბაჟო ორგანოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე შეღავათით შემოტანილი საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა.

8. თუ ხდება ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა ამ მუხლის პირველი–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული შეღავათებით მოსარგებლე პირისთვის, დაწესებულებისთვის ან ორგანიზაციისთვის, ეს შეღავათები ძალაში რჩება, თუ მიმღები პირი, დაწესებულება ან ორგანიზაცია ამ საქონელს იმ მიზნით იყენებს, რომელიც აღნიშნული შეღავათებით სარგებლობის უფლებას იძლევა. სხვა შემთხვევაში ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა იწვევს ამ საქონელზე შესაბამისი იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით წინასწარ გადახდის ვალდებულების წარმოშობას, რომელიც მოქმედებს აღნიშნული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე. თუ ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტის დადგენა შეუძლებელია, კუთვნილი იმპორტის გადასახადის გაანგარიშებისას გამოიყენება აღნიშნული საქონლის დეკლარირების დღისთვის მოქმედი განაკვეთი.

9. ამ მუხლის პირველი–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შეღავათით მოსარგებლე დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ შემოტანილი საქონელი შესაძლებელია ამ დაწესებულებამ ან ორგანიზაციამ არასამეწარმეო მიზნით, შესაბამისი იმპორტის გადასახადის გადახდის გარეშე გააქირაოს, ათხოვოს ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადასცეს იმ უსინათლო პირს ან სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელთანაც მისი საქმიანობაა დაკავშირებული.

10. დაუშვებელია საბაჟო ორგანოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის ამავე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულისგან განსხვავებული პირობებით უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, თხოვება ან გადაცემა.

11. თუ ხდება ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა ამ მუხლის პირველი ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათით მოსარგებლე პირისთვის, დაწესებულებისთვის ან ორგანიზაციისთვის, ეს შეღავათი ძალაში რჩება, თუ მიმღები პირი, დაწესებულება ან ორგანიზაცია ამ საქონელს იმ მიზნით იყენებს, რომელიც აღნიშნული შეღავათით სარგებლობის უფლებას იძლევა. სხვა შემთხვევაში ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი

ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა იწვევს ამ საქონელზე შესაბამისი იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით წინასწარ გადახდის ვალდებულების წარმოშობას, რომელიც მოქმედებს აღნიშნული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე. თუ ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტის დადგენა შეუძლებელია, კუთვნილი იმპორტის გადასახადის გაანგარიშებისას გამოიყენება აღნიშნული საქონლის დეკლარირების დღისთვის მოქმედი განაკვეთი.

12. ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელიც წყვეტს შეღავათით სარგებლობისთვის აუცილებელი პირობის შესრულებას ან რომელსაც განზრახული აქვს, შეღავათით შემოტანილი საქონელი ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული მიზნით გამოიყენოს, ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს საბაჟო ორგანოს.

13. იმ დაწესებულების ან ორგანიზაციის მფლობელობაში დარჩენილი საქონელი, რომელიც წყვეტს შეღავათით სარგებლობისთვის აუცილებელი პირობის შესრულებას, ექვემდებარება იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით დაბეგვრას, რომელიც მოქმედებს აღნიშნული პირობის შესრულების შეწყვეტის მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე.

14. შეღავათით მოსარგებლე დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ ამ მუხლის პირველი–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული მიზნით გამოყენებული საქონელი ექვემდებარება იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით დაბეგვრას, რომელიც მოქმედებს საქონლის სხვა დანიშნულებით გამოყენების დაწყების მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე.

მუხლი 199. კატასტროფის ან სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული პირის დასახმარებლად საქონლის შემოტანა

1. ამ მუხლის გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება სახელმწიფო ორგანოს, საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ შემოტანილი საქონელი, რომელიც განკუთვნილია:

ა) კატასტროფის ან სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული პირისთვის უსასყიდლოდ გადასაცემად;

ბ) კატასტროფის ან სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული პირისთვის უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადასაცემად, თუ სარგებლობის პერიოდში საქონელი სახელმწიფოს ან საქველმოქმედო ორგანიზაციის საკუთრებაში რჩება.

2. კატასტროფის ან სტიქიური უბედურების დროს დახმარების გაწევის უზრუნველმყოფი სამსახურის მიერ თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად შემოტანილ, მისივე ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო საქონელზე ვრცელდება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი იმავე ნაწილით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება კატასტროფის ან სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ტერიტორიის აღდგენისთვის განკუთვნილ მასალაზე ან/და აღჭურვილობაზე.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შეღავათი ამავე მუხლით გათვალისწინებულ საქონელზე ვრცელდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ საქველმოქმედო ორგანიზაციაზე,

რომელიც საქველმოქმედო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს.

6. დაუშვებელია შეღავათით მოსარგებლე ორგანიზაციის მიერ საბაჟო ორგანოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქონლის ამავე მუხლით გათვალისწინებულისგან განსხვავებული პირობებით უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა.

7. თუ ხდება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათით მოსარგებლე ორგანიზაციისთვის, ეს შეღავათი ძალაში რჩება, თუ მიმღები ორგანიზაცია ამ საქონელს იმ მიზნით იყენებს, რომელიც აღნიშნული შეღავათით სარგებლობის უფლებას იძლევა. სხვა შემთხვევაში ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა ხდება ამ საქონელზე შესაბამისი იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით გადახდის შემდეგ, რომელიც მოქმედებს აღნიშნული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტის დადგენა შეუძლებელია, კუთვნილი იმპორტის გადასახადის გაანგარიშებისას გამოიყენება აღნიშნული საქონლის დეკლარირების დღისთვის მოქმედი განაკვეთი.

8. დაუშვებელია საბაჟო ორგანოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იმ საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა, რომელსაც კატასტროფის ან სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული პირი აღარ იყენებს.

9. თუ ხდება ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათით მოსარგებლე ორგანიზაციისთვის ან, საჭიროების შემთხვევაში, ამ კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათით მოსარგებლე ორგანიზაციისთვის, ეს შეღავათი ძალაში რჩება, თუ მიმღები ორგანიზაცია ამ საქონელს იმ მიზნით იყენებს, რომელიც აღნიშნული შეღავათით სარგებლობის უფლებას იძლევა. სხვა შემთხვევაში ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გაქირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა ხდება ამ საქონელზე შესაბამისი იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით გადახდის შემდეგ, რომელიც მოქმედებს აღნიშნული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე. თუ ამ მუხლისმე-8 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის უზრუნველყოფის საგნად გამოყენების, გაქირავების, სხვა პირისთვის თხოვების ან ნებისმიერი ფორმით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის მომენტის დადგენა შეუძლებელია, კუთვნილი იმპორტის გადასახადის გაანგარიშებისას გამოიყენება აღნიშნული საქონლის დეკლარირების დღისთვის მოქმედი განაკვეთი.

10. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქველმოქმედო ორგანიზაცია ან სამსახური, რომელიც წყვეტს შეღავათით სარგებლობისთვის აუცილებელი პირობის შესრულებას ან რომელსაც განზრახული აქვს, შეღავათით შემოტანილი საქონელი ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული მიზნით გამოიყენოს, ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს საბაჟო ორგანოს.

11. თუ ხდება იმ ორგანიზაციის ან სამსახურის მფლობელობაში დარჩენილი საქონლის, რომელიც წყვეტს შეღავათით სარგებლობისთვის აუცილებელი პირობის შესრულებას, გადაცემა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათით მოსარგებლე ორგანიზაციისთვის ან, საჭიროების შემთხვევაში, ამ კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათით მოსარგებლე ორგანიზაციისთვის, ეს შეღავათი ძალაში რჩება, თუ მიმღები ორგანიზაცია ამ

საქონელს იმ მიზნით იყენებს, რომელიც აღნიშნული შეღავათით სარგებლობის უფლებას იძლევა.

12. შეღავათით მოსარგებლე ორგანიზაციის ან სამსახურის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებულისგან განსხვავებული მიზნით გამოყენებული საქონელი ექვემდებარება იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით დაბეგვრას, რომელიც მოქმედებს საქონლის სხვა დანიშნულებით გამოყენების დაწყების მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე.

მუხლი 200. ორდენის ან ჯილდოს შემოტანა

თუ შესაბამისი პირი საბაჟო ორგანოს წარუდგენს სათანადო მტკიცებულებას, რომ საქონელი სამეწარმეო მიზნით არ არის შემოტანილი, იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება:

ა) ორდენი, რომელიც უცხო ქვეყნის მთავრობამ გადასცა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირს;

ბ) სიმბოლური მნიშვნელობის თასი, მედალი ან მსგავსი ნივთი, რომელიც უცხო ქვეყანაში ჯილდოს სახით გადაეცა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირს ხელოვნების, მეცნიერების ან სპორტის სფეროში ან საჯარო სამსახურში გაწეული საქმიანობისთვის ან კონკრეტული დამსახურების აღიარების ნიშნად და რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თვით ამ პირმა შემოიტანა;

გ) სიმბოლური მნიშვნელობის თასი, მედალი ან მსგავსი ნივთი, რომელიც უცხო სახელმწიფომ ან უცხო ქვეყანაში დაფუძნებულმა პირმა უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების გამო;

დ) სიმბოლური მნიშვნელობისა და მცირე ღირებულების ჯილდო, პრიზი ან სუვენირი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირისთვის კონფერენციის ან ანალოგიური საერთაშორისო ღონისძიების ფარგლებში უსასყიდლოდ გადასაცემად, თუ მისი საცალო ღირებულება და სხვა მახასიათებლები მის სამეწარმეო მიზნით შემოტანაზე არ მიანიშნებს.

მუხლი 201. საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში მიღებული საჩუქრის შემოტანა

1. ამ მუხლისა და, შესაბამის შემთხვევაში, ამ კოდექსის 190-ე მუხლის გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება საქონელი, რომელიც:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანა იმ პირმა,რომელმაც ეს საქონელი უცხო ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებისგან საჩუქრის სახით მიიღო;

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანა იმ პირმა, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შემოდის და ეს საქონელი საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებისთვის საჩუქრის სახით გადასაცემად შემოაქვს;

გ) მეგობრობისა და კეთილი ნების ნიშნად, საჩუქრის სახით გამოგზავნილია უცხო ქვეყნის საზოგადოებრივი ინტერესების განმახორციელებელი ოფიციალური ორგანოს, საჯარო დაწესებულების ან ჯგუფის მიერ და რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივი ინტერესების განმახორციელებელი ოფიციალური ორგანოსთვის, საჯარო დაწესებულებისთვის ან ჯგუფისთვის არის განკუთვნილი.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება ალკოჰოლიან სასმელზე, თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი გამოიყენება, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) საჩუქრად განკუთვნილი საქონლის შემოტანა არასისტემატურად ხდება;

ბ) საჩუქრად განკუთვნილი საქონელი მახასიათებლებით, ღირებულებით ან ოდენობით ეკონომიკური საქმიანობისთვის არ არის განკუთვნილი;

გ) საჩუქრად განკუთვნილი საქონელი სამეწარმეო მიზნით არ გამოიყენება.

მუხლი 202. სახელმწიფოს მეთაურის მიერ სარგებლობისთვის ან მოხმარებისთვის განკუთვნილი საქონლის შემოტანა

1. საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობებით და დადგენილი ოდენობის ფარგლებში იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება:

ა) უცხო ქვეყნის მოქმედი მონარქისთვის ან სახელმწიფოს მეთაურისთვის განკუთვნილი საჩუქრის შემოტანა;

ბ) იმ საქონლის შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნის მოქმედი მონარქის ან სახელმწიფოს მეთაურის ან მის მიერ წარდგენილი ოფიციალური პირის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ოფიციალური ვიზიტის განმავლობაში სარგებლობისთვის ან მოხმარებისთვის. ეს შეღავათი ნაცვალგების პრინციპის გათვალისწინებით მოქმედებს.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება აგრეთვე იმ პირზე, რომელიც საერთაშორისო დონეზე უცხო ქვეყნის მოქმედი მონარქის ან სახელმწიფოს მეთაურის პრეროგატივით სარგებლობს.

მუხლი 203. საქონლის ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით შემოტანა

1. ამ მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება უმნიშვნელო ღირებულების საქონლის ნიმუშის შემოტანა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის წასახალისებლად, რომლის საჩვენებლადაცაა შემოტანილი.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობისთვის საბაჟო ორგანომ შეიძლება მოითხოვოს დანაწევრებით, გახვრეტით, თვალსაჩინო და წაუშლელი ნიშანდებით ან სხვა საშუალებით საქონლის ნიმუშის სამუდამოდ უსარგებლო მდგომარეობაში ყოფნის უზრუნველყოფა, თუ აღნიშნული ქმედება არ გამოიწვევს საქონლის ნიმუშის სადემონსტრაციო მახასიათებლების მოსპობას.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნისთვის „საქონლის ნიმუში“ არის ნებისმიერი ნივთი, რომელიც იმავე ხარისხისა და მახასიათებლების საქონლის ერთეულია და რომლის დემონსტრირების მეთოდი და ოდენობა გამორიცხავს მის სხვა მიზნით გამოყენებას, გარდა შეკვეთის მიღებისა.

4. ამ მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება შემოსატანი ბეჭდური სარეკლამო მასალა, როგორიცაა კატალოგი, ფასების ჩამონათვალი, გამოყენების ინსტრუქცია, ბროშურა, თუ ეს მასალა დაკავშირებულია:

ა) გასაყიდ ან გასაქირავებელ საქონელთან;

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლების გარეთ დაფუძნებული პირის მიერ შემოთავაზებულ

ტრანსპორტირების, დაზღვევის ან საბანკო მომსახურებასთან.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ ბეჭდურ სარეკლამო მასალაზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბეჭდურ სარეკლამო მასალაზე თვალსაჩინოდაა გამოსახული იმ კომპანიის სახელწოდება, რომელიც აწარმოებს, ყიდის ან აქირავებს იმ საქონელს ან ახდენს იმ მომსახურების შეთავაზებას, რომლის რეკლამირებაც ამ მასალით ხდება;

ბ) რამდენიმე დოკუმენტის გამოგზავნისას სასაქონლო პარტია შეიცავს 1 დოკუმენტს ან დოკუმენტის 1 ასლს. სასაქონლო პარტია, რომელიც შეიცავს დოკუმენტის რამდენიმე ასლს, შესაძლებელია არ გათავისუფლდეს იმპორტის გადასახადისგან, თუ სასაქონლო პარტიის ჯამური წონა 1 კილოგრამს აღემატება;

გ) ბეჭდური სარეკლამო მასალა ერთი და იმავე გამომგზავნის მიერ ერთი და იმავე მიმღებისთვის რამდენიმე სასაქონლო პარტიად არ არის გამოგზავნილი.

6. იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება აგრეთვე მიმწოდებლის მიერ თავისი მომხმარებლისთვის უსასყიდლოდ გაგზავნილი, რეალური კომერციული ღირებულების არმქონე, სარეკლამო დანიშნულების ნივთი, რომელიც, გარდა სარეკლამო დანიშნულებისა, სხვა დანიშნულებით ვერ იქნება გამოყენებული.

7. ამ მუხლის მე-10–მე-13 ნაწილების გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება შემდეგი საქონლის შემოტანა:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლების გარეთ წარმოებული საქონლის მცირე ზომის სადემონსტრაციო ნიმუში, რომელიც განკუთვნილია გამოფენა-გაყიდვაზე ან მსგავს ღონისძიებაზე გამოყენებისთვის ან მოხმარებისთვის;

ბ) მხოლოდ ჩვენების მიზნით ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლების გარეთ წარმოებული მანქანა-დანადგარის ან აპარატურის დემონსტრირებისთვის შემოტანილი საქონელი, რომელიც წარდგენილია გამოფენა-გაყიდვის ან მსგავსი ღონისძიების ფარგლებში;

გ) მცირე ღირებულების სხვადასხვა მასალა (საღებავი, ლაქი და სხვა), რომელიც გამოიყენება გამოფენა-გაყიდვაზე ან მსგავს ღონისძიებაზე იმ დროებითი სტენდის ასაშენებლად, დასამონტაჟებლად ან გასაფორმებლად, რომელიც გამოყენების შემდეგ განადგურებას ექვემდებარება;

დ) უსასყიდლოდ მიწოდებული ბეჭდური მასალა, კატალოგი, სარეკლამო პროსპექტი, ფასების ჩამონათვალი, სარეკლამო პლაკატი, კალენდარი, ფოტოსურათი (ჩარჩოს გარეშე) ან სხვა საქონელი, რომელიც რეკლამას უწევს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლების გარეთ წარმოებულ, გამოფენა-გაყიდვის ან მსგავსი ღონისძიების ფარგლებში წარდგენილ საქონელს.

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილის მიზნისთვის „გამოფენა-გაყიდვა ან მსგავსი ღონისძიება“ არის:

ა) ვაჭრობასთან, წარმოებასთან, სოფლის მეურნეობასთან ან კუსტარულ ხელოსნობასთან დაკავშირებული გამოფენა, ბაზრობა, ჩვენება ან მსგავსი ღონისძიება;

ბ) უმთავრესად საქველმოქმედო მიზნით ჩატარებული გამოფენა ან სხვა ღონისძიება;

გ) უმთავრესად მეცნიერებასთან, ხელოვნებასთან, განათლებასთან, კულტურასთან, სპორტთან, რელიგიასთან, ღვთისმსახურებასთან, ტექნიკასთან, კუსტარულ ხელოსნობასთან, ტურიზმთან ან პროფესიული კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული ან საერთაშორისო ურთიერთგაგების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული გამოფენა ან მსგავსი ღონისძიება;

დ) საერთაშორისო ორგანიზაციის ან სხვა გაერთიანების წარმომადგენლობის შეხვედრა;

ე) ოფიციალური ან ხსოვნისადმი მიძღვნილი ცერემონია ან შეკრება.

9. ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული „გამოფენა-გაყიდვა ან მსგავსი ღონისძიება“ არ მოიცავს სავაჭრო მოედანზე ან შენობა-ნაგებობაში უცხოური საქონლის გასაყიდად კერძო მიზნით გამართულ გამოფენას.

10. ამ მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება მხოლოდ იმ ნიმუშზე, რომელიც:

ა) შემოტანილია უსასყიდლოდ ან მიღებულია გამოფენაზე უცხო ქვეყნიდან შემოტანილი საბითუმო პარტიიდან;

ბ) გამოფენაზე დამსწრე პირს უსასყიდლოდ შესთავაზეს და დაურიგეს მის მიერ გამოყენებისთვის ან მოხმარებისთვის;

გ) სარეკლამო დანიშნულებისა და დაბალი ღირებულებისაა;

დ) მარტივად რეალიზაციას არ ექვემდებარება და, საჭიროების შემთხვევაში, იმგვარადაა შეფუთული, რომ მასში საქონლის ოდენობა უფრო ნაკლებია, ვიდრე ბაზარზე გასაყიდი ანალოგიური საქონლის უმცირეს შეფუთვაში;

ე) არის კვების პროდუქტი ან სასმელი, რომელიც არ არის შეფუთული ამ ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით და განკუთვნილია გამოფენაზე მოხმარებისთვის;

ვ) ჯამური ღირებულებითა და ოდენობით შეესაბამება გამოფენის ხასიათს, დამთვალიერებელთა რაოდენობას და ექსპონენტის (გამომფენის) მონაწილეობის მასშტაბს.

11. ამ მუხლის მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი გამოიყენება, თუ შესრულებულია შემდეგი პირობები:

ა) საქონელი მოიხმარება და ნადგურდება გამოფენაზე;

ბ) საქონელი ჯამური ღირებულებითა და ოდენობით შეესაბამება გამოფენის ხასიათს, დამთვალიერებელთა რაოდენობას და ექსპონენტის (გამომფენის) მონაწილეობის მასშტაბს.

12. ამ მუხლის მე-7 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება საქონლის რეკლამირებისთვის განკუთვნილ იმ ბეჭდურ მასალაზე ან ნივთზე, რომელიც:

ა) გამოფენაზე დამსწრე პირებისთვის უსასყიდლოდ გავრცელდა;

ბ) ჯამური ღირებულებითა და ოდენობით შეესაბამება გამოფენის ხასიათს, დამთვალიერებელთა რაოდენობას და ექსპონენტის (გამომფენის) მონაწილეობის მასშტაბს.

13. ამ მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება:

ა) ალკოჰოლიან სასმელზე;

ბ) თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე;

გ) მყარ, თხევად ან აირად მდგომარეობაში მყოფ საწვავზე.

მუხლი 204. საქონლის ცდის, ანალიზის ან ტესტირების ჩატარების მიზნით შემოტანა

1. ამ მუხლის გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება იმ საქონლის შემოტანა, რომელიც ექვემდებარება გამოცდას, ანალიზს ან ტესტირებას მისი შემადგენლობის, ხარისხის ან სხვა ტექნიკური მახასიათებლების დასადგენად, თუ აღნიშნული ოპერაცია ინფორმაციის მიღების ან

სამრეწველო ან სავაჭრო კვლევის მიზნით ხორციელდება.

2. ამ მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით, ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება ცდისადმი, ანალიზისადმი ან ტესტირებისადმი დაქვემდებარებული საქონლის შემოტანა, თუ იგი ცდის, ანალიზის ან ტესტირების პროცესში სრულად იქნება გამოყენებული ან განადგურებული.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება იმ საქონელზე, რომლის ცდის, ანალიზის ან ტესტირების პროცესი მოიცავს ამ საქონლის გაყიდვის ხელშეწყობის ოპერაციებს.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება საქონლის იმ ოდენობაზე, რომელიც მისი შემოტანის მიზნისთვისაა საჭირო.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება იმ საქონელზე, რომელიც ცდის, ანალიზის ან ტესტირების პროცესში სრულად არ გამოიყენება ან არ ნადგურდება, თუ ცდის, ანალიზის ან ტესტირების დასრულების შემდეგ დარჩენილი პროდუქტი:

ა) სრულად განადგურდება ან დაკარგავს კომერციულ ღირებულებას ცდის, ანალიზის ან ტესტირების დასრულების შემდეგ;

ბ) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფოს საკუთრებაში გადაეცემა;

გ) განსაკუთრებული გარემოების გამო საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გაიტანება.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილის მიზნისთვის „დარჩენილი პროდუქტი“ არის ცდის, ანალიზის ან ტესტირების შედეგად მიღებული პროდუქტი ან საქონელი, რომელიც ფაქტობრივად არ იქნა გამოყენებული ცდის, ანალიზის ან ტესტირების პროცესში.

7. თუ ამ მუხლის მე-5 ნაწილით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ცდის, ანალიზის ან ტესტირების დასრულების შემდეგ დარჩენილი პროდუქტი ექვემდებარება იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით დაბეგვრას, რომელიც მოქმედებს ცდის, ანალიზის ან ტესტირების დასრულების მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე. დაინტერესებულ მხარეს შეუძლია ცდის, ანალიზის ან ტესტირების დასრულების შემდეგ დარჩენილი პროდუქტი ნარჩენად ან/და ჯართად აქციოს. ამ შემთხვევაში დაბეგვრა მოხდება იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით, რომელიც მოქმედებს მისი ნარჩენად ან/და ჯართად ქცევის მომენტში.

8. კომპეტენტური ორგანო განსაზღვრავს ვადას, რომლის ფარგლებშიც უნდა ჩატარდეს ცდა, ანალიზი ან ტესტირება, აგრეთვე ადმინისტრაციულ ფორმალობებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქონლის წინასწარ განსაზღვრული მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 205. საავტორო უფლებების ან სამრეწველო და სავაჭრო პატენტების დამცველი ორგანიზაციისთვის გამოგზავნილი სასაქონლო პარტიის შემოტანა

იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება სასაქონლო ნიშანი, ნიმუში, დიზაინის პროექტი ან მისი თანმხლები დოკუმენტი, აგრეთვე განაცხადი გამოგონების პატენტის გასაცემად ან მსგავსი დოკუმენტი, რომელიც წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტს“.

მუხლი 206. ტურიზმის შესახებ საცნობარო ლიტერატურის შემოტანა

ამ კოდექსის 191-ე მუხლის პირველი–მე-13 ნაწილების გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება შემდეგი საცნობარო ლიტერატურის შემოტანა:

ა) უსასყიდლოდ გასავრცელებლად განკუთვნილი დოკუმენტი (სარეკლამო ფურცელი, ბროშურა, წიგნი, ჟურნალი, გზამკვლევი, პლაკატი (ჩარჩოთი ან ჩარჩოს გარეშე), ფოტოსურათი (ჩარჩოს გარეშე), გადიდებული ფოტოსურათი, რუკა (ილუსტრირებული ან ილუსტრაციის გარეშე), მინაზე გასაკრავი გამჭვირვალე პლაკატი, ილუსტრირებული კალენდარი),რომლის ძირითადი მიზანია ადამიანის უცხო ქვეყანაში ვიზიტის წახალისება, კერძოდ, მისი კულტურულ, ტურისტულ, სპორტულ, რელიგიურ, სავაჭრო ან პროფესიულ შეხვედრაზე ან სხვა ღონისძიებაზე დასწრება, თუ ამ დოკუმენტის (ლიტერატურის) სარეკლამო ხასიათი თვალსაჩინოა და მისი არაუმეტეს 25% (საქართველოს საწარმოს/მეწარმის კერძო კომერციული რეკლამის გამოკლებით) კერძო კომერციული სარეკლამო მასალაა;

ბ) ოფიციალური ტურისტული სააგენტოს მიერ ან მისი ეგიდით გამოცემული, უსასყიდლოდ გასავრცელებელი უცხოური სასტუმროების ჩამონათვალი, ყოველწლიური ცნობარი, უცხო ქვეყანაში სატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლის განრიგი, თუ მისი (ლიტერატურის) არაუმეტეს 25% (საქართველოს საწარმოს/მეწარმის კერძო კომერციული რეკლამის გამოკლებით) კერძო კომერციული სარეკლამო მასალაა;

გ) ოფიციალური ეროვნული ტურისტული სააგენტოს მიერ აკრედიტებული წარმომადგენლობისთვის ანდანიშნული აგენტისთვის მიწოდებული საცნობარო მასალა, რომელიც გასავრცელებლად არ არის განკუთვნილი, კერძოდ, ყოველწლიური ცნობარი, ტელეფონის ან ტელექსის ნომრების ჩამონათვალი, სასტუმროების ჩამონათვალი, გამოფენა-გაყიდვების კატალოგი, უმნიშვნელო ღირებულების ხელნაკეთი ნივთის ნიმუში, ლიტერატურა მუზეუმების, უნივერსიტეტების, გამაჯანსაღებელი და მსგავსი დაწესებულებების შესახებ.

მუხლი 207. სხვადასხვა დოკუმენტისა და ნივთის შემოტანა

იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება შემდეგი დოკუმენტებისა და ნივთების შემოტანა:

ა) საჯარო დაწესებულებისთვის უსასყიდლოდ გამოგზავნილი დოკუმენტი;

ბ) უსასყიდლოდ გავრცელებისთვის განკუთვნილი უცხო ქვეყნის მთავრობის ან ოფიციალური საერთაშორისო ორგანოს პუბლიკაცია;

გ) არჩევნებისთვის განკუთვნილი ბიულეტენი, რომლის შემოტანა უცხო ქვეყნის დაწესებულების/ორგანიზაციის მიერაა ორგანიზებული;

დ) სასამართლოსთვის ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებისთვის მტკიცებულების სახით ან მსგავსი მიზნით წარსადგენი ნივთი;

ე) სახელმწიფო ან საბანკო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის გაცვლის ფარგლებში გამოგზავნილი ხელმოწერის ნიმუში ან ხელმოწერასთან დაკავშირებული ნაბეჭდი ცირკულარი;

ვ) საქართველოს ეროვნული ბანკისთვის გამოგზავნილი ოფიციალური ბეჭდური მასალა;

ზ) უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდის მფლობელისთვის ან ხელმომწერისთვის გამოგზავნილი, ამავე კომპანიის მიერ მომზადებული მოხსენება, ანგარიში, შენიშვნა, პროსპექტი, განაცხადის ფორმა ან სხვა დოკუმენტი;

თ) ადრესატისთვის უსასყიდლოდ გაგზავნილი ინფორმაციის გადასაცემად გამოსაყენებელი ინფორმაციის მატარებელი (პერფორირებული ბარათი, ხმის ჩანაწერი, მიკროფირი და სხვა), თუ ეს შეღავათი არ იქნება ბოროტად გამოყენებული ან ამ შეღავათით კონკურენციის წესები არ დაირღვევა;

ი) საერთაშორისო შეხვედრაზე, კონფერენციაზე ან კონგრესზე გამოყენებისთვის განკუთვნილი ფაილი, არქივი, ნაბეჭდი ბლანკი ან მსგავსი დოკუმენტი, აღნიშნული შეკრების შესახებ მომზადებული ანგარიში;

კ) უცხო ქვეყანაში შეკვეთის მისაღებად ან შესასრულებლად ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გამართულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შემოტანილი გეგმა, ტექნიკური ნახაზი, სქემა, აღწერილობა ან მსგავსი დოკუმენტი;

ლ) უცხო ქვეყანაში დაფუძნებული დაწესებულების მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ჩატარებულ გამოცდაში გამოსაყენებელი დოკუმენტი;

მ) საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში სატრანსპორტო საშუალების ან საქონლის საერთაშორისო გადაადგილებისას ოფიციალურ დოკუმენტად გამოსაყენებელი ნაბეჭდი ბლანკი;

ნ) უცხო ქვეყნის სატრანსპორტო კომპანიის ან სასტუმრო საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაფუძნებული ტურისტული სააგენტოსთვის გამოგზავნილი ნაბეჭდი ბლანკი, ეტიკეტი, ბილეთი ან მსგავსი დოკუმენტი;

ო) გამოყენებული ნაბეჭდი ბლანკი ან ბილეთი, კონოსამენტი, ზედნადები ან სხვა სამეწარმეო დოკუმენტი ან ოფისისთვის განკუთვნილი დოკუმენტი;

პ) უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური ნაბეჭდი ბლანკი; უცხო ქვეყნის ასოციაციის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მდებარე შესაბამისი ასოციაციისთვის გასავრცელებლად გამოგზავნილი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბეჭდური მასალა;

ჟ) საინფორმაციო სააგენტოსთვის ან გაზეთის ან ჟურნალის გამომცემლობისთვის გამოგზავნილი ფოტოსურათი, დიაპოზიტივი ან ფოტოსურათისთვის სტანდარტული პასპარტუ (წარწერით ან წარწერის გარეშე);

რ) უცხო ქვეყანაში გადასახდელის გადახდის ფაქტის დამადასტურებელი საგადასახადო ან მსგავსი დანიშნულების მარკა.

მუხლი 208. საქონლის ტრანსპორტირებისას მის შესაფუთად ან დასაცავად გამოსაყენებელი დამხმარე მასალის შემოტანა

იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება სხვადასხვა სახის მასალის (მათ შორის, თოკის, თივის, ტილოს, ქაღალდის, მუყაოს, ხის, პლასტმასის) შემოტანა, რომელიც ერთჯერადად გამოიყენება საქონლის შესაფუთად ან დასაცავად (მათ შორის, საქონლის სითბური დაცვისთვის) მისი უცხო ქვეყნიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისას.

მუხლი 209. ცხოველის ტრანსპორტირებისას გამოყენებული ქვეშსაგების, ფურაჟის ან ცხოველის სხვა სახის საკვების შემოტანა

იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება ნებისმიერი სახის ქვეშსაგების, ფურაჟის ან ცხოველის სხვა სახის საკვების შემოტანა, რომელიც განთავსებულია უცხო ქვეყნიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ცხოველის გადმომყვანი სატრანსპორტო საშუალების ბორტზე და რომელიც მხოლოდ ცხოველის ტრანსპორტირებისას გამოიყენება.

მუხლი 210. სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების ან სპეციალური კონტეინერის ავზში არსებული საწვავისა და სატრანსპორტო საშუალებაში არსებული საპოხი საშუალების შემოტანა

1. ამ მუხლის მე-2–მე-7 ნაწილების გათვალისწინებით იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება შემდეგი საქონლის შემოტანა:

ა) საწვავი, რომელიც განთავსებულია:

ა.ა) კერძო სატრანსპორტო საშუალების ან სამეწარმეო სატრანსპორტო საშუალების (მათ შორის, მოტოციკლის) სტანდარტულ ავზში;

ა.ბ) სპეციალური კონტეინერის სტანდარტულ ავზში;

ბ) პორტატიულ ავზში განთავსებული საწვავი, რომელიც შემოიტანება კერძო სატრანსპორტო საშუალებით (მათ შორის, მოტოციკლით), – თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე არაუმეტეს 10 ლიტრი საწვავისა, საწვავის შენახვისა და ტრანსპორტირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების გათვალისწინებით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნისთვის:

ა) „სამეწარმეო სატრანსპორტო საშუალება“ არის:

ა.ა) ნებისმიერი ძრავიანი საგზაო სატრანსპორტო საშუალება (მათ შორის, ტრაქტორი მისაბმელით ან მისაბმელის გარეშე), რომელიც ისეა შექმნილი, რომ, მისი კონსტრუქციის ტიპიდან და აღჭურვილობიდან გამომდინარე, შეუძლია ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე გადაიყვანოს 9 კაცზე მეტი (მძღოლის ჩათვლით) ან გადაზიდოს საქონელი;

ა.ბ) ამ ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულისგან განსხვავებული ნებისმიერი სპეციალური დანიშნულების საგზაო სატრანსპორტო საშუალება;

ბ) „კერძო სატრანსპორტო საშუალება“ არის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, გარდა ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებისა;

გ) „სტანდარტული ავზი“ არის:

გ.ა) ავზი, რომელიც დამამზადებლის მიერ დამონტაჟებულია მოცემული ტიპის ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე და იძლევა შესაძლებლობას საწვავის უწყვეტი მიწოდებისა როგორც გამწევი ძალის შესაქმნელად, ისე ტრანსპორტირებისას საჭიროების შემთხვევაში სამაცივრე ან მსგავსი სისტემის ფუნქციონირებისთვის;

გ.ბ) სატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული აირის ავზი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, მასში განთავსებული აირი გამოყენებულ იქნეს საწვავად, ან სატრანსპორტო საშუალების იმ სისტემაზე დამონტაჟებული ავზი, რომლითაც ეს სატრანსპორტო საშუალებაა აღჭურვილი;

გ.გ) ავზი, რომელიც დამამზადებლის მიერ დამონტაჟებულია მოცემული ტიპის ყველა კონტეინერზე და იძლევა შესაძლებლობას ტრანსპორტირებისას საწვავის უწყვეტი მიწოდებისა იმ სამაცივრე ან მსგავსი სისტემის ფუნქციონირებისთვის, რომლითაც სპეციალური კონტეინერია აღჭურვილი;

დ) „სპეციალური კონტეინერი“ არის კონტეინერი, რომელზედაც სამაცივრე, ჟანგბადის, თბოიზოლაციის ან სხვა სისტემისთვის განკუთვნილი სპეციალური აპარატურაა დამონტაჟებული.

3. საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, შეზღუდოს სამეწარმეო სატრანსპორტო საშუალების სტანდარტულ ავზში ან სპეციალურ კონტეინერში არსებულ საწვავზე ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენება – თითო სატრანსპორტო საშუალებაზე, სპეციალურ კონტეინერზე ან მგზავრობაზე 200 ლიტრის ოდენობით.

4. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით შეიძლება შემცირდეს ამ მუხლის შესაბამისად საბაჟო ვალდებულებისგან გათავისუფლებული საწვავის ოდენობა:

ა) იმ სამეწარმეო სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში, რომლითაც ქვეყნის სასაზღვრო ზონაში მცხოვრები პირი ახორციელებს საერთაშორისო გადაზიდვას სასაზღვრო ზონაში არაუმეტეს 25 კილომეტრის სიღრმეზე;

ბ) იმ კერძო სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში, რომელიც ქვეყნის სასაზღვრო ზონაში მცხოვრებ პირს ეკუთვნის;

გ) კონკრეტული საბაჟო გამშვები პუნქტიდან შემოსული სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნისთვის „სასაზღვრო ზონა“ არის ქვეყნის საზღვრიდან არაუმეტეს 15 კილომეტრის სიღრმეზე მდებარე ზონა, თუ შესაბამისი საერთაშორისო კონვენციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6. არ შეიძლება ამ მუხლის პირველი–მე-5 ნაწილების შესაბამისად შეღავათით შემოტანილი საწვავის გამოყენება სხვა სატრანსპორტო საშუალებისთვის, გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებისა, რომლითაც იგი იქნა შემოტანილი, აგრეთვე ამ საწვავის აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებიდან ამოღება და შენახვა, გარდა სატრანსპორტო საშუალებისთვის აუცილებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემთხვევისა. ასევე აკრძალულია შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ საწვავის სხვა პირისთვის სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა.

7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ამ მუხლის პირველი–მე-5 ნაწილების შესაბამისად შეღავათით შემოტანილი საწვავი ექვემდებარება იმპორტის გადასახადის იმ განაკვეთით დაბეგვრას, რომელიც მოქმედებს აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის მომენტში, საქონლის სახეობიდან და იმავე მომენტისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე.

8. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებაში არსებულ საპოხ საშუალებაზე, რომელიც მოცემული ტრანსპორტირების პერიოდში მისი ნორმალური ექსპლუატაციისთვისაა საჭირო.

მუხლი 211. უცხო ქვეყნის ომის მსხვერპლთა მემორიალის, სასაფლაოს ან სამარხის ასაგებად, მოვლა-შენახვისთვის, შესაკეთებლად ან შესამკობად გამოსაყენებელი საქონლის შემოტანა

იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაკრძალულ უცხო ქვეყნის ომის მსხვერპლთა მემორიალის, სასაფლაოს ან სამარხის ასაგებად, მოვლა-შენახვისთვის, შესაკეთებლად ან შესამკობად გამოსაყენებელი საქონლის შემოტანა.

მუხლი 212. გარდაცვლილი პირის ან მისი ფერფლის გადმოსასვენებელი საშუალებისა და სამგლოვიარო დეკორატიული საგნის შემოტანა

იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება შემდეგი საქონლის შემოტანა:

ა) კუბო ან რელიგიური ტრადიციის შესაბამისი სხვა სპეციალური საშუალება, რომელიც გამოიყენება გარდაცვლილი პირის გადმოსვენებისას, სპეციალური ურნა, რომელშიც გარდაცვლილი პირის ფერფლია, ყვავილი, სამგლოვიარო გვირგვინი ან სხვა დეკორატიული საგანი, რომელიც, ჩვეულებრივ, ახლავს მათ;

ბ) ყვავილი, სამგლოვიარო გვირგვინი ან სხვა დეკორატიული საგანი, რომელიც ჩამოტანილია უცხო ქვეყანაში მცხოვრები იმ პირის მიერ, რომელიც ესწრება დაკრძალვას ან მიდის საფლავის შესამკობად საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, თუ ამ საქონლის მახასიათებლები ან ოდენობა მის სამეწარმეო მიზნით შემოტანაზე არ მიანიშნებს.

წიგნი XI

თავი XXXIII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 213. გარდამავალი დებულებები

1. საქართველოში ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების მიმართ არ გამოიყენება გარე გადამუშავებისა და შიდა გადამუშავების პროცედურები, გარდა შიდა გადამუშავების პროცედურისა, რომელიც საქონლის შერევის (კომპაუდირების) და გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის პირობით ხორციელდება.

2. ნამუშევარი ნავთობპროდუქტების (ლიალური წყლის (ნავთობით დაბინძურებული წყლის) ან/და ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების ნარეცხის) მიმართ არ გამოიყენება გარე გადამუშავებისა და შიდა გადამუშავების პროცედურები, გარდა შიდა გადამუშავების პროცედურისა, რომელიც გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის პირობით ხორციელდება.

3. ამ კოდექსის ამოქმედებამდე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული:

ა) სანებართვო მოწმობა ინარჩუნებს იურიდიულ ძალას და მასზე ვრცელდება ამ კოდექსის დებულებები;

ბ) ნებართვის მფლობელი ვალდებულია ამ კოდექსის ამოქმედების დღიდან არაუგვიანეს 3 თვისა უზრუნველყოს ამ კოდექსის დებულებების შესრულება.

4. ამ კოდექსის დებულებები ვრცელდება ამ კოდექსის ამოქმედების დღიდან დეკლარირებულ საბაჟო პროცედურებზე.

5. ამ კოდექსის ამოქმედებამდე დეკლარირებულ სასაქონლო ოპერაციებზე ვრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი დებულებები და მათ შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

6. 2021 წლის 1 იანვრამდე იმ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში, რომელიც არ მდებარეობს სასაზღვრო-საბაჟო გამშვებ პუნქტზე ან საერთაშორისო მიმოსვლისთვის გახსნილი აეროპორტის ტერიტორიაზე, უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების სამსახურებრივი სარგებლობისთვის, ამ წარმომადგენლობებისა და დიპლომატიური მისიების წევრების (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისთვის მათზე საცალო წესით შესაძლებელია რეალიზებულ იქნეს უცხოური საქონელი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე ან/და საქართველოს საქონელი.

7. ოქროს სიაში შეყვანით პირს 2021 წლის 1 იანვრამდე ენიჭება უფლება, კუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას ისარგებლოს გამარტივებული პროცედურებით.

8. საბაჟო ორგანოს მიერ დაინტერესებულ პირზე ამ კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებული ავტორიზაციის გაცემად მიიჩნევა შესაბამისი საბაჟო დეკლარაციისთვის შეფასების ნომრის მინიჭება.

9. 2020 წლის 1 სექტემბრამდე ამ კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენად მიიჩნევა საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემთხვევაში საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა.

10. 2020 წლის 1 სექტემბრამდე საბაჟო ორგანოსთვის ამ კოდექსის 155-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა არ მოითხოვება.

11. 2019 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს მთავრობამ, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა უზრუნველყონ ამ კოდექსით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება/გამოცემა.

მუხლი 214. დასკვნითი დებულებები

1. ეს კოდექსი, გარდა ამ კოდექსის X წიგნისა, ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

2. ამ კოდექსის X წიგნი ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

28 ივნისი 2019 წ.

N4905-IIს